მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 8, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს.-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

ხუთშაბათი, 12 მარტი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 57 (1512)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- ინგლისელმა მწარმოებლებმა ლოკაუტის გამოცხადება 18 მარტამდი გადადვეს.
- საბჭოთა კავშირი მონაწილეობას მიიღებს მილანის გამოფენაზე.
- პოლონეთის განაპირა ოლქებში პოლიტიკური ტერორი გაძლიერდა.
- განიარაღების კონფერენცია 26 აპრილს შეიკრიბება.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია

(მისი არსებობის ოთხი წლისთავის გამო)

„ჩვენ ვბრძანებლობთ არა ძველი რომის მკაცრი კანონებით, რომლებიც მიზნად ისახავდენ გათიშვას, არამედ ყველა მშრომელთა კლასიურ შეგნებაზე აღმოცენებულ სასიცოცხლო ინტერესების მჭიდრო გადაჯაჭვით“,—ასე ამბობდა ლენინი ჯერ კიდევ რვა წლის წინად სრულიად რუსეთის საბჭოთა მესამე ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში. ამრიგად, მშრომელთა მთლიანობა საბჭოთა დიად კავშირის დედაბოძს წარმოადგენს და ამაზეა დამოკიდებული მისი, როგორც პროლეტარულ სახელმწიფოებრივ ერთეულის, ყოფნა-არყოფნის კითხვა.

მაგრამ ეს მთლიანობა, სწორეთ იმიტომ, რომ ის არის მთლიანობა მშრომელი მასის, სწორეთ იმიტომ, რომ ის ამტკიცებს და ანვითარებს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს, ოდნავათაც არ ნიშნავს ცალკე ეროვნებების ინტერესების რამდენადმე მაინც შელახვას. პირიქით, არსად ისე ფართე გასაქანი არ ეძლევა ეროვნულ თავისუფლებას, როგორც საბჭოთა კავშირში. ეს დღეს უკვე უდავო ფაქტია, რომლის უარყოფა მხოლოდ მშრომელთა მტრობით დაბრმავებულ, ან ჭკუაზე ხელაღებულთ შეუძლიათ. ისეთ ჩამორჩენილ ეროვნებებშიაც კი, როგორიცაა ბაშკირეთი, ყირგიზეთი, ჩუვაშები, მორდვა და სხვები, დღეს მძლავრად გაიღვიძა ნაციონალურმა თვითშეგნებამ, და აქ ეროვნულ კულტურის მშენებლობას მტკიცე ნიადაგი ეყრება. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, რომლის კეთილდღეობაც მშრომელთა მთლიანობაზეა დაფუძნებული და რომელიც ყოველგვარ მონობის უღლისაგან ანთავისუფლებს კაცობრიობას.

მთლიანობა და ეროვნული თავისუფლება—ეს ორი ერთი-მეორეს საწინააღმდეგო ცნებაა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, მაგრამ ეს პრინციპიალურად და პრაქტიკულად აუცილებელი მოვლენაა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, რადგან ასეთია ამ ხელისუფლების სოციალური შინაარსი და მისი სახელმწიფოებრივი მექანიკა.

ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს ჩვენ საქმე ამიერ-კავკასიის ფედერაციაშიც. უკვე ოთხი წელიწადია, რაც ეს ფედერაცია არსებობს. ეს დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენ არა მარტო პრინციპიალურად, არამედ ფაქტებით ხელში დავამტკიცოთ ამიერ-კავკასიის ეროვნებათა ფედერატიულად დაკავშირების მიზანშეწონილობა. არც ისე უმტკივნეულოდ დაიბადა ამიერ-კავკასიის ფედერაცია. მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა როგორც შიგნით, ისე გარეთ. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, ამიერ-კავკასიის მშრომელთა გაერთიანება მაინც მოხდა, რადგან ასეთი იყო თვით ამ მშრომელთა ნება, რადგან ამას მოითხოვდენ მათი ეკონომიური, კულტურული და ეროვნული სასიცოცხლო ინტერესები.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის იდეა მარტო ჩვენს გამოგონებას არ წარმოადგენს. მას თავგამოდებით მხარს უჭერდენ მუსავატ-დაშნაკ-მენშევიკების პარტიები ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებში და იგივე იდეა წამოაყენეს მათ თავიანთ დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში.

პირველ შემთხვევაში მენშევიკურ-დაშნაკურ-მუსავატური ამიერ-კავკასიის ფედერაცია მიზნად ისახავდა ოქტომბრის რევოლიუციიდან გამიჯვნას და მთლიანი ფრონტის გამარჯვებულ რუსეთის პროლეტარიატისათვის დაპირისპირებას. ხოლო დღეს იგივე ფედერაცია ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ კონტრ-რევოლიუციას სჭირდება ამ სამ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ, კვლავ ეროვნულ შუღლის ცეცხლის დასანთებათ და მშრომელთა ხელახალ დასამონავებლათ.

სულ სხვაა ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაციის დანიშნულება. ეროვნული დამოუკიდებლობა უბრალო თავის მოტყუება იქნება, თუ ის მოკლებულია სათანადო ეკონომიურ და კულტურულ საფუძველს. საქართველოს, ისე როგორც სომხეთსა და აზერბეიჯანს, არ შეუძლია ეკონომიურ წარმატების გზით წინსვლა, თუ ამ სამ რესპუბლიკათა შორის ადგილი არ ექნა მჭიდრო თანამშრომლობას მეურნეობის და პოლიტიკურ მართვა-გამგეობის დარგში. ნედლეული და სათბობი მასალა—მრეწველობის განვითარების ძირითად პირობას წარმოადგენს. ნავთი, შავი ქვა, ბამბა, მატყლი, ტყე, ტყავეულობა, თამბაქო, აბრეშუმი და სხვა—აი რით არის მდიდარი მთლიანი ამიერ-კავკასია და რა იძლევა მისი ეკონომიური განვითარების ბრწყინვალე პერსპექტივებს.

ამ მხრივ ამიერ-კავკასიის ფედერაციამ ცალკე რესპუბლიკათა ეროვნულ დამოუკიდებლობას საიმედო საფუძველი ჩაუყარა. მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელებისაგან განადგურების კარამდე მიყვანილი სამივე რესპუბლიკები დღეს თუ ფეხზე დგანან და ფართე ეკონომიურ-კულტურულ აღმშენებლობის გზით მიდიან წინ, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის სამივე რესპუბლიკის მშრომელთა ძმურ თანამშრომლობას და იმ ეროვნულ სოლიდარობას, რომელსაც ასე მოწყურებული იყო ამიერ-კავკასია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი.

ოთხი წელი შესრულდა ამიერ-კავკასიის ფედერაციას და ამ ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გავარდნილა თოფი ცალკე ეროვნებათა შორის, წვეთი სისხლიც არ დაღვრილა ნაციონალურ შუღლის ნიადაგზე. შოვინისტურ გესლით გავარვარებულ ატმოსფეროში, ეროვნულ მტრობით და უნდობლობით დაავადებულ ამიერ-კავკასიაში, რომელიც მემკვიდრეობით დარჩა საბჭოთა ხელისუფლებას ბურჟუაზიულ პარტიების დამხობის შემდეგ, სომეხ-თათარ-ქართველი ხალხის და სხვა მცირე ეროვნებათა ძმური სოლიდარობა და მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა ნუ თუ უდიდეს მიღწევათ არ უნდა ჩაითვალოს? ეს გამარჯვება მოგვცა ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებამ, ის მოგვცა ამიერ-კავკასიის ფედერაციამ.

მშრომელი ხალხის მტრებს დღესაც ვერ მოუნელებიათ ამიერ-კავკასიის ძმური კავშირი, მათ დღესაც არ აძლევს მოსვენებას ამიერ-კავკასიის ფედერაცია, მაგრამ იგი არსებობს უკვე ოთხი წელია და იარსებებს შემდეგშიაც რევოლიუციის და ამიერ-კავკასიის ხალხთა ეროვნულ წარმატების საკეთილდღეოთ.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ამხ. ჩიჩერინის განცხადება

ლონდონი, 11 მარტი. „მანჩესტერ გარდიენი“ 27 თებერვლის ნომერში აქვეყნებს თავისი კორესპონდენტის არტურ რენსომის ვრცელ საუბარს ჩიჩერინთან საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხების შესახებ.

საუბარი, უპირველეს ყოვლისა, ეხება საკითხს საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ განიარაღების კონფერენციაზე. ჩიჩერინმა რენსომს წარუდგინა ცნობები საბჭოთა კავშირში გატარებულ განიარაღების შესახებ, რომლიდანაც სჩანს, რომ წითელი არმია 1921 წლ. 5.300.000 კაციდან 1926 წელში დაყვანილ იქნა 562.000 კაცამდე. ჩიჩერინი კორესპონდენტს აძლევს აგრეთვე ინფორმაციას საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შესახებ ერთა ლიგასთან.

ეხება რა ჩინეთში და მონღოლეთში შექმნილ მდგომარეობას, ჩიჩერინი აცხადებს: „ჩვენი დამოკიდებულება მონღოლეთთან დამყარებულია ორივე ქვეყნის გულწრფელ და მეგობრულ ურთიერთობაზე. ამასთანავე ერთად ჩვენი მთავრობა სცნობს ჩინეთის სუვერენიტეტს მონღოლეთზე და ეს გარემოება აღბეჭდილია ხელშეკრულებაში. საერთოდ ჩვენი დამოკიდებულება აღმოსავლეთის ერებთან დაფუძნებულია ურთიერთ მეგობრობაზე და სავსებით მშვიდობიან პოლიტიკაზე, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ აგრესივობას“.

ახასიათებს რა საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას ინდოეთთან, ჩიჩერინი სვამს კითხვას: „შეიძლება თუ არა იმ მოსაზრებით, რომ საბჭოთა კავშირში ხელისუფლების სათავეში კომუნისტური პარტია სდგას, მოთხოვნა იმის, რომ სხვა ქვეყნებში კომუნისტურმა პარტიებმა შესწყვიტონ არსებობა?“

დასასრულ ჩიჩერინმა, აღნიშნა რა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აგრესიული გამოსვლები, შეეხო ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთი-ერთობას.

„თავის განცხადებებში—სთქვა მან—მე არა ერთხელ აღმინიშნავს ინგლისის დიპლომატიის მტრული მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ, ამასთანავე ერთად მე აღვნიშნავდი იმ ფაქტს, რომ უპრინციპო და საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულად განწყობილი პრესა ცდილობს გამოიყვანოს დასკვნა, რომ მე თვით მიჭირავს მტრული პოზიცია ინგლისის მიმართ.

კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ამაში სიმართლის ნატამალიც არ არის. მე უდიდესი კმაყოფილებით მივესალმები იმ დღეს, როცა ჩვენთვის შესაძლებელი გახდება ინგლისთან ჩვენი ურთიერთ-დამოკიდებულების გაუმჯობესება. **საბჭოთა მთავრობა** ყოველთვის აცხადებდა, რომ ის **ყოველთვის მზადაა დაიწყოს მოლაპარაკება ინგლისის მთავრობასთან.** ბევრჯერ აღგვინიშნავს, რომ, **თუ ეს მოლაპარაკება არ დაწყებულა, ამაში საბჭოთა მთავრობა არ არის დამნაშავე.** არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ, თუ დღევანდელი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, იგი გავლენას მოახდენს ჩვენი ხალხთა მასების განწყობილებაზე“.

„მანჩესტერ გარდიენ“-ის წერილი

იმავე ნომერში „მანჩესტერ გარდიენი“ აქვეყნებს მოწინავე წერილს ამ საუბრის გამო.

„ჩიჩერინი ფიქრობს, სწერს გაზეთი, რომ იმ უაზრო წერილს („ფორტნაიტლი რევიუ“-ში მოთავსებული წერილი), საიდანაც მას მოჰყავს ადგილები, აქვს რამდენიმედ ოფიციოზური ხასიათი. ჩვენთვის ეს ისევე ძნელი დასაჯერებელია, როგორც რუსეთისადმი წაყენებული ბრალდება იმაში, რომ იგი გაურბის მშვიდობიან შეთანხმებას“. ჩვენთვის ეს ძნელი დასაჯერებელია, რადგან **რუსეთმა დასდო ხელშეკრულება ინგლისის მთავრობასთან და ამ ხელშეკრულების რატიფიკაციაზე** უარი სთქვა დღევანდელმა მთავრობამ.

სწორედ ასევე, თუ რუსეთს არა სურს ერთა ლიგაში შესვლა, **განა შეიძლება ამით დავამტკიცოთ, რომ მას არა სურს მშვიდობიანობა?** ბოლოს და ბოლოს მშვიდობიანობა და არა თვით ომი წარმოადგენს ერთა ლიგის არსებობის მიზანს. ამ საზოგადოებაში წევრობის ჩათვლა რომელიმე ერის მშვიდობიანობის მოყვარეობის მაჩვენებლათ, ნიშნავს ლიგის იდეების დამახინჯებას.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ პარიზში გამართული მოლაპარაკება დამთავრდება საბჭოთა რუსეთის და საფრანგეთის შეთანხმებით. მაგრამ როგორაც არ უნდა დამთავრდეს ეს მოლაპარაკება, ეს მაინც ვერ გამოაცლის ნიადაგს საბჭოთა კავშირის და ინგლისის შეთანხმების საჭიროებას“.

ბრიანის მთავრობა

გადახრა მარჯვნით

პარიზი, 10 მარტი. ბრიანის ახალ კაბინეტში შემავალი მინისტრები პარტიულობის მხრივ შემდეგნაირად იყოფიან: რაულ პერე—მემარცხენე რადიკალური პარტიის წევრი (ლუშერის ჯგუფი), ლამურე—რადიკალი, მალვი—რადიკალი, ლავალი—დამოუკიდებელი სოციალისტი.

კაბინეტი უწინდელზე უფრო მემარჯვენეა.

ბრიანი ჟენევაში გაემგზავრა.

პოლიტიკური პატიმრების სიმშილობა

ლონდონი, 10 მარტი. ბირმის (ინდოეთი) ციხეში პოლიტიკურ პატიმრების მიერ სიმშილობის გამოცხადების გამო დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ნაციონალურმა საბჭომ გამოაქვეყნა საპროტესტო დეკლარაცია, რომელიც მოითხოვს ყველა პოლიტიკურ პატიმრების განთავისუფლებას ინდოეთში.

მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამაც ინდოეთის საქმეთა მინისტრს ლორდ ბირკენჰედს დეპუტაცია გაუგზავნა, რომელიც მოითხოვდა 110 პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას. დეპუტაციაში შედიოდენ ლენსბერი და ტომასი. ბირკენჰედმა დეპუტაციას მიკიბ-მოკიბული პასუხი გასცა.

ლონდონი, 10 მარტი. კალკუტიდან მიღებული ცნობებით, ბირმის ციხეში 110 პოლიტიკური პატიმრის სიმშილობა 18 თებერვალს დაიწყო.

ინგლისელ მუშების ბრძოლა

ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს

ყვითელი ბელადები ცდილობენ ჩაშალონ გაფიცვა

ლონდონი, 10 მარტი. „მანქანების საალმშენებლო კომპანიების“ გაფიცული მუშები არ დაეთანხმენ პროფკავშირის წინადადებას მუშაობის განახლების შესახებ და განაცხადეს, რომ სწორედ ეხლა უნდა განხორციელდეს მანქანების საალმშენებლო მრეწველობის მუშების მოთხოვნილებანი.

მწარმოებლებმა გადასწყვიტეს, რომ თუ გაფიცვა ფაბრიკებში არ შესწყდა, არ მოხსნან გამოცხადებული ლოკაუტი. მანქანების საალმშენებლო მრეწველობის მუშების ექვსი პროფკავშირის აღმასკომმა, რომელთაც ლოკაუტით ემუქრებიან, გადასწყვიტეს წინადადება მისცენ გაფიცულ მუშებს, რომ მუშაობა განაახლონ. ელექტრო-ტეხნიკოსების პროფკავშირმა არ მიიღო ეს წინადადება.

აღმასკომების წარმომადგენელთა გაერთიანებულმა სხდომამ სასურველად სცნო გაფიცულ მუშებთან შეხვედრა და წინადადება მისცა მათ გამოცხადდენ სხდომაზე.

მანქანების საალმშენებლო მუშების გაერთიანებული კავშირის თავმჯდომარემ **ბროუნლიმ** პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „დადებული შეთანხმება უნდა სრულდებოდეს. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი წევრები ათასობით ლოკაუტის საფრთხის წინ დავაყენოთ მხოლოდ იმიტომ, რომ რამოდენიმე ასეულ კაცს არ სურს მუშაობის განახლება“.

ამ განცხადებას სთვლიან ერთგვარ გაფრთხილებათ, რომ გაფიცულების მიმართ მიღებული იქნება დისციპლინარული ზომები და თვით კავშირიდან გამორიცხვასაც არ დაერიდებიან.

ლოკაუტი გადადებულია 18 მარტამდე

ლონდონი, 10 მარტი. მანქანების აღმშენებელ გაფიცულ მუშების წარმომადგენლებსა და კავშირთა აღმასკომებს შორის გაიმართა მოლაპარაკება.

მანქანების აღმშენებელ მუშათა გაერთიანებულ კავშირის თავმჯდომარემ ბროუნლიმ განუცხადა გაფიცულებს, რომ „საჭირო იქნება არასასიამოვნო გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ეს აუცილებელია მთელი მოძრაობის ინტერესებისათვის“, ე. ი. გაფიცულების გამორიცხვა კავშირიდან.

მიუხედავათ ამისა გაფიცულები უარს ამბობენ მუშაობის განახლებაზე, თუ მათი მოთხოვნილებანი არ იქნა დაკმაყოფილებული და პასუხისმგებლობას არ კისრულობენ ლოკაუტისათვის.

ამასთან დაკავშირებით კავშირთა აღმასკომებმა წინადადება მისცეს მწარმოებლებს გადასდონ ლოკაუტის გამოცხადება. მწარმოებლები დასთანხმდენ ლოკაუტის გადადებაზე 18 მარტამდე.

მანქანების აღმშენებელ მუშათა გაერთიანებული კავშირი იწვევს 13 მარტს კავშირის ნაციონალურ საბჭოს.

კომისიის მოხსენება

ლონდონი, 10 მარტი. ნახშირის მრეწველობის გამომრკვევი კომისიის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ნახშირის მრეწველობისათვის შემდეგი სუბსიდიების მიცემა „არ შეიძლება გამართლებული იქნას“.

კომისია ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რათა დაბალი ხელფასის მქონე სამთომადნო მუშებს შეუმცირდეს ხელფასი. არსებული სამუშაო დრო უცვლელად უნდა დარჩეს.

კომისია უარყოფს სამთომადნო მუშათა კავშირის წინადადებას მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ, რადგან „ეს წინადადება განუხორციელებელია და შეიცავს სერიოზულ ეკონომიურ საფრთხეს“. კომისია მხარს უჭერს იმას, რათა მთავრობამ შეისყიდოს ნახშირის მაღაროები კერძო მწარმოებლებისაგან.

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის კრიზისი

პრაგა, 10 მარტი. კოალიცია კვლავ მწვავე კრიზისს განიცდის გადასახადის და სამხედრო სამსახურის ვადის ხანგრძლივობის საკითხების გამო, რომლებიც ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. კოალიციაში შემავალი პარტიები ერთი მეორის საწინააღმდეგო მოთხოვნილებებს აყენებენ.

გაზეთები იტყობინებიან, რომ მთავრობის წრეებში შესაძლოდ სთვლიან პარლამენტის დათხოვნას, და აღნიშნავენ, რომ მოსალოდნელია მთავრობის კრიზისი და საქმიანი კაბინეტის შედგენა.

დადის ხმები, რომ სოც.-დემოკრატები მუშების ზეგავლენით იძულებული იქნებიან დასტოვონ მთავრობა.

განიარაღების კონფერენცია

26 აპრილს.

ბერლინი, 10 მარტი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ განიარაღების წინასწარი კონფერენცია შეიკრიბება 26 აპრილს, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხი არ არის გადაწყვეტილი.

ფაშისტური ტერორი

ფინეთის სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირი სამართალში მიცემული

ჰელსინგფორსი, 10 მარტი. „მუშათა ორგანიზაციების უწყებები“-ს ცნობით აბოს სასამართლო იწვევს 18 მარტს სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის ყველა განყოფილებათა თავმჯდომარეებს, მდივნებს და თანამშრომლებს. გამოწვეულებს სასამართლო წაუყენებს ბრალდებას უზენაეს ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაში. გარდა ამისა მათ მოსთხოვენ ყველა მათი ორგანიზაციების დახურვას.

თუ კავშირის ყველა თანამშრომლები გამოძახებული იქნებიან სასამართლოში, მაშინ ყველა ბრალდებულთა რიცხვი შეადგენს 300 კაცს.

ქართულ ემიგრაციაში

სისხლისმღვრელი შეტაკებები მენშევიკებსა და ეროვნულ დემოკრატებს შორის

პარიზი, 10 მარტი. უკანასკნელ დროს ქართულ ემიგრაციაში ადგილი ჰქონდა მენშევიკებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის ურთიერთობის უაღრესად გამწვავებას. ეს გამწვავება, როგორც უკვე იტყობინებოდა საფრანგეთის პრესა, გამოიხატა შეიარაღებულ შეტაკებაში ეროვნულ-დემოკრატებსა და მენშევიკებს შორის. დამატებითი ცნობებით, შეტაკების დროს მოკლულია 4 კაცი და დაჭრილი 17.

პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს სესია

ამხ. ნინის მოხსენება

მოსკოვი, 10 მარტი. პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო, ლაპარაკობს ნინი, ამ უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში მთელი თავისი მუშაობის 90 პროცენტს მთლიანობისათვის ბრძოლას ანდომებდა.

როცა ჯამს უკეთებთ ჩვენს მუშაობას, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობისათვის ბრძოლაში ჩვენი ამხანაგები მრავალ შეცდომებს უშვებდენ. მომხსენებლის აზრით მთავარ შეცდომებს წარმოადგენდა შემდეგი: რეფორმისტულ ძალების გადაჭარბებულად შეფასება, მთლიანობის აღიარება თვითმიზნად, გადამეტებული წარმოდგენა მთლიანობისათვის ბრძოლის დაუყოვნებლივ შედეგებზე, მთლიანობისათვის ბრძოლის შემცდარად გაგება, როგორც უბრალო მანევრისა რეფორმისტების მოსატყუებლად, მთლიანობის აბსტრაქტიულად ქადაგება, ამსტერდამის მემარცხენე ფრთის ნამდვილი ხასიათის შეუფასებლობა, სათანადო კავშირის უქონლობა იმ ელემენტებს შორის, რომელნიც მთლიანობას ემხრობიან, დაბოლოს, აშკარა გამთიშველი მიმდინარეობის არსებობა ჩვენს რიგებში.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს მიღწევებზე, როგორიც არის: რევოლიუციონური ოპოზიციის გაძლიერება გერმანიის პროფკავშირებში, ჰოლანდიის ნაციონალურ მუშათა სეკრეტარიატის შემოერთება, შრომის უნიტარული კონფედერაციის გაცხოველებული მუშაობა საფრანგეთში მთლიანობის განხორციელებისათვის, მთლიანობისათვის კამპანიის გაძლიერება იტალიასა, ინგლისსა, სკანდინავიაში, საბჭოთა პროფკავშირების თავგამოდებული ბრძოლა მთლიანობისათვის, უმცირესობის მოძრაობა ინგლისში.

ნინი ეხება დანარჩენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძოთ კომინტერნთან ურთიერთობას და აცხადებს, რომ პროფინტერნში ამჟამად არავითარი უთანხმოება არ არსებობს კომინტერნთან მჭიდრო ურთიერთობის საკითხში.

დასასრულ ნინი აკეთებს ყველა ქვეყნების პროფმოძრაობის მოკლე მიმოხილვას.

მოსკოვი, 11 მარტი. პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს სესიის სხდომაზე 10 მარტს ლოზოვსკიმ მოხსენებაში რევოლიუციონურ პროფმოძრაობის უახლოესი ამოცანების შესახებ სთქვა:

მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს საკითხი დიდი და მცირე ხელფასის მქონე მუშების ურთი-ერთობის შესახებ, კოლონიის და მეტროპოლიის მუშების შრომის ურთიერთობის შესახებ. ეს საკითხი უაღრესად გამწვავებულია და ხელს უწყობს მუშების გამემარცხენებას. ის სხვადასხვა ფორმას ღებულობს. ზოგიერთ ქვეყნებში მუშები კოლონიებიდან მეტროპოლიაში შემოჰყავთ, ზოგიერთებშიაც ბურჟუაზია აბანდებს კაპიტალს ახალგაზრდებში, რაც ხელს უწყობს უმუშევრობის ზრდას მეტროპოლიაში.

ევროპიელ მუშის საარსებო მინიმუმის შემცირების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ჩვენ უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ მეტროპოლიაში მყოფ კოლონიალურ მუშების პროფკავშირებში ჩაბმას და უნდა გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა ლოზუნგით—„თანასწორი შრომისათვის თანასწორი ხელფასი“.

ამასთანავე ერთად კოლონიების მუშებს ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიოთ პროფკავშირების შექმნაში.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე თეთრ კანიან და ფერად კანიან მუშების ურთი-ერთობას. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ზანგების მიღება თეთრ კანიან მუშების კავშირში და სადაც ეს მოუხერხებელია დავაარსოთ მათი დამოუკიდებელი კავშირები, რათა არავითარ შემთხვევაში არ იქნენ ისინი დატოვებულნი პროფორგანიზაციების გარეშე.

ბრძოლა მთლიანობისათვის, რასაკვირველია, უნდა იქნეს ჩვენ უმნიშვნელოვანეს ამოცანათ.

მახლობელ პერიოდისათვის ჩვენი მომხრეების წინაშე სდგას შემთანხმებელთა და ქრისტიანულ კავშირებში ჩვენი პოლიტიკური გავლენის ორგანიზაციულად განმტკიცების ამოცანა. რევოლიუციონურ პროფმუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ეკონომიური ბრძოლის სისწორით ხელმძღვანელობის საქმეს. საჭიროა ეკონომიური ბრძოლის ყველა ფორმების გულდასმით შესწავლა.

ეკონომიური ბრძოლის გამწვავების პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს საერთაშორისო გაერთიანებები და საწარმოო ინტერნაციონალები. ამასთანავე ერთად უნდა სწარმოებდეს ენერგიული ბრძოლა მთლიანი მსოფლიო ინტერნაციონალის შესაქმნელად, რომელშიაც შევლენ არა მარტო ევროპის, არამედ მთელი ქვეყნის მუშები. უნდა გვახსოვდეს, რომ საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მოლაპარაკება ამსტერდამთან მხოლოდ დასაწყისია ბრძოლის მთლიანი ინტერნაციონალის შესაქმნელად.

ვიბრძვით რა მთლიანობისათვის ჩვენ ამასთანავე ერთად ენერგიული ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ჩვენი ამხანაგების პროფკავშირებიდან გამორიცხვის წინააღმდეგ, რეფორმისტების გამთიშველ საქმიანობის წინააღმდეგ. ყველა რევოლიუციონურ ძალების გაერთიანებისათვის ჩვენ გვესაჭიროება მკაფიო, კონკრეტიული მოქმედების პროგრამა. მე ცენტრალურ საბჭოს წინადადებას ვაძლევ მიიღოს კომინტერნის მეექვსე გაფართოებული პლენუმის მიერ დასახული სამოქმედო პროგრამა. ეს პროგრამა იქნება საფუძველი, რომლის მიხედვით მუშები შეიმუშავებენ თავის მოთხოვნილებებს“.

ლოზოვსკის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი.

ყვითლების ბანაკში

ამსტერდამის ბალკანურ სექციის ინტერნაციონალის კონფერენცია.

ვენა, 10 მარტი. ბულგარეთის პრესის ცნობით, სოფიაში 9 აპრილს მოწვეული იქნება ამსტერდამის ინტერნაციონალის ბალკანეთის ორგანიზაციების კონფერენცია, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საბერძნეთის, ბულგარეთის, სამხრეთ-სლავიის, რუმინეთის და, შესაძლოა, ოსმალეთის პროფკავშირთა წარმომადგენლები. მოელიან საერთაშორისო პროფკავშირულ გაერთიანებათა მდივნებს—ედდო ფიმმენს, პერსელს, კუკს და სხვ. კონფერენციის მოწვევის მიზანია პროფკავშირთა მოძრაობის გამოცოცხლება ბალკანეთში.

ბულგარეთის სოც.-დემ. პარტიის ყრილობა.

ვენა, 10 მარტი. 7-დან 9 მარტამდე სოფიაში მიმდინარეობდა ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობა. ცეკას უმრავლესობამ მოახერხა გამარჯვება მემარჯვენე ოპოზიციაზე, რასაც შედეგად მოჰყვა ცანკოვის (ყოფილი პრემიერის ძმის) და კაზასოვის პარტიიდან გამორიცხვა დისციპლინის დარღვევისათვის.

თვითმპყრობელობის დამხობა

(1917 $\frac{12}{\text{III}}$ 1926)

1905 წლით დაიწყო რევოლიუციის ხანა რუსეთში. პირველი რევოლიუცია დამარცხდა, მაგრამ მას ამაოდ არ ჩაუვლია. 1905 წელმა საფუძვლიანად შეარყია თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრე. პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე გამოიყვანა მილიონი მასები, რომელთაც, ერთი მხრივ, მეფის ტახტის დამხობის შესაძლებლობის იმედი შთაუნერგა, მეორე მხრივ, მდიდარი რევოლიუციონური გამოცდილება შესძინა, კერძოდ, ნათელი გახადა მისთვის, თუ რა როლს ითამაშებდენ სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასები შემდგომ რევოლიუციონურ ბრძოლაში; აშკარა შეიქნა კონტრ-რევოლიუციონური ბუნება ბურჟუაზიის, თუ გინდ „ლიბერალური“ ბურჟუაზიის, რომელიც მენშევიკებს მუშათა კლასის მოკავშირედ მიაჩნდათ. ამავე დროს საბოლოოდ გამოირკვა, რომ პროლეტარიატი თვითმპყრობელობაზე მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებდა, თუ მასთან ერთად იქნებოდა მშრომელი გლეხობა.

რეაქციის ხანამ, მიუხედავად მენშევიკების ლიკვიდატორულ სულიერ განწყობილებისა, ვერ გასტეხა მუშათა კლასის რევოლიუციონური ნებისყოფა და რწმენა თავის მომავლისადმი. ბოლშევიკურ პარტიის ხელმძღვანელობით იგი კვლავ [illegible] და ახალ ბრძოლებისათვის ემზადება. მსოფლიო ომმა, რომელმაც „პატრიოტიზმის“ ბურუსში გახვია მოსახლეობის დიდი ნაწილი, პირველ წლებში დროებით შეანელა რევოლიუციის განვითარება რუსეთში, მაგრამ ამავე ომმა სამარე გაუთხარა სისხლიან ნიკოლოზ რომანოვის ტახტს.

ომში დამარცხებამ გამოააშკარავა თვითმპყრობელობის სრული შინაგანი გახრწნილება და უძლურება. ამასთან ომმა ძირფესვიანად მოშალა ქვეყნის მრეწველობა, სასოფლო მეურნეობა, ტრანსპორტი. შეიწირა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე. მუშათა კლასის და გლეხების მდგომარეობა აუტანელი გახადა. პური, ზავი, თავისუფლება—ამ ლოზუნგებით იწყება მასიური სახალხო მოძრაობა. 1917 წლის თებერვლიდან მუშათა გრანდიოზული გაფიცვების ტალღა მოედება პეტროგრადს და სხვა სამრეწველო ცენტრებს. ლოზუნგი—„ძირს თვითმპყრობელობა!“ ყველაზე უფრო პოპულიარული შეიქნა. მუშებს მიემხრო გლეხობა ჯარის სახით, და ამ ორმა ძალამ 1917 წლის 28 თებერვალს (12 მარტს) ერთი მაგარი შეტევით მიწაზე განართხა მეფის ბატონობა. ამაოდ შეეცადა მთავრობა რევოლიუციის ჩაქრობას სამხედრო ძალით. ჯარის ნაწილები უკვე რევოლიუციონურად იყვნენ განწყობილნი და ისინი, გამოყვანილი აჯანყებულ მუშების წინააღმდეგ, მათ მიემხრენ.

რა მდგომარეობა შეიქნა თებერვლის რევოლიუციის „მეორე დღეს?“ ერთი ცნობილი მენშევიკი ამბობდა: ძალა-უფლება ქუჩაზე ეგდო და არავინ იყო მისი ამღები. დამახასიათებელი ფრაზაა წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებისათვის, რომელნიც თავიანთ თავს სოციალისტურს უწოდებენ. რევოლიუციის გაშლამ ისინი შეაშინა, მათ ურწმუნოება გამოიჩინეს მშრომელთა ძალებისადმი და უკანასკნელთა სისხლით მოპოვებული ნაყოფი ბურჟუაზიას შესთავაზეს. ამ ღალატის ჩადენა იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ მენშევიკ-ესერებს, მთელ რიგ გარემოებათა წყალობით, ჯერ კიდევ ემხრობოდა მუშების და გლეხობის დიდი ნაწილი, რომლის საერთო რევოლიუციონურ აღტკინებას მაშინ არ ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული კლასობრივი ხასიათი.

ბურჟუაზია მოგვევლინა თვითმპყრობელობის მემკვიდრედ. იგი, რა თქმა უნდა, ცდილობდა რევოლიუციის გამოყენებას თავისი კლასობრივი ბატონობის განსამტკიცებლად ქვეყნის შიგნით და იმპერიალისტურ ომის გასაგრძელებლად. მაგრამ მისთვის ცხადი იყო, რომ ამ მიზანს იგი ვერ განახორციელებდა თავისი საკუთარი ძალებით. მასების რევოლიუციონური განწყობილება სწრაფად იზრდებოდა და მილიუკოვებს გასაქანს არ აძლევდა. აქედან წარმოიშვა მათი ბლოკი მენშევიკ-ესერებთან, რომელთა ხელით ბურჟუაზიას უნდოდა თავისი საქმეების „მოჭახრაკება“.

„სოციალისტურმა“ პარტიებმა იკისრეს რევოლიუციონურ პროცესის შეჩერების, მასების რევოლიუციონურ ენერგიის მოდუნების ვალდებულება. მათ არ მოისურვეს მუშათა კლასის და გლეხების არც ერთი მნიშვნელოვან მოთხოვნის შესრულება, როგორიცაა: ომის შეწყვეტა, რვა საათის სამუშაო დღის დაწესება, წარმოებაზე კანტროლის შემოღება, სამხედრო მოგებათა განსაზღვრა, მიწის გადაცემა გლეხობისათვის, რაც უმთავრესი იყო მისთვის, და სხვა მრავალი. ამის მაგივრად კერენსკი, „მოკავშირეთა“ ელჩების კარნახით, 18 ივნისს გადავიდა შეტევაზე გერმანიის ჯარების წინააღმდეგ, 3—5 ივლისს დახვრიტეს დემონსტრაციები მუშათა და ჯარისკაცთა, რომელთაც წამოაყენეს ომის შეწყვეტის და სხვ. მოთხოვნები, აპატიმრებდენ გლეხთა კომიტეტებს, ანიარაღებდენ მუშებს, სდევნიდენ ბოლშევიკებს და სხვ. მენშევიკ-ესერებმა სავსებით გაიშიშვლეს თავისი თავი, როგორც კონტრ-რევოლიუციონერებმა, ბურჟუაზიის აგენტებმა და მშრომელთა მტრებმა.

ბურჟუაზიისათვის აშკარა გახდა, რომ მას ვერც შემთანხმებლები იხსნიდენ, ვერც ისინი შეაჩერებდენ რევოლიუციის განვითარებას. ამიტომ იგი შეუდგა მზადებას მისი სრული ლიკვიდაციისათვის და თავის დიქტატურის დასამყარებლად. სცენაზე გამოდის კორნილოვი, კერენსკის მიერ „რევოლიუციის პირველ გენერლად“ წოდებული. კერენსკისავე დასტურით მან აღმართა აჯანყების დროშა და თავის ჯარებით გაილაშქრა რევოლიუციონურ პეტროგრადის დასაპყრობად. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ბოლშევიკების მიერ დარაზმულმა მასამ, რომლისთვის აშკარა წინააღმდეგობის გაწევა გადამწყვეტ მომენტში კერენსკიმაც ვერ გაბედა, ბოლო მოუღო კორნილოვის ავანტიურას.

ამის შემდეგ დროებითი მთავრობის ბედი გადაწყვეტილი იყო. მასები განთავისუფლდენ წვრილ-ბურჟუაზიულ ილიუზიებიდან და მენშევიკ-ესერების გავლენისაგან. ისინი საბოლოოდ გაერკვენ, თუ ვინ არის მისი ნამდვილი მტერი და მეგობარი. მასები დარწმუნდენ, რომ მათი ინტერესების ერთად-ერთი დამცველი მხოლოდ ბოლშევიკური პარტიაა. მუშათა კლასმა ნათლად შეიგნო თავისი კლასობრივი ამოცანები და ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, თებერვლიდან 8 თვის განვლის შემდეგ, დაამხო როგორც ბურჟუაზია, ისე მისი მთავარი დასაყრდენი — მენშევიკ-ესერების პარტიები—და გამოაცხადა თავისი დიქტატურა, საბჭოთა ხელისუფლება.

თებერვლის რევოლიუციის მნიშვნელობა დიდია მშრომელთა გამარჯვების საქმეში. როგორც 1905 წელი, ისე თებერვალი, აუცილებელი საფეხური იყო ოქტომბრის გადატრიალებისათვის. თვითმპყრობელობის ხუნდების დამსხვრევამ მშრომელ მასებს გზა გაუხსნა შემდეგი რევოლიუციონური ბრძოლებისათვის, გზა გაუხსნა ძალაუფლებისაკენ. ამასთან, თებერვლის მთავარი დამსახურება მდგომარეობს წვრილ-ბურჟუაზიულ ილიუზიების დაძლევასა და „სოციალისტურ“ პარტიების გაკოტრებაში. 8 თვემ, რაც გავიდა თებერვლიდან ოქტომბრამდე, მუშათა კლასს საკმაო გაკვეთილი მისცა, რომ მისი გამარჯვება შეიძლება ამ პარტიების განადგურებით და ბოლშევიკების ხელმძღვანელობის ქვეშ. არც შემცდარა თავის არჩევაში: საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-9 წელი და მისი უდიდესი მიღწევები რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცების საქმეში ამის საუკეთესო მაჩვენებელია.

თვითმპყრობელობის დამხობის მეცხრე წლის თავი

მხოლოდ ცხრა წელმა განვლო მას შემდეგ. მაგრამ თავის მნიშვნელობით ეს ცხრა წელიწადი მთელ საუკუნეს მაინც უდრის.

ჯერ კიდევ პირველი რევოლიუციის დროს (1905 წ.) თვითმპყრობელობამ მიიღო სასიკვდილო ჭრილობა, მაგრამ მაშინ ის სიკვდილს გადაურჩა, და მის არსებობას რამოდენიმე ხნით ვადა გაუგრძელდა. რა თქმა უნდა, მაშინ შეუძლებელი იყო იმის თქმა, თუ როდემდის გაგრძელდებოდა რუსეთში მეფის თვითმპყრობელობის არსებობა. როგორც ვიცით, თვითმპყრობელობამ პირველი რევოლიუციის შემდეგ გასძლო კიდევ 12 წელიწადი. ეს ხანა პირველი რევოლიუციიდან მეორე რევოლიუციამდე (1905—1917 წ.წ.) მეტად საყურადღებო ხანაა რუსეთის მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობაში. მასთან, ეს მეტად რთული ეპოქაა. აქ რამდენიმე ხანაა.

ჯერ 1905 წლის რევოლიუციის ლიკვიდაცია, ე. ი. რევოლიუციის ჩაქრობა, მუშების და გლეხების სასტიკი დევნა; რევოლიუციონური მოძრაობა ცხრება, თანდათან დაბლა იწევს,—ესაა შავზე უშავესი რეაქციის წლები, სამხედრო დიქტატურის და რეაქციონული ბურჟუაზიის ბატონობის ხანა. ეს ხანა გრძელდება 1910 წლამდე. 1911 წლიდან იწყება მუშათა მოძრაობის გამოცოცხლება, მიუხედავად რეაქციის ბატონობისა. იზრდება და მატულობს გაფიცვების და გაფიცულთა რიცხვი, იწყებს გამოსვლას ლეგალურად ბოლშევიკური გაზეთები (ჯერ „ზვეზდა“, შემდეგ „პრავდა“), მუშათა მოძრაობა აღწევს უმაღლეს წერტილს 1914 წლის ზაფხულში, იმპერიალისტური ომის დაწყების წინ, როცა პეტერბურგში მუშები გამოდიან ქუჩებში და აწყობენ ბარიკადებს. პეტერბურგის მუშებს მხარს უჭერენ ბაქოს მუშებიც. მაგრამ ევროპის იმპერიალისტური ომის დაწყება მუშათა მოძრაობას ერთბაშად აჩერებს.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მუშათა მოძრაობის სვებედი ამ ხანებში, მოვიყვანოთ აქ ცნობები მარტო გაფიცვების შესახებ.

	რაოდენობა	
წლები	გაფიცვების	გაფიცულების
1905	13.995	2.863.000
1908	892	176.000
1909	340	64.000
1910	222	46.600
1911	442	256.300
1912	2.023	725.000
1913	2.142	861.000

1912 წელს, როგორც ვიცით, მოხდა ლენის მუშების დახვრეტა, რამაც გამოიწვია რუსეთის მუშათა კლასში საშინელი აღშფოთება და რასაც დიდი გაფიცვები მოჰყვა. მუშათა მოძრაობის გაძლიერებას ნათლად მოწმობენ აგრეთვე შემდეგი ფაქტები.

პირველი მაისის გაფიცვებში იღებდენ მონაწილეობას:

1912 წ.	210.000 მუშა
1913 „	250.000 „
1914 „	280.000 „

გარდა ამისა, იმპერიალისტური ომის დაწყების წინ, ორი კვირით ადრე, მარტო პეტერბურგში გაფიცვას ახდენენ 300.000 მუშა და ემზადებიან გადამწყვეტ ბრძოლისათვის. საბოლოო შეტაკება აუცილებელი იყო. მაგრამ, როგორც ვთქვით, ომის გამოცხადებამ ის მოძრაობა კვლავ ჩააქრო დროებით, და ამნაირად თვითმპყრობელობის დამხობის საქმე კვლავ გადაიდვა რამოდენიმე ხნით. თავდაპირველად ომმა თითქო ხელი შეუშალა რუსეთის რევოლიუციის ახალ ტალღას, მაგრამ, მეორე მხრით, ამავე ომმა ხელი შეუწყო შემდეგ მის დაჩქარებას.

თუ რუსეთის თვითმპყრობელობამ ვერ გაუძლო ომს შედარებით პატარა იაპონიასთან, მით უმეტეს, არ შეეძლო მას ომის ატანა ბევრად უფრო დიდი მასშტაბით, როგორიც იყო ევროპის ახალი იმპერიალისტური ომი. თვითმპყრობელობა ვერ გაუძლებდა ამ ომს ეკონომიურად. მაგრამ, მეორე მხრით, ომი იწვევდა ხალხში, განსაკუთრებით, პროლეტარიატში, აღშფოთებას. ამნაირად, დაჩქარდა რუსეთში რევოლიუცია. მართალია, მენშევიკები წინააღმდეგი იყვენ რევოლიუციის და მუშებს აგონებდენ ბურჟუაზიასთან შეთანხმებას ომის ორგვლივ. სრულიად სხვა ტაქტიკას ადგენ ბოლშევიკები **ლენინის** მეთაურობით. ლენინმა გადაისროლა ლოზუნგი **იმპერიალისტური** ომის **სამოქალაქო** ომად გადასაქცევად. ეს იყო ის, რასაც რუსეთის მუშები გრძნობდენ ინსტიქტიურად.

როგორც ვიცით, მუშათა კლასის გაჭირვებამ და ტანჯვამ რუსეთის დიდ ქალაქებში და, განსაკუთრებით, პეტერბურგში, მიაღწია უმაღლეს წერტილს. მუშები განიცდიდენ სიმშილს სურსათის უქონლობის გამო. ნახევარი გირვანქა პურისათვის ისინი იძულებულნი იყვნენ მთელი დღე-ღამე რიგებში მდგარიყვნენ. მეტი მოთმენა მათ აღარ შეეძლოთ. განსაკუთრებით ღელავდენ და შფოთავდენ მუშაქალები პეტერბურგში 1917 წლის დასაწყისში. თებერვალში მდგომარეობა თანდათან გამწვავდა, განსაკუთრებით, უკანასკნელ რიცხვებში. პეტერბურგის პროლეტარიატმა გადასწყვიტა თვითმპყრობელობისაგან განთავისუფლება.

იგი გამოვიდა ქუჩებში საბრძოლველად. ტყუილად ამტკიცებდენ ბურჟუაზიის იდეოლოგები—მილიუკოვი და სხვები,—რომ 1917 წლის თებერვლის რევოლიუცია უსისხლოდ მოხდაო. ეს ზღაპარია. დიახ, ამ რევოლიუციის დროს ბ.ბ. კაპიტალისტებს, მილიუკოვებს და სხვებს სისხლი არ დაუღვრიათ, მაგრამ მუშებმა ბევრი მსხვერპლი გაიღეს. მართალია მხოლოდ ის, რომ ამხანად თვითმპყრობელობის ტახტის დანგრევა, შედარებით, ადვილად მოხდა, და ამას უნდა ვუმადლოდეთ ჯარებს. თუ 1905 წლის რევოლიუციის დროს ჯარმა ვერ დაუჭირა მხარი რევოლიუციას, სამაგიეროდ 1917 წლის რევოლიუციებში ჯარი მუშების მხარეზე გადავიდა, და ამან გამოიწვია ის, რომ შედარებით პროლეტარიატმა მაშინ ადვილად გაიმარჯვა.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ, იმ დროს მუშათა კლასი მოექცა დროებით ბურჟუაზიისა და მემამულეების იდეოლოგების—მენშევიკების და სოც.-რევოლიუციონერების გავლენის ქვეშ. ამ გარემოებამ დროებით დააბრკოლა და შეაფერხა რევოლიუციის განვითარება. ამიტომ, რვა თვის შემდეგ აუცილებელი შეიქნა მესამე რევოლიუციის მოხდენა, ახლა უკვე ბურჟუაზიის ბატონობის მოსასპობად. ეს მოახდინა ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც საბოლოო გამარჯვება მიანიჭა მუშათა კლასს.

თებერვლის რევოლიუციამ განათავისუფლა მუშები და გლეხები თვითმპყრობელობის ბრჭყალებისაგან და გზა გაუკაფა მათ სოციალისტურ რევოლიუციისაკენ.

ფ. მახარაძე.

საბჭოთა პრესა

პროფაქტივის მომზადება-გამოყენების საკითხი

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ პროფმუშაობის ცენტრი უნდა იქნეს გადატანილი უშუალოდ ფაბრიკა-ქარხნებში, თვით მუშათა მასებში. ამისათვის კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვედა პროფაქტივის შემადგენლობას. ბოლო წლებში პროფაქტივის რიცხვი გაიზარდა და აღწევს დაახლოვებით მთელ მუშა-მოსამსახურეების ათ პროცენტს. მაგრამ მარტო რიცხვობრივი ზრდა საკმარისი არ არის. პროფაქტივის კულტურული დონე და პროფესიული კვალიფიკაცია უმეტეს შემთხვევაში ჯერ კიდევ დაბალია, რაც აფერხებს მისი წარმატებით მუშაობას მასებში. ამიტომ პროფაქტივის მომზადებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამ ამოცანის გადასაჭრელად, სხვათა შორის, სწორედ უნდა იქნეს დაყენებული მისი გამოყენების საქმე. ამ მხრივ მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. გაზ. „ტრუდ“-ი სწერს:

„მიუხედავათ იმისა, რომ თვითეულ წარმოების აქტივის სიებში ადამიანთა დიდძალი რიცხვი ითვლება, ფაქტიურად მუშაობს უმნიშვნელო უმცირესობა. ესაა აქტივის ყველაზე უფრო მოწინავე, კულტურული და თვითმოქმედი ნაწილი. დანარჩენები მხოლოდ ფორმალურად არსებობენ და მათ მუშაობაზე იზიდავენ დროგამოშვებით, შემთხვევიდან შემთხვევამდე, ზოგჯერ კი ესეც არ ხდება. მაშინ, როცა აქტივის უმრავლესობას თითქმის არა აქვს საზოგადოებრივი დატვირთვა, უმცირესობის დატვირთვა აღემატება ყოველგვარ ზომას და შესაძლებლობას, იმდენადაა დატვირთული, რომ დრო არა აქვს გაზეთის წასაკითხავად, წიგნზე რომ არაფერი ვსთქვათ. ყველა ესენი ხომ დაზგის მუშებია, რომელნიც თავის ვალდებულებებს ასრულებენ სამუშაო საათების შემდეგ. საზოგადოებრივი მუშაობაართმევს მათ პირდაპირ მთელ თავისუფალ დროს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი პარტიის წევრები, რომელთაც პროფესიულთან ერთად არა მცირე პარტიული მოვალეობანი აწევთ“.

ასეთი არანორმალურ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს. პროფაქტივის ყველა წევრები მიზანშეწონილად უნდა იქნენ ჩაბმული მუშაობაში. ამით, ერთი მხრივ, შეიქმნება ნამდვილი, და არა ქაღალდზე არსებული აქტივი, მეორე მხრივ—ზედმეტი მუშაობისაგან განთავისუფლდებიან მისი ახლანდელი ყველაზე უფრო მომქმედი წევრები, და მათ თვითგანვითარების, კვალიფიკაციის აწევის საშუალება მიეცემა. ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ მუშათა მასების კულტურული ზრდის გამო არსებობს მათგან ხელმძღვანელების ჩამორჩენის საფრთხე. ამასთან, აქტივის საერთო მოუმზადებლობა და მისი მცირე ნაწილის ზედმეტი დატვირთვა მრავალ შეცდომას იწვევს პროფმუშაობაში. ამიტომ აქტივის მომზადება და მისი წევრების მიზანშეწონილი გამოყენება პროფკავშირების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დღეს.

ერთა ლიგის კრიზისი

გერმანია აკმაყოფილებს სათანადო პირობებს

ლონდონი, 11 მარტი. ჟენევიდან მიღებულ ცნობით, პოლიტიკურმა ქვე-კომისიამ ჩემბერლენის თავმჯდომარეობით, რომელიც გერმანიის ერთა ლიგაში მიღების საკითხს არჩევდა, გადასწყვიტა, რომ გერმანია აკმაყოფილებს სათანადო პირობებს ლიგაში მიღებისათვის.

როგორც ფიქრობენ, კრება გერმანიის ლიგაში მისაღებად პარასკევს ან შაბათს შესდგება.

თათბირობენ

ლონდონი, 11 მარტი. დღეს დილით შესდგა ხანგრძლივი თათბირი ლიუთერს, შტრეზემანს, ჩემბერლენს, ბონკურს, ვანდერველდესა და შიალოიას შორის.

თათბირის შემდეგ გამოცხადდა, რომ მოლაპარაკება განახლდება ბრიანის ჟენევიდან დაბრუნების შემდეგ.

ახალშენთა პოზიცია

ლონდონი, 11 მარტი. ჩემბერლენი ახალშენთა წარმომადგენელთან ერთად ესილავდა ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხს. ახალშენთა წარმომადგენლები მტკიცედ იცავენ თავის პოზიციას და გერმანიის მიღების გარდა ლიგის საბჭოს გაფართოებას ეწინააღმდეგებიან.

საიდუმლოდ ინახავენ

ლონდონი, 11 მარტი. 11 მარტს ერთა ლიგის საბჭოს წევრთა სხდომა, რომელსაც დაესწრო პოლონეთის პრემიერი სკშინსკი, 3 საათი გაგრძელდა. კრების შედეგებს სავსებით საიდუმლოდ ინახავენ.

პოლიტიკური ქვე-კომისიის მოხსენება მიღებულია

ლონდონი, 11 მარტი. გერმანიის ერთა ლიგაში მიღების ტეხნიკურ ფორმალურ მხარეებს არავითარი დაბრკოლება არ გამოუწვევია ჟენევაში. დღეს დილით პირველმა კომისიამ ჩემბერლენის თავმჯდომარეობით ერთხმად მიიღო თავისი ქვე-კომისიის მოხსენება. მოხსენება საჭიროდ სთვლის, რომ გერმანიის არჩევის შესახებ წინადადება ფორმალურად პლენარულ სხდომაზე დაისვას. როგორც ფიქრობენ, ამ წინადადებას ჩემბერლენი წარადგენს.

მდგომარეობა კრიტიკულია

პარიზი, 11 მარტი. „ფორვერტს“-ის ჟენეველი კორესპონდენტის ცნობით, ჟენევაში მდგომარეობა უაღრესად კრიტიკულია, შესაძლებელია, მას საერთაშორისო კატასტროფაც მოჰყვეს ერთად - ერთ იმედს ბრიანის ჩამოსვლაზე ამყარებენ.

გუშინ საღამოს ბრაზილიის დელეგატები კატეგორიულად აცხადებდენ, რომ ისინი არ დაეთანხმებიან უარის თქმას გერმანიის ლიგაში მიღებაზე, თუ მოხსნილ იქნა ბრაზილიის კანდიდატურა. იტალიის დელეგატი შალოიაც ასევე ენერგიულად ესარჩლებოდა პოლონეთს. ესპანეთმა განაცხადა, რომ ის გავა ერთა ლიგიდან, თუ მას მუდმივი ადგილი არ დაუთმეს საბჭოში.

გერმანია-ესპანეთის მოლაპარაკება

პარიზი, 11 მარტი. გერმანიასა და ესპანეთს შორის იწყება უშუალო მოლაპარაკება ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიღების შესახებ.

„ძირს გამცემლები“

ვარშავა, 10 მარტი. პოლონეთის სოც. პარტიის დეპუტატებმა მალინოვსკიმ და გარდეცკიმ 7 მარტს ლუბლინში მოიწვიეს მიტინგი, რომელსაც რამოდენიმე ათასი კაცი დაესწრო. როგორც კი მალინოვსკი ტრიბუნაზე გამოჩნდა, გაისმა ხმები: „ძირს გამცემლები“; დარბაზში საშინელი ხმაურობა დაიწყო.

რადგან ლაპარაკი შეუძლებელი იყო, მალინოვსკიმ წინადადება შეიტანა კენჭის ყრით გადაეწყვიტათ. სურს თუ არა კრებას მისი სიტყვის მოსმენა. კენჭის ყრის დროს მალინოვსკისათვის სიტყვის მიცემას მხარი დაუჭირა მხოლოდ 8 კაცმა, რის შემდეგ მალინოვსკიმ განაცხადა, რომ მიტინგი დახურულია და დამსწრეთ წინადადება მისცა დაშლილიყვნენ. ამის პასუხად მუშებმა „კრასნოე ზნამია“ იმღერეს.

ამ დროს ტრიბუნაზე ავიდა კომუნისტი დეპუტატი ვარსკი, რომელმაც ხელ-ახლა გახსნა მიტინგი. მუშების მისალმების შემდეგ, ვარსკიმ ვრცელი მოხსენება წაიკითხა პოლონეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ. მოხსენება მოსმენილ იქნა უდიდესი ყურადღებით. მოხსენების დამთავრების შემდეგ 4.000 დამსწრე მუშის სახელით ერთხმად მიღებულ იქნა მთავრობის საწინააღმდეგო რეზოლიუცია.

ჩინეთის ფრონტებზე

პეკინი, 10 მარტი. 26 და 27 თებერვალს ხო-ნანის პროვინციაში უ-პეი-ფუს ჯარებმა დაამარცხეს მეორე სახალხო არმია, რომელმაც უკან დაიხია ჩრდილოეთით, ჩან-ტე-ფუს მიმართულებით.

27 თებერვალს მუკდენელ გენერალ ლი-ჩინ-ლინის ჯარებმა შან-დუნის პროვინციაში დაამარცხეს მესამე სახალხო არმია.

ამის გამო პირველ სახალხო არმიას მოუხდა ფრონტის გამოსწორება, რომელიც 27 თებერვალს გადიოდა მაჩანის ჩრდილოეთით, 50 კილომეტრის მანძილზე ტიან-ცზინის სამხრეთით.

მარტის პირველ რიცხვებში პირველმა სახალხო არმიამ დაიწყო იერიშებზე გადასვლა. 8 მარტს მან დაამარცხა ლი-ჩინ-ლინის ჯარები, რომელნიც იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ ჩენ-ჩოუსაკენ, ჩჟილის პროვინციაში.

მიუხედავად მიღწეულ გამარჯვებისა, პირველი სახალხო არმიის ნაწილების მდგომარეობა რთულია, რადგან ჩან-ძო-ლინის ჯარები ცდილობენ გამაგრონ მდინარე ლუან-ხო და პეკინის მხრით ზურგში მოექცნენ სახალხო არმიას.

მეორე და მესამე სახალხო არმიების ნაშთები ამჟამად სამხედრო ძალად აღარ ჩაითვლებიან. პირველი სახალხო არმია იძულებული იქნება განმარტოებით გადასჭრას მის წინაშე დას-

„საკუთარი ძალებით“ იმუქრებიან.

პეკინი, 10 მარტი. რადგან განზრახული იყო მუკდენის სამხედრო ძალების მოთავსება უცხოელების გემებზე, რათა დესანტი გადაესხათ სახალხო არმიის ზურგში, ამ უკანასკნელმა ნაღმები ჩააწყო ტაკუს ნავთსადგურის შესასვლელთან. ამრიგად დაკეტილია საზღვაო გზა ტიან-ცზინისაკენ. დაკეტილია ზღვაში გასასვლელი პეკინიდანაც.

ამის გამო უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა პეკინის მთავრობას პროტესტი განუცხადეს „ბოქსერთა ოქმის“ დარღვევის გამო. უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ პეკინის მთავრობამ ზომები მიიღოს ზღვაში გასასვლელის გასახსნელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხოეთის სახელმწიფოები უფლებას იტოვებენ „საკუთარი ძალებით“ გახსნან ზღვაში გასასვლელი გზა.

მოსულის საკითხი

ანგორა, 10 მარტი. პასუხად ლიგის მიპატიჟებისა მოსულის საკითხის გარჩევაში მონაწილეობის მისაღებად ოსმალეთის მთავრობამ ერთა ლიგის სამდივნოს შემდეგი განცხადება გაუგზავნა:

„თქვენ მიერ 4 მარტს გამოგზავნილი დეპეშა ჩვენ მივიღეთ მხოლოდ 6 მარტს საღამოთი. ინგლის-ირაქის ხელშეკრულების ტექსტი და ინგლისის მთავრობის თანდართული წერილი, რომელიც მოხსენებული იყო დეპეშაში, ჩვენ ჯერ არ მიგვიღია. ამიტომ ამ საბუთების შინაარსთან ჩვენ არ ვართ გაცნობილი.

ასეთ პირობებში ოსმალეთს საშუალება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს კამათში. რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისი მოსულის საკითხზე ნათლად და გარკვევით გამოხატა ოსმალეთის დელეგაციამ ერთა ლიგის საბჭოს წინანდელ სესიაზე, რომელზედაც ეს საკითხი გაირჩა და არამც თუ არ გადაწყვეტილა, არამედ დატოვებულ იქნა ღიად და მას შემდეგ არ ყოფილა არავითარი ცდა მის მოსაგვარებლად“.

მოსულის საკითხი არ ყოფილა განხილული

ანგორა, 10 მარტი. ინგლისის ელჩი ოსმალეთში ლინდსეი ანგორიდან სტამბოლში დაბრუნდა.

საუბარში, რომელიც ლინდსეის ჰქონდა ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრთან თევფიკ რუშდი-ბეისთან, განხილულ იქნა მიმდინარე საკითხები. მოსულის საკითხს საუბარი არ შეხებია.

„მეფის რაზმელები“

პარიზი, 10 მარტი. კრებას, რომელზედაც სადულს და კომუნისტ დეპუტატ ვაიან კუტიურეს მოხსენება უნდა გაეკეთებინათ საბჭოთა კავშირის შესახებ, თავს დაესხნენ „მეფის რაზმელები“, რომელნიც კეტებით და რევოლვერებით იყვნენ შეიარაღებულნი. კრებაზე დამსწრეებს შორის სამი დასჭრეს რევოლვერით. ესროლეს სადულსაც, მაგრამ უკანასკნელს ტყვია ასცდა.

„იუმანიტე“ იტყობინება, რომ პოლიცია, იმის მაგიერ, რომ დაეპატიმრებია შეიარაღებული ფაშისტები, კრების მონაწილეებს აპატიმრებდა და ეჩხუბებოდა.

სხვადასხვა

— **გადაფრენა კაპშტადტიდან ლონდონში.** ინგლისის სამხედრო მფრინავი კაპიტანი კობჰემი, რომელიც კაპშტადტიდან უკან ლონდონში მფრინავს, ქაირიდან სოლუმში გაფრინდა.

— **ვაგის განთავისუფლება.** ამ დღეებში დაპატიმრებული უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ლიდერი ვაგი განთავისუფლებულ იქნა.

— **საბჭოთა კავშირი ნიმუშების გამოფენაზე მილანში.** საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში კერჟენცევი მილანში ჩავიდა. მისი მიზანია გამოარკვიოს საკითხი საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ ნიმუშების გამოფენაზე.

— **ვილჰელმ ლიბკნეხტის სიტყვის კონფისკაცია.** ბუდაპეშტის სასამართლომ დაადგინა „ანტისახელმწიფოებრივი“ შინაარსისათვის კონფისკაცია უყოს ვილჰელმ ლიბკნეხტის სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა 50 წლის წინად დრეზდენში.

— **ყუმბარების აფეთქება სედლეცში.** სედლეცის (პოლონეთი) საარტილერიო საწყობში მოხდა ყუმბარების აფეთქება. მოკლულია 2 ჯარისკაცი და დაჭრილია 2.

— **პოლიციის ტერორი გაძლიერდა.** პოლონეთის განაპირა ადგილებში პოლიციის ტერორი ხელ-ახლა გაძლიერდა. პოლიციელები მოქალაქეებს აპატიმრებენ თითქმის სრულებით უმიზეზოდ. დაპატიმრებულთ აწამებენ და შემდეგ ათავისუფლებენ. დაპატიმრების მიზეზს აუხსნელად.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სოფლის კორესპონდენტის მოკვლა

ალატირი, 11 მარტი. სოფ. „კრუგლაია პოლიანაში“ ალატირის მაზრა, მოკლული იქნა გაზეთ „ბედნოტა“-ს სოფლის კორესპონდენტი მატვეევ-პოგოდინი. მკვლელები არიან დოროგოვი და მისი შვილები, რომელნიც მატვეევმა კედლის გაზეთის საშუალებით ამხილა ქურდობაში.

სამეცნიერო-გამომკვლევი საკოლონიზაციო ინსტიტუტი

მოსკოვი, 11 მარტი. საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში გამართა სამეცნიერო-გამომკვლევი საკოლონიზაციო ინსტიტუტის სხდომა, რომელზედაც პროფესორმა ბატიუშკოვმა წაიკითხა მოხსენება აგრარულ-ინდუსტრიულ წარმოებათა მოწყობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის ასეთ საფუძველზე გადაყვანა გაადიდებს სასოფლო მეურნეობის შემოსავლიანობას 6-ჯერ., ხოლო ასეთი რეფორმის განხორციელებას დასჭირდება სულ 1½ მილიარდი მანეთის კრედიტი. მომხსენებლის აზრით საჭიროა ამ რეფორმის სასწრაფოდ განხორციელება.

სხდომამ აღიარა, რომ მოხსენება შეიცავს ახალ და ძვირფას მოსაზრებებს, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

საწოლების განაწილება კურორტებზე

მოსკოვი, 11 მარტი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საკურორტო საწოლების განაწილების გეგმა 1926 წლისათვის. მუშამოსამსახურეებს მიეცათ 321.510 ადგილი სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. განაწილება მოხდება შემდეგი ანგარიშით: 36 ადგილი დასასვენებელ სახლებში ან 2 საწოლი სანატორიუმებში ყოველ ათას მშრომელზე.

საგეგმო ორგანოების პრეზიდიუმების საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 11 მარტი. 10 მარტს გაიხსნა რესპუბლიკის საგეგმო ორგანოების პრეზიდიუმთა პირველი საკავშირო ყრილობა. ყრილობას დაესწრო ასამდე დელეგატი ცენტრალურ და ადგილობრივ საგეგმო ორგანოებისაგან და აგრეთვე სახ. კომისარიატების და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

კომინტერნის დელეგატები „ცენტროსოიუზ“-ში

მოსკოვი, 11 მარტი. კომინტერნის დელეგატების ერთმა ჯგუფმა ინახულა „ცენტროსოიუზი“. დელეგატები გაეცნენ „ცენტროსოიუზი“-ს სტრუქტურას და საერთო მუშაობას. ხინჩუკმა დელეგატებს გააცნო საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარება.

საკავშირო კულტურულ თათბირის გადადება

მოსკოვი, 11 მარტი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით კულტურული თათბირი გადადებულია 14 აპრილისათვის.

ხუ-ხან-მინის დაბრუნება ჩინეთში

მოსკოვი, 11 მარტი. 12 მარტს მოსკოვიდან ჩინეთში მიემგზავრება კანტონის არმიის გენერალისიმუსი და „გომინდანის“ ბიუროს წევრი ხუ-ხან-მინი.

უკრაინა

შეღავათები გერმანელ გემებისათვის

მოსკოვი, 11 მარტი. გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების ძალაში შესვლის გამო 12 მარტიდან ოდესაში შემავალ გერმანულ გემებს ეძლევათ შეღავათები ნავთსადგურის გადასახადის შეტანის და დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუალებებით სარგებლობის მხრივ. გერმანიის გემებს ენიჭებათ აგრეთვე სანაპირო მიმოსვლის უფლება შავი ზღვის ნავთსადგურებს შორის.

წყალდიდობა ხარკოვში

ხარკოვი, 10 მარტი. 10 მარტს ღამით ხარკოვის მდინარეები მოულოდნელად ადიდდენ. დაბლობ რაიონებში წყალმა დაფარა რამოდენიმე სახლი. დილით წყალი სხვა რაიონებშიაც გადავიდა.

წყალდიდობის ადგილას სასწრაფოდ გაგზავნეს ცხენოსანი ძალები. წყალი მატულობს. დაბლობ ადგილებს სასწრაფოდ მოცლიან. დაარსდა სპეციალური კომისია წყალდიდობასთან საბრძოლველად.

საბჭოთა ნავთი ოსმალეთში

მოსკოვი, 11 მარტი. ნავთის სინდიკატმა მიიღო დაკვეთა ოსმალეთის ნავთის მომარაგებისათვის ბენზინის და ნავთის მიწოდების შესახებ. ამის გამო ნავთის სინდიკატის თავმჯდომარის მოადგილემ ფროლმანმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს შემდეგი განუცხადა:

„ოსმალეთში სამი თვის განმავლობაში ბრძოლა სწარმოებდა ნავთის მონოპოლიის გარშემო. ნავთის სინდიკატმა შესძლო ოსმალეთის ნავთის ბაზრის ნახევარზე მეტის დაპყრობა, იმ სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელსაც მსოფლიო ნავთის კამპანიები, სტანდარტი და სოკონიბელი გვიწევდნენ.

გადაწყვეტილი იყო კონცესიით მონოპოლიის გაცემა და თავის-თავად ცხადია, თითოეული კონკურენტი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ხელში ჩაეგდო ის კონცესია. შემდეგ ოსმალეთის მთავრობამ შემოიღო სახელმწიფო მონოპოლია, რომელიც გულისხმობს ნავთის პროდუქტების შემოტანის გადასვლას სახელმწიფოს ხელში. 2 მარტს გამართა პირველი საჯარო ვაჭრობა 12.000 ტონი ნავთის და 2.000 ტონი ბენზინის მიწოდებაზე. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო ნავთის სინდიკატმა, სტანდარტმა და სოკონიბელმა.

8 მარტს ჩვენ მივიღეთ წერილი, რომ საჯარო ვაჭრობაში გაიმარჯვა ნავთის სინდიკატმა. ეს გამარჯვება მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი კონკურენტები ცნობილი მსოფლიო კამპანიები იყვნენ.

„გლეხის გაზეთი“-ს მილიონიანი ტირაჟი

მოსკოვი, 11 მარტი. „გლეხის გაზეთი“-ს ტირაჟის მილიონამდე ავსვლის გამო მოსკოვში მყოფმა იაპონიის, ჩინეთის, კორეის, ინდოეთის და ინდონეზიის გლეხთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გლეხთა ინტერნაციონალის საშუალებით მისალმება გაუგზავნეს გაზეთს.

მოსკოვი, 11 მარტი. ცენტრალური „გლეხის გაზეთი“-ს ტირაჟი მილიონ ეგზემპლიარს აღწევს. ეს არის პირველი გლეხური გაზეთი მსოფლიოში ასეთი დიდი ტირაჟით. გაზეთის გარშემო თავს იყრის 6.000 სოფლის კორესპონდენტი. რედაქცია იღებს ყოველთვიურად დაახლოვებით 65.000 გლეხის წერილს. გაზეთთან ერთად გამოდის 14 ჟურნალი.

რკინისგზელთა საკავშირო ყრილობა

რკინის-გზელთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 11 მარტი. გაიხსნა რკინის-გზელთა სრულიად საკავშირო ყრილობა. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს კალინინმა და რიკოვმა. შემდეგ ყრილობამ მოისმინა საზღვარ-გარეთელ ამხანაგების მისალმება.

მოსკოვი, 11 მარტი. რკინის-გზელების სრულიად საკავშირო ყრილობამ მოისმინა ტომსკის (პარიზიდან) დეპეშა, ინგლისის რკინის-გზელთა და ცეცხლის შემკეთებელთა კავშირის გენერალურ მდივნის ბრომლეის, ინგლისის პროფკავშირთა რევოლიუციონერ უმცირესობის კომიტეტის, გაზეთ „სენდეი უორკერს“-ის რედაქციის, საფრანგეთის რკინის-გზელთა რევოლიუციონერ კავშირის, ინგლისის რკინის-გზელთა ნაციონალურ კავშირის და ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციის მდივნის ედდო ფიმმენის წერილობითი მისალმებანი.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ნორვეგიის და ჩეხო-სლოვაკიის რკინის-გზელთა წარმომადგენლებმა.

ამხ. კალინინის სიტყვა

საბჭოთა კავშირის ცაკის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. კალინინი, რომელსაც ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდენ.

კალინინი ამბობს, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა უფრო სუსტია, ვიდრე მოველოდით. საჭიროა ამ მხრივ ინტენსიფიკაცია და ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შემოღება. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს საინჟინერო-ტეხნიკურ პერსონალის შერჩევას.

ინჟინერებს და ტეხნიკოსებს უნდა მიეცეთ შემოქმედებითი მუშაობის გაშლის საშუალება. პროფკავშირებმა ძალიან ცოტა გააკეთეს ჯერ-ჯერობით სპეციალისტებისათვის. სპეციალისტის როლი მეტად მნიშვნელოვანია. მუშათა კლასი მხოლოდ სპეციალისტის დახმარებით გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას.

შრომის ნაყოფიერების ზრდა ნიშნავს სოციალიზმის შენებას. ტრანსპორტის წინაშე დასმული ამოცანები რთულია და ძნელი. ტრანსპორტის მუშაკები ყოველთვის პირნათლად ასრულებდენ თავიანთ მუშაობას და ამიტომაც სპეციალისტების და პროფკავშირთა ორგანიზაციების დახმარებით წარმატებით შეასრულებენ დაკისრებულ ამოცანებს.

შემდეგ ყრილობას ესალმებიან: გეშკე გერმანიის რევოლიუციონერ რკინის-გზელების სახელით. ენგლერი საფრანგეთის რკინის-გზელთა უნიტარულ ფედერაციის სახელით, და სიმონი პროფინტერნის სახელით.

ამხ. რიკოვის სიტყვა

მთელი ყრილობა მქუხარე ტაშით ხვდება რიკოვს. თავის მისასალმებელ სიტყვაში რიკოვი დაწვრილებით ეხება რკინის-გზის ტრანსპორტის მდგომარეობას. რიკოვი აღნიშნავს რკინის-გზის ტრანსპორტის მნიშვნელობას საერთო სამეურნეო აღმშენებლობისათვის. საქონლის გადაზიდვამ რკინის-გზით ძალიან იმატა. დღე და ღამის განმავლობაში დატვირთვა ნავარაუდევი იყო 22.000 ვაგონი. ფაქტიურად 25.000 ვაგონს კი აღწევს.

ტრანსპორტის დაბრკოლებას წარმოადგენს სათბობ მასალის ნაკლებობა. სათბობი მასალის ნაკლებობის დასაძლევათ მიღებულია სათანადო ზომები.

მეორეს მხრივ, ლითონის მრეწველობა სავსებით ვერ ასრულებს ტრანსპორტის შეკვეთებს.

მიუხედავათ ამისა, რკინის-გზის ტრანსპორტის მუშაობა 10-15%-ით მეტი იქნება, ვიდრე ეს იყო ნავარაუდევი.

საჭიროა მხოლოდ უნაყოფო ხარჯების შემცირება, ექსპლოატაციის გაუმჯობესება. მომჭირნეობა-სათბობი და სხვა მასალების ხარჯვაში.

„ჩვენ ამბობს რიკოვი თავს დავაახწევთ სამეურნეო გაჭირვებას. საერთოდ ეს წელიწადი ჩვენთვის შედარებით ბედნიერი წელიწადია. ჩვენ საშუალება გვექნება 700-800 მილიონი მანეთი მოვახმაროთ ძირითად კაპიტალის აღდგენას. შარშანდელთან შედარებით მიმდინარე წელს ჩვენი მეურნეობის განვითარების ტემპი გაძლიერებულია 37-ით. არც ერთ ევროპიელ ქვეყანაში ადგილი არა აქვს ასეთ მიღწევებს“.

რეზოლიუცია რიკოვის მოხსენების გამო

ამხ. რიკოვის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა აღნიშნავს ქვეყნის მეურნეობის ზრდას და დროებით დაბრკოლებებს. 800.000 რკინის-გზელის სახელით ყრილობა აცხადებს, რომ საჭიროა ამ დაბრკოლებათა გადალახვა და მთელი ძალღონის მომართვა სატრანსპორტო მეურნეობის განმტკიცებისა და მასალების რაციონა-

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

დახმარება ღარიბ გლეხობას

ბაქო, 11 მარტი. აზ. ცაკის პრეზიდიუმის მესამე სესიის დადგენილების განსახორციელებლად, გადაწყვეტილია—განჯის მაზრის მთიან ნაწილის უღარიბეს გლეხებს დაურიგდეს 1200 დეს. მიწა სახ. ფონდიდან.

ამ მიდამოებში არხების გასაყვანად გადადებულია 12.000 მანეთი.

პროფკავშირთა მეხუთე ყრილობა

ბაქო, 11 მარტი. აზერბეიჯანის პროფკავშირთა მეხუთე ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები და პრაქტიკული წინადადებები მოსმენილ მოხსენებების გამო.

მოხდა აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის ხელ-ახალი არჩევნები.

პლენუმი რიცხვობრივად შემცირებულია. მის ახალ შემადგენლობაში შედის 112 კაცი.

ტყავის ქარხანა

ბაქო, 11 მარტი. ტყავის წარმოების გასაფართოებლად სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა აშენებულ იქნას ბაქოში დიდი ტყავის ქარხანა, რომელიც მოწყობილი იქნება ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით.

ხმამაღლა მოლაპარაკე

ბაქო, 11 მარტ. ბაქოს საბჭოს შენობაში დადგმულია ხმამაღლა მოლაპარაკე, რომელიც ყოველ დღე იღებს საგაზეთო და სამხატვრო-მუსიკალურ მასალას მოსკოვიდან.

მოკლე ხანში ხმამაღლა მოლაპარაკე დაიდგმება მოედანზე.

საექიმო დახმარება მუშებს

ბაქო, 11 მარტი. ქალაქის მუშათა რაიონებში საექიმო დახმარებამ გადააჭარბა წინადროინდელ ნორმებს. სააფრიკო-საქარხნო რაიონის ამბულატორიებში დღეში ტარდება 900 ავადმყოფი, ომის წინა დროს კი 300 ტარდებოდა. საბუნჩო რაიონში — 1500 ნაცვლად 1.000-ისა.

ბაქოს საბჭო აშენებს ახალ საავადმყოფოს 500 საწოლით. საავადმყოფოს მოწყობას დასჭირდება 150.000 მანეთი, მოწყობა დამთავრდება მიმდინარე წლის დეკემბერში.

დახვრეტა

ლენკორანი, 11 მარტი. ბაქოს სახ. სასამართლოს სესიამ დახვრეტა მიუსაჯა ხოსროვ-ნასირ-ოღლის მეზობლის გაძარცვის და მკვლელობისათვის.

სომხეთი

სომხეთის ცაკის სესია

ერევანი, 11 მარტი. სომხეთის მეოთხე მოწვევის ცაკის მესამე სესია გაიხსნება აპრილის ნახევრისათვის.

მოსმენილ იქნება ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა მოხსენებანი. აგრეთვე მოსმენილ იქნება მოხსენებები ადგილებიდანაც.

მიწის მომწყობი მუშაობა

იჯევანი, 11 მარტი. მოვიდა მიწ.-მოქ. კომისარიატის მიერ გამოგზავნილი 4 მიწის მზომელი მიწათ მოწყობაზე სამუშაოთ. პირველად მუშაობა ბარში დაიწყება.

სოფლის საბჭოებს განკარგულება მიეცა, მიწისმზომელებს აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება.

საავადმყოფოს გაფართოება

ლენინაკანი, 11 მარტი. დამთავრდა პირველ საბჭოთა საავადმყოფოს შეკეთება, რასაც მოუნდა 15.000 მან.

იხსნება ვენეროლოგიური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები. აგრეთვე გაიხსნება სადეზინფექციო კამერა.

ყვავილი

კაპარლიოუ, 11 მარტი. მთელს რაიონში გავრცელებულია ყვავილით ავადმყოფობა, რამდენიმე კიდეც მოკვდა. მიღებულია საგანგებო ზომები.

ღამის ცნობები

საფრანგეთის ახალი კაბინეტის პირველი სხდომა

ლონდონი, 11 მარტი. დღეს შესდგა ბრიანის ახალი კაბინეტის პირველი სხდომა. მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა საფინანსო მდგომარეობის საკითხის და მთავრობის დეკლარაციის საერთო ხასიათის გარშემო. ჟენევიდან ბრიანის დაბრუნების შემდეგ, მინისტრთა საბჭო, ალბად ორშაბათს, განიხილავს დეკლარაციას, რომელიც დეპუტატთა პალატაში გამოქვეყნდება სამშაბათს.

მთავრობის დეკლარაცია

პარიზი, 11 მარტი. პალატები შეიკრიბებიან სამშაბათს და მოისმენენ მთავრობის დეკლარაციას, რომელიც ძალიან მოკლე იქნება.

რაულ პერეს პროგრამა.

ლონდონი, 11 მარტი. საფრანგეთის ახალმა ფინანსთა მინისტრმა რაულ პერემ ჟურნალისტებთან საუბარის დროს განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანია დაუყოვნებლივ ზომების გამოძებნა ბიუჯეტის წონასწორობაში მოსაყვანად.

პარიზი, 11 მარტი. ახალი კაბინეტის პირველი სხდომის შემდეგ, პერემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის თავის გარშემო შემოიკრებს საფინანსო საქმის სპეციალისტებს და სთხოვს სენატს დაუყოვნებლივ დაამტკიცოს გადასახადები, რომელიც დეპუტატთა პალატამ უკვე მიიღო.

„ჟენევის სამინისტრო“.

ლონდონი, 11 მარტი. პარიზის პრესა დიდი აღტაცებით არ ხვდება ახალ კაბინეტს. ერთ-ერთი გაზეთი კაბინეტს „ჟენევის სამინისტროს“ უწოდებს.

საგეგმო ორგანოების პრეზიდიუმთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 11 მარტი. 10 მარტს გაიხსნა რესპუბლიკების საგეგმო ორგანოების პრეზიდიუმთა პირველი საკავშირო ყრილობა. ყრილობას ესწრება 100-დე დელეგატი.

ყრილობას ხსნის საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე კრჟიჟანოვსკი, რომელიც მოხსენებას აკეთებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის შედეგების და პერსპექტივების შესახებ.

იტალიის და სამხრეთ-სლავიის შეთანხმება

ბერლინი, 11 მარტი. როგორც „ტაიმს“-ი იტყობინება, იტალიის და სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულების დამატების თანახმად, ორივე სახელმწიფო საერთო ფრონტით უნდა გამოვიდეს გერმანიის და ავსტრიის გაერთიანების წინააღმდეგ; სამხრეთ-სლავია ვალდებულია არ ააგოს ნავთსადგური ადრიატიკის ზღვაზე; იტალიამ მხარი უნდა დაუჭიროს სამხრეთ-სლავიის პოლიტიკას სალონიკში.

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეხუთე ყრილობა

მეექვსე სხდომა

11 მარტს, დილის სხდომაზე გრძელდებოდა

კამათი ამხ. ჟურულაშვილის მოხსენების გარშემო

ამხ. აკოპოვი (გორი)

აღნიშნავს, რომ გამფლანგველებს არ აძლევენ პასუხისგებაში, მას მოჰყავს მაგალითი გორის მაზრიდან. გადადის რა კავშირში ახალ წევრების მიღების საკითხზე, ორატორი მოითხოვს კავშირში ახალ წევრთა მიღების ფრთხილად წარმოებას.

ბრეგვაძე (ჭიათურა)

ჭიათურის მაღაროს მუშების შრომის პირობები თუმცა გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც ვერ არის შესაფერის სიმაღლეზე. გვირაბებში მუშებს ნავთის სანათურებით უხდებათ მუშაობა და კვამლის ყლაპვა. კვალიფიციურ მუშების სიმცირე თვალსაჩინოა, ხოლო ახალ ძალების მოსამზადებლათ ზომები არ არის მიღებული. ორატორს საჭიროდ მიაჩნია ჭიათურაში სამთო-სამრეწველო სასწავლებლის დაარსება.

ამხ. მესროპოვი (გორი)

სარაიონო სამდივნოების სისტემა მიზანშეწონილია, მაგრამ მათი მუშაობა შეფერხებულია ნივთიერ საშუალებათა უქონლობის გამო. ასეთ პირობებში სამდივნოების არსებობას არ მოაქვს დადებითი შედეგები. ცალკე კავშირების ადგილობრივ განყოფილებათა ხარჯთ-აღრიცხვა შეკვეცილია ცენტრალურ გამგეობათა მიერ, რაც ხელს უშლის მათ მუშაობის გაცხოველებას.

ამხ. გურგენიძე (რაჭა)

აღნიშნავს, რომ პროფსაბჭოს წარმომადგენლები არც ერთხელ არ ყოფილან რაჭის მაზრაში. მიწა - ტყის კავშირის მუშაობა სოფლად მოისუსტებს, რადგან ამ კავშირს მაზრაში არ არის საკავშირო ძირითად ორგანიზაციების ქსელი. კულტმუშაობა და ახალგაზრდათა შორის მუშაობა მოისუსტებს.

ამხ. ვარდანოვა
(გემოკვების მუშაკი)

ეხება ქალთა შორის მუშაობის საკითხებს და აღნიშნავს ამ მუშაობის სისუსტეს.

ამხ. თურქია
(საბჭ. და სავაჭროთა მუშაკ. კავშირი)

მოითხოვს ინდუსტრიალურ და არა ინდუსტრიალურ კავშირების ერთგვარ უფლებრივ პირობების ჩაყენებას. ორატორი ეხება გაზეთ „მუშა“-ს და საჭიროდ სცნობს მისთვის ნივთიერი დახმარების აღმოჩენას და შინაარსის გაუმჯობესებას, იმ მხრივ, რომ გაზეთში უფრო ვრცლად იქნეს გაშუქებული პროფესიონალური კავშირების ცხოვრება.

დილის სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. არველაძემ, გულისვერდაშვილმა, ხირსელმა, ამირბეგოვმა, ემელიანოვმა, კალანდაძემ და კოჯოხაძემ.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვა მიეცა ამხ. გ. ჟურულაშვილს.

ამხ. ჟურულაშვილის საბოლოო სიტყვა

სიტყვის დასაწყისში ამხ. ჟურულაშვილი აღნიშნავს იმ განსაკუთრებულ სიცხოველეს, რომლითაც მიმდინარეობს ყრილობის მუშაობა.

— აქ ზოგიერთი ამხანაგები ლაპარაკობდენ, რომ ადგილკომების ქსელის გაფართოებამ არაფერი მოგვცა. ის ყრილობები და კონფერენციები, რომლებიც ჩატარდა საკავშირო ძირითად ქსელის რეორგანიზაციის შემდეგ და თვით ეს ყრილობაც ამტკიცებს იმას, რომ საკავშირო მუშაობაში წევრთა ფართო ფენების ჩაბმასთან ერთად გაიზარდა აქტივობაც. მართალია, მასიური მუშაობა ჯერ-ჯერობით არ არის დაყენებული ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ეს მუშაობა ჯერ ახალ დაწყებულია. მომავალში ის, რასაკვირველია, უფრო გაიზრდება და გაღრმავდება. ყოველ შემთხვევაში ეხლა უკვე ცხადია ის, რომ საკავშირო ძირითად ორგანიზაციების ისევ შემჭიდროებაზე ლაპარაკი ერთხელ და სამუდამოთ უნდა გათავდეს.

კამათში მონაწილე ამხანაგები გვისაყვედურებდენ, რომ ადგილების გამოკვლევა არ სწარმოებდა სისტემატიურად და გარდა ამისა ის ზერელეთ ხდებოდა. ჩვენ ვეთანხმებით ამხანაგებს იმაში, რომ საჭიროა ადგილებზე უფრო ნაკლებჯერ ჩასვლა, მაგრამ იქ უფრო ხანგრძლივად დარჩენა და მუშაობის საფუძვლიანათ გამოკვლევა. რაც შეეხება პროფმოძრაობის კურსებს რომელზედაც აქ ლაპარაკობდენ, საქმე შემდეგშია: ეს კურსები დაარსა პროფსაბჭომ პროფმუშაკების მოსამზადებლათ. პროფსაბჭომ შესძლო ამ კურსების პედაგოგიურ პერსონალის უზრუნველყოფა, ხოლო მსმენელების უზრუნველყოფა დაევალა კავშირების ც. გამგეობას. თუ გამგეობებმა არ გამოუგზავნეს მუშაკების ყველა მაზრებიდან ეს ალბათ მათი ნივთიერი ხელმოკლეობით აიხსნება და პროფსაბჭო აქ არაფერი შუაშია.

თბილისის მაზრის დელეგატები გვისაყვედურებდენ, რომ ც. გამგეობები მათ გაზეთებს არ უწერს და არ უგზავნის ადგილებზე. გაზეთების გამოწერა ამხანაგებო, არ შეადგენს ც. გამგეობათა მოვალეობას. ამის შესახებ უნდა იზრუნონ თვით ადგილობრივმა პროფუჯრედებმა.

აქ იყო აგრეთვე ლაპარაკი მილიციის და გამსახლების მუშაკთა ხელფასის სიმცირეზე. ეს მართალია, მაგრამ ჩვენ ვერავინ გვისაყვედურებს თითქოს არ მიგვეღოს ზომები ამ მხრივ. მილიციელთა ხელფასის საკითხში გარდა ამისა ჩვენ უმთავრესად ზრუნვა გვიხდებოდა კიდევ დავალიანების მოსასპობად.

პროფსაბჭო ვერ მიიღებს თავის თავზე აგრეთვე საყვედურებს გამფლანგველების და შრომის კანონების დამრღვეველთა დაუსჯელობის შესახებ. ამხანაგებმა ადგილობრივ უნდა იზრუნონ იმის შესახებ, რომ ასეთი პირები დაუსჯელი არ დარჩენ და მისცენ ისინი პასუხისგებაში.

სარაიონო სამდივნოების შესახებ, მე შემდეგი უნდა განვაცხადო: არსებულ სამდივნოების მუშაობა ჯერ-ჯერობით არ არის გამოკვლეული. ამ გამოკვლევას ჩვენ ვაწარმოებთ და განზრახული გვაქვს დავსტოვოთ მხოლოდ ისეთი სამდივნოები, რომელთაც არსებობისათვის ნივთიერი საშუალება ექნებათ. მანამდის კი, ახალი სამდივნოები არ იქნებიან დაარსებული.

შემდეგ ორატორმა პასუხი გასცა კიდევ მთელ რიგ ორატორებს და დასასრულ შეჩერდა საბინაო მშენებლობის საკითხზე.

აქ აღნიშნული იყო ის, რომ საბინაო კრიზისი განსაკუთრებით მწვავეთ სდგას დღეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სიმწვავის შენელება არ შეიძლება შემჭიდროებისა და სხვა ამგვარი ზომების საშუალებით. ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია საბინაო მშენებლობის გაძლიერება.

არის თუ არა ამისათვის შესაფერისი პირობები?

პირობები არის. მშენებლობა სწარმოებს და მომავალ სამშენებლო სეზონისათვის, ის კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგან ამ საქმისათვის როგორც ქალაქის აღმასკომის, ისე რკინისგზის და მთელი რიგი სამეურნეო ორგანოებისა და ბანკების მიერ გადადებულია საგრძნობი თანხები.

საბოლოო სიტყვის შემდეგ ამხ. გ. ჟურულაშვილმა პასუხი გასცა შეკითხვებს.

ყრილობამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მუშაობის შესახებ:

საქართველოს პროფკავშირთა მეხუთე ყრილობამ მოისმინა ამხ. გ. ჟურულაშვილის მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მუშაობის შესახებ და სთვლის, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში დიდი მუშაობა არის შესრულებული მასიურ მუშაობის გასაღრმავებლათ, საკავშირო მუშაობაში სრული დემოკრატიული პრინციპების გასატარებლათ, ამ მუშაობაში მასების აქტიურად ჩასაბმელათ, ადგილებთან კავშირის გასაცხოველებლათ, კულტურული მუშაობის გამოსასწორებლათ და საქართველოს მუშათა კლასის ეკონომიურ პირობების გასაუმჯობესებლათ. ამასთან ერთად ყრილობა დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ დიდი მიღწევებია დასავლეთ ევროპის პროლეტარიატთან კავშირის განმტკიცების დარგში, როგორც ჩამოსულ დელეგაციების, აგრეთვე წერილობით კავშირის საშუალებით.

ყრილობა მთლიანად იწონებს საქართველოს პროფსაბჭოს მიერ აღებულ ხაზს და მის მუშაობას სთვლის სავსებით დამაკმაყოფილებლათ.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ სხდომა დაიხურა და ყრილობის დელეგატებმა გადაიღეს სურათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვიდე სხდომა

შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. არ. მიქაძე).

გუშინ, 11 მარტის საღამოს სხდომაზე, საქ. შრომის სახალხო კომისარიატის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. არჩ. მიქაძემ.

სოციალური დაზღვევა

შრომის ფრონტზე მოპოვებულ მიღწევებს ყველაზე უკეთ ახასიათებს სოციალური დაზღვევის საქმის მოწესრიგება, საანგარიშო წლის განმავლობაში სოციალური დაზღვევის ორგანოებმა შესძლეს გაეფართოებიათ თავიანთი საქმიანობა როგორც დაზღვეულთა რიცხვის გადიდების, ისე დაზღვეულთათვის ნივთიერი დახმარების გაძლიერების მხრივ. დაზღვევის საქმეში ერთ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სოც. დაზღვევის ორგანოებმა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში უკანასკნელ დრომდე ვერ მოახერხეს სოციალური დაზღვევა გაევრცელებიათ ერთეულ მუშებზე, სეზონობით მომუშავე პირებზე.

ამჟამად საქართველოში სოციალური დაზღვევა ვრცელდება 88.000 მუშა-მოსამსახურეებზე. ამ რიცხვში არ შედიან რკინისგზელები, რომელთა დაზღვევას კისრულობს განსაკუთრებული რკინისგზის დამზღვევი სალარო. რესპუბლიკის მასშტაბით მოწყობილია 14 დამზღვევი სალარო, 8 დასაზღვევი პუნქტი, და დანიშნულია 47 რწმუნებული.

ამასთანავე აღსანიშნავია ის, რომ წინა წელიწადთან შედარებით, როგორც სოციალური დაზღვევის მომქმედი აპარატი, ისე ხარჯები ამ აპარატის შესანახად, საგრძნობლად იქნა შემცირებული.

ამავე დროს მიღებულია ყოველგვარი ღონისძიება დახმარებათა და პენსიების ნორმების გასადიდებლად. მაგ. დახმარების ნორმა უმუშევრებისათვის 7 მან. 50 კაპიკიდან გადიდებულ იქნა 15 მანეთამდე. დახმარება მშობიარობის დროს — 13 მანეთიდან — 50 მანეთამდე. დახმარება ძუძუმწოვარ ბავშვის გამოსაკვებად გადიდებულ იქნა 3 მან. 50 კაპიკიდან — 6 მან. 30 კაპ.

ავადმყოფობის დროს დამზღვევი ორგანოები მუშა - მოსამსახურეებს აძლევდენ საშუალო ხელფასს სრული რაოდენობით, მაგრამ მომავლისათვის ჩვენ იძულებული ვართ რამდენიმეთ შევზღუდოთ ავადმყოფობის დროს ხელფასის არსებული რაოდენობით გაცემა და მაქსიმუმ კომპენსაციათ უნდა დავაწესოთ არა - უმეტესს 120 მანეთისა თვეში. ანგარიშში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ კომპენსაციის ასეთი დაწესება სრულიად არ შეეხება მუშა-მოსამსახურეთა მთავარ მასას, რომლის უმრავლესობა თვეში 120 მანეთზე მეტს არ იღებს.

ფინანსიური მდგომარეობა

საანგარიშო წლის განმავლობაში ჩვენი დამზღვევი ორგანოების ფინანსიური მდგომარეობა საგრძნობლად განმტკიცდა-გაძლიერდა, რასაც ადასტურებენ შემდეგი ციფრები: 1924 წელთან შედარებით გასულ წელს დამზღვევი ორგანოების შემოსავალი გაიზარდა 168 პროცენტით; ხოლო გასავალი 212 პროცენტით. ამასთან აღსანიშნავია, რომ დასაზღვევი ანარიცხის აკრეფა ზოგჯერ თავის დროზე და სრულიად ვერ სწარმოებს.

უმუშევრობა

შრომის ბაზრის მოწესრიგების საკითხი ისევ მწვავედ სდგას რესპუბლიკაში მიუხედავათ ამ დარგში პირველ მიღწევებისა. მთავარ წყაროს უმუშევრობისას წარმოადგენენ ჩვენი სოფლელი გლეხები, რომელნიც მიწის სივიწროვის გამო საჭიროებენ სხვა რაიმე დამხმარე სამუშაოს. მეორე მხრივ უმუშევართა კადრს აძლიერებს გონებრივი შრომის ხალხი. ჩვენს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს ყოველწლიურად ათავებს 8 ათასამდე ახალგაზრდა. არსებულ ეკონომიურ პირობებში შეუძლებელია, რომ მთელი ეს მასა მოთავსებული იქნეს მრეწველობაში და მეურნეობის სხვა რომელიმე დარგებში.

მთავარ ღონისძიებას უმუშევრობის შესანელებლად გასულ წელს წარმოადგენდა საზოგადოებრივ სამუშაოების მოწყობა, რაზედაც დაიხარჯა 100.000 მანეთამდე.

მიმდინარე წლისთვის განზრახულია გაგრძელდეს საზოგადოებრივ სამუშაოების ორგანიზაცია.

დასასრულ მომხსენებელი საკმაოდ ვრცლად შეჩერდა შრომის დაცვის, ახალგაზრდობის და მუშა ქალთა შრომის საკითხებზე და სხვა.

ამხ. მიქაძის მოხსენების გარშემო დაიწყო კამათი, რომლის გაგრძელება გადაიდო შემდეგი დღისათვის.

პარტიული ცხოვრება

თბილისის ორგანიზაციის ზრდის საკითხი

(თბილისის კომიტეტის პლენუმის დადგენილება)

8 მარტს შესდგა ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი, რომელზეც ერთ მთავარ საკითხად იდგა თბილისის ორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების საკითხი. პლენუმმა ყოველმხრივ განიხილა ეს საკითხი და შემდეგი აღნიშნა: საბჭოთა საქართველოს სამეურნეო ზრდასთან და მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და მენშევიკურ პარტიის გახრწნასთან ერთად—კომუნისტური პარტიის გავლენა და ავტორიტეტი გაიზარდა. მუშების ლტოლვა ჩვენი პარტიის რიგებისაკენ თანდათან იზრდება და ფართოვდება. ამის შედეგათ ჩვენ გვაქვს ის, რომ თბილისის ორგანიზაცია ამ უკანასკნელ წლებში ძლიერ გაიზარდა მუშების ხარჯზე. მაგრამ ორგანიზაციის სოციალურ შემადგენლობის გადასინჯვამ ამ უკანასკნელ დროს იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა გაუარესდა, ორგანიზაცია გაიზარდა მოსამსახურეთა ხარჯზე, რაც აიხსნება იმით, რომ რაიკომები სწორედ ვერ საზღვრავენ, თუ რა სოციალურ შემადგენლობას ეკუთვნის ესა თუ ის წევრი.

ამიტომ თბილისის ორგანიზაციის უმთავრესი ამოცანაა მიმდინარე წელში წარმოებაში ჩაბმულ მუშების ხარჯზე ორგანიზაციის გაზრდა. უმთავრესი, რაც საჭიროა ამისათვის ჩვენ უკვე გვაქვს—ორგანიზაციის გაზრდა უნდა მოხდეს უპარტიო მუშების იმ ნაწილის ხარჯზე, რომლებიც ჩვენი პარტიის ირგვლივ არიან დარაზმული და მისი გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

ჩვენი პარტიის რეზერვათ შეიძლება ჩაითვალონ ის ახალგაზრდა მუშები, რომლებსაც ამზადებს კომკავშირი; ამათ ეკუთვნის უმთავრესად კავშირის აქტივი. პლენუმმა აუცილებლად დაინახა, რომ გადიდებულ იქნას პარტიული კადრი კომკავშირში.

გარდა ამისა აღნიშნულ იქნა, რომ პარტიაში მცირე რიცხვია ქალების, რისთვისაც პლენუმმა საჭიროდ აღიარა პარტიაში მუშა-ქალების მიღება.

პლენუმმა დაადგინა გაგრძელებულ იქნეს პარტიაში ყოფილ მენშევიკ-მუშების მიღება, მაგრამ ეს მიღება უნდა ხდებოდეს აუცილებლად საწარმოო უჯრედების საშუალებით.

უკანასკნელ დროს გაძლიერდა პარტიის რიგებისაკენ მოსამსახურეების ლტოლვა. ამ შემთხვევაში ორგანიზაციამ მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. არ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ რეკომენდაციებით, არამედ საჭიროა ყოველმხრივ განვიხილოთ, თუ რას მოუტანს პარტიას და პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებს ახალი წევრი. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პარტიაში მშრომელ ინტელიგენციის და უმთავრესად მასწავლებლობის და განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლობის მიღებას.

უნდა გაგრძელდეს აგრეთვე პარტიაში გლეხობის მიღება: ღარიბეს გლეხების მოჯამაგირეების და საშუალო გლეხების საუკეთესო ნაწილის ხარჯზე უნდა გაიზარდოს პარტია; მიღებულ უნდა იქნეს უმთავრესად ის გლეხები, რომლებმაც უკვე დაამტკიცეს თავისი რევოლიუციონერობა და აქტივობა გამოიჩინეს სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობით.

შემდეგ პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კანდიდატებს შორის მუშაობას და კანდიდატების თავის დროზე გადაყვანას წევრად.

პარტიის პროლეტარული კადრის გაძლიერება, უჯრედის მუშაობის გაჯანსაღება, შინა-პარტიული დემოკრატიის დაცვა, პარტაღმშენებლობითი მუშაობის გაძლიერება, მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გაფართოება—აი, რა არის ჩვენი ორგანიზაციის მთავარი ამოცანები და საით მოუწოდებს ორგანიზაციას თბილისის კომიტეტის პლენუმი.

საფეიქრო სინდიკატის უჯრედის მუშაობა

უჯრედში ითვლება 25 წევრი და 7 კანდიდატი; ამათში 4 ქალია. უჯრედის კრებები ხდება სისტემატიურათ. წევრები რეგულიარულად ესწრებიან კრებებს. უჯრედს გამომუშავებული აქვს გეგმა და ამ გეგმის მიხედვით აწარმოებს მუშაობას.

კომკავშირის უჯრედზე ხელმძღვანელობის და მასთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად გამოყოფილია ცალკე კომისია. კომისია მართავს სხდომებს, სადაც ირჩევა, მაგალითად შემდეგი საკითხები: კომკავშირის უჯრედის მუშაობა. ადგილკომის წევრ კომკავშირელის ანგარიში თავის მუშაობის შესახებ ადგილკომში, პიონერთა მუშაობაზე და სხვ. ჩვენი წარმომადგენელი კომკავშირის უჯრედზე და კომკავშირის ჩვენს უჯრედში აკეთებენ მოხსენებებს უჯრედების მუშაობის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომკავშირლები იშვიათად ესწრებიან უჯრედის ღია კრებებს.

ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს. უჯრედს გამოყოფილი ჰყავს კომისია ქალთა შორის მუშაობისთვის. კომისია შემუშავებული გეგმით მუშაობს. უწინ კომისია აწყობდა ცალკე ქალთა კრებებს, ახლა კი კომისია მუშაობს, რომ ქალები ჩაითრიოს საერთო კრებებზე მამაკაცებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ქალები ნაკლებათ ესწრებიან უჯრედის ღია კრებებს და საერთო კრებებს. უფრო ნაყოფიერია მუშაობა დელეგატ-ქალებს შორის.

უპარტიოთა შორის მუშაობა სწარმოებს უჯრედის ღია კრებების საშუალებით. უპარტიონი ჩაბმული არიან საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

ჩვენი ორგანიზაცია ძლიერდება

(ნიგ. თემი, გურია)

თემის კომიტეტი ამჟამად აერთიანებს 5 უჯრედს. წარსულ ხანებში უჯრედები მასაში ვერ სარგებლობდენ ავტორიტეტით, ვინაიდან მათი მუშაობა სუსტი იყო. მაგრამ ამ ბოლო დროს თემურ სისტემაზე გადასვლის შემდეგ, მუშაობა ნაყოფიერია და გამოცოცხლება ეტყობა. პარტიამ მასაში მეტი ნდობა მოიხვეჭა. თუ უწინ გლეხები გულგრილად უყურებდენ პარტიის მუშაობას, დღეს უკვე გაარჩიეს თეთრი შავისაგან და ისინი დიდი ხალისით ეწერებიან ჩვენს რიგებში და შესაფერ მუშაობასაც ეწევიან. წევრები ჩაწერილი არიან სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში როგორიცაა: რემედახი, საჰაერო ფლოტი, ავიოქიმი, კოოპერაცია და სხვა.

თემკომი არანაკლებ ყურადღებას აქცევს ქალთა შორის მუშაობას არსებობს, ქალთა სადელეგატო ორგანიზაცია, სადაც სისტემატიურად იმართება მეცადინეობა. ამან ის შედეგები მოგვცა ჩვენ, რომ 12 ქალი ჩაეწერა პარტიაში და ჩაება საზოგადოებრივ აღმშენებლობითი მუშაობაში. ხშირად იმართება უჯრედების ღია კრებები, რომელზედაც ესწრებიან უპარტიოებიც და საკითხების გადაჭრაში მონაწილეობას ღებულობენ. ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თემკომის მდივნის დაკვირვებული და საქმიანი ხელმძღვანელობით ჩვენი მუშაობა ნაყოფიერი ხდება და ორგანიზაცია ძლიერდება.

წითელი სხივი.

პარტიის ხელმძღვანელობა სუსტია

(სენაკის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია)

ხსენებული ორგანიზაცია აერთიანებს 6 უჯრედს 260 წევრით. ორგანიზაციის წევრთა შემადგენლობა არის უმთავრესად მოწაფეობა და მოსამსახურენი.

უჯრედში მუშაობა კარგ დონეზე სდგას. ყველა უჯრედში არსებობს პოლიტწრე ან პოლიტკითხვის ჯგუფი. ეწყობა უჯრედებში მოხსენებები; ზოგიერთმა უჯრედმა აიღო შეფობა პიონერთა კოლექტივზე და უწევს ხელმძღვანელობას; კომკავშირი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს უპარტიო ახალგაზრდობაში; წრეების ხელმძღვანელობა სკოლებში დავალებული აქვს კ. კ. წევრებს. სკოლის თვითმართველობასა და კ. კ. უჯრედს შორის მტკიცე კავშირია. კავშირს ჰყავს საკმაო აქტივთა კადრი, რომელთა გადასამზადებელი და პოლიტიკური დონის ასაწევად არსებობს პროფკოლექტივი. უჯრედებს გამოყოფილი ჰყავთ ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებული, რომელიც ავრცელებს „ახალგაზრდა კომუნისტს“. აქ ჩამოთვლილი დადებით მხარეებთან ერთად უნდა აღინიშნოს ორგანიზაციის მუშაობის ზოგიერთი ნაკლიც. ეს არის: ნებაყოფლობით საზოგადოებების დაარსებაზე ყურადღების მიუქცევლობა, და რაც მთავარია პარტიასთან არა მტკიცე კავშირი. განსაკუთრებით დიდ ნაკლად ჩაითვლება უკანასკნელი, მაგრამ მომავლისათვის ვეცდებით ეს ნაკლიც გამოვასწოროთ და კომკავშირში გავატაროთ პარტიის სრული ხელმძღვანელობა, რათა კავშირის მუშაობა უნაკლულო იქნეს.

ალ. ქ—რია.

ქალთა შორის მუშაობა ჩვენს სოფელში

(ბანძის თემი)

ჩვენს თემში უკანასკნელად გლეხ-ქალებს ეტყობა გამოცოცხლება. თუ რამდენიმე ხნის წინად ქალი თავის ოჯახურ კერასთან მიკრული იყო, ეს მდგომარეობა დღეს უკვე შეიცვალა. ქალის საზოგადოებრივი თვითმოქმედება თანდათანობით იზრდება. ჩვენს სოფელში არსებობს დელეგატ-ქალთა ორგანიზაცია, რომელშიაც ირიცხება 30-დე ქალები. წინეთ ამ დელეგატებს შორის მუშაობა საგრძნობლად მოიკოჭლებდა; ხელმძღვანელი თავისი მოვალეობის შესრულებაში იჩენდა გულცივობას. რამაც თავისი უარყოფითი დაღი დაამჩნია ქალთა შორის მუშაობას ბანძაში.

დღეს მდგომარეობა ამ მხრივ არსებითად შეიცვალა, კრებებზე მოსიარულე ქალთა რიცხვი ერთი-ორად გადიდდა. ყოველგვარი საკითხების გარჩევაში ღებულობენ უშუალო მონაწილეობას. ბანძის თემში ქალთა შორის მუშაობის საქმეს ხელმძღვანელობას უწევს კ. პარტიის თემკომი, რამაც საგრძნობლათ გააჯანსაღა ქალთა შორის მუშაობა. ერთი გარემოება ეხლავე უნდა აღვნიშნო, სახელდობრ, ადგილობრივი მასწავლებელი ქალები ყველა არ ეკიდება ქალთა შორის მუშაობას ენერგიულად, სამწუხაროდ ზოგიერთებს ეხლაც სასირცხვოთ მიაჩნიათ სოფლის დედაკაცებთან საუბრების მოწყობა. მომავალში საჭიროა ამ მხრით გადაიდგეს რაიმე პრაქტიკული ნაბიჯები.

პარტკორი ი. დარცმელია.

კომუჯრედის საქმიანობა.

(ს. ტეზერი, გორის მაზრა).

გორის მაზრაში ყველა სოფლის კომუჯრედებში პირველობას აკუთვნებენ სოფ. ტეზერის კომპარტიის უჯრედს როგორც რიცხვობრივად, ისე თვისობრივადაც. 1921 წლიდან ჩვენი უჯრედის მუშაობა მიმართული იყო გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. დღიდან უჯრედის დაარსებისა, არალეგალური მომუშავეები ჩაუდგნენ სათავეში ჩვენს უჯრედს და სწორ მუშაობას აწარმოებენ. სისტემატიურად იმართება ღია კრებები გლეხებთან ერთად, სადაც მოხსენებები კეთდება სხვადასხვა სოფლისათვის საჭირბოროტო საკითხებზე. კომუჯრედის ხელმძღვანელობით ტარდება სხვადასხვა კამპანიები. დიდ ხელმძღვანელობას უწევს კომუჯრედის ახ. ლ. კ. კ. პოლიტმომზადებას. დაარსებულ იქნა ქალთა ორგანიზაცია, სადაც მოემზადნენ ქალები და დღეს რამოდენიმე ქალი კომპარტიის კანდიდატია, სადაც ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ბაღების კოლექტიურად დამუშავებაში. ისინი აგრეთვე ეხმარებიან ბიბლიოთეკის გამგეს ბიბლიოთეკის მოწყობაში.

ტეზერელი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ხანძარის საწინააღმდეგო ზომები.

ბათომი, 11 მარტი. ნავთის სინდიკატის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ცენტრში, რომ მიეცეს ერთი მილ. მანეთი ხანძარის საწინააღმდეგო ზომების შესამუშავებლად ნავთის გასასაქაჩავ სადგურებზე და ნავთის სინდიკატის ქარხნებში.

გლეხკომების კონფერენცია.

ოზურგეთი, 11 მარტი, დამთავრდა თემის გლეხკომთა სამაზრო კონფერენცია, სადაც წარმოდგენილი იყო 9.024 გლეხი (გურიის მთელი მოსახლეობის 10 პროცენტი).

წარსულ წელს გლეხობას სასოფლო ბიბლიოთეკების აშენება-რემონტისათვის მიეცა 21.235 მანეთი, გზებსა და ხიდებზე დახარჯულია 2.170 მან.

გლეხკომებს გამოწერილი აქვთ 127 ეკზემპლიარი ქართული გაზეთი ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისათვის.

გლეხკომების ფონდი ამჟამად შეადგენს 13.700 მანეთს.

კონფერენციამ სასოფლო გლეხკომების მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო.

საბავშვო სახლი
(საჩხერე)

ოთხი თვეა, რაც საჩხერეში გაიხსნა საბავშვო სახლი, რომელიც მოთავსებულია წერეთლის ყოფილ სასახლეში.

ამ სახლში თავმოყრილია ამჟამად 28 ღარიბესი და უპატრონო ბავშვი. აღმზრდელებათ დანიშნულია ორი მასწავლებელი.

რაც შეეხება ბავშვების ჩაცმა-დახურვას და ჭამა-სმას, ჯერჯერობით კარგია.

აქვე აღსანიშნავია სამწუხაროთ ერთი რამ. სამაზრო აღმასკომი თავის დროზე ვერ აძლევს ფულს საბავშვო სახლს, როგორც სასურსათო ხარჯებისთვის, ისე მოსამსახურეთათვის.

რაც შეეხება ადგილობრივ დახმარების საქმეს—ამ მხრივ მდგომარეობა უნუგეშოა; მიუხედავათ გამგის ცდისა ადგილობრივი ინტელიგენცია სრულიად არ სცდილობს ხელის განძრევას ასეთი ფასდაუდებელი დაწესებულების დასახმარებლად.

საჩხერეში საბავშვო სახლი, რომელმაც თავის უბეში ჩაიკრა გზადაბნეული უპატრონო, ღარიბი ბავშვები,—ისე, როგორც სხვა ამგვარი სახლები, უნდა გახდეს მომავალი საზოგადოების თავდადებულ მებრძოლთა მშობლიურ კერათ.

ნო—ვა.

წერილები

არც ისე ძველი ამბავი

ამბავი დაგვიანებულია, მაგრამ არც იმდენად, რომ ის გაზეთის ყურადღების ღირსი არ იყვეს.

19 იანვარს სუჯუნის გლეხები, დიდი და პატარა ფეხზე იდგა. მიყრუებულ კუთხეში სადაც ეკლები იზრდებიან და ტურები ბუდობენ, ნახეს ეკლისგან დაკაწრული, სისხლში გლობილი ახლად შობილი მკვდარი ბავში. „ვაი შენს დედას", ლოყებზე ხელის ცემით გაიძახოდენ ამ სურათის მნახველი სუჯუნელი დედა-ქალები, ხოლო შიშისაგან ფერმიხდილი გულჩვილი ქალიშვილები ჩუმი მოთქმით ხმას აძლევდენ მათ და თავსათაოის საყურებით იწმენდდენ მოწოლავებულ ცრემლებს.

მამა-კაცებს ცალკე თათბირი გაემართათ და თითებით ჩამოთვლიდენ თემის ყველა საეჭვო ახალგაზრდა ქალებს, რომელთაც კი შეეძლოთ ასეთი სისაძაგლის ჩადენა. დრო-გამოშვებით კამათში მოხუც ქალებიც ერეოდენ და ავტორიტეტულ განმარტებას იძლეოდენ. ბევრი იმსჯელეს, იკამათეს, მაგრამ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივიდნენ. ბავშის დედა ვერსად შეაკვლიეს. საქმეში ხელისუფლებაც ჩაერია. გამოძიებაც მოახდინეს. მოწმეებსაც დაეკითხეს ოქმიც შეადგინეს, ხელიც მოაწერეს, ბეჭედიც დაასვეს, მაგრამ ყველაფერი უსარგებლო იყო. დამნაშავე მაინც არსად სჩანდა... საქმე პროკურორს მოსახსენებლად გადაეცა.

ერთი თვის განმავლობაში გაურკვეველობის ბურუსი მოსვენებას არ აძლევდა სუჯუნის გლეხებს. ჭორიკანა დედაკაცებს ზედმეტი ლაქლაქისაგან პირში ნერწყვი უშრებოდათ. ვინ იცის, რამდენი უდანაშაულო ქალი გაილანძღა ამ ხნის განმავლობაში?

მაგრამ კიდევ უფრო მეტ ტანჯვაში იყო ბავშის უბედური დედა ცოლია გეგენავა და მისი ქმრისუფლები. ბევრი ითმინა ახალგაზრდა დედამ, მაგრამ ბოლოს გულმა აღარ მოუთმინა და ყველაფერი გულახდილათ აღიარა. ისევ შეინძრა სუჯუნა. თითქოს მეორე ყუმბარა გავარდნილიყოს. მილიციამ, როგორც ამას კანონი მოითხოვდა, დამნაშავენი დააპატიმრა. ხელ-ახლა შეუდგენ საქმის გამოძიებას.

მაგრამ არ სცხრება ძველი ადათ-ჩვეულების მოტრფიალე სუჯუნის ბნელი ელემენტები. ცოლიას დას მეზობელ ქალებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ზოგიერთი ვაჟკაცები მას სიკვდილითაც ემუქრებიან. რატომ, რისთვის? იმიტომ, რომ მან ხელი შეუწყო უმცროს დას ბავშის მკვლელობაში. ეს ხომ დაუშვებელი ბოროტებაა და ხელისუფლებაც სდევნის ასეთების ჩამდენთ. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ბავში ცოცხალი დარჩენილიყო, ის ისეთივე სრულუფლებიანი მოქალაქე იქნებოდა საბჭოთა რესპუბლიკის, როგორც „კანონიერად" შობილი ბავშები, ხოლო სუჯუნელი ჭორიკანა ენები მის დედას არანაკლებ რისხვას დაუყრიდენ თავს, ვიდრე ამას დღეს სჩადიან. რატომ არ იფიქრებენ ამაზე „ნამუსიანობის" სადარაჯოზე მდგომი სუჯუნელი ჭორიკანა ენები?

ზუგელი.

ოსტატ მურღულიას ოსტატობა
(ახ.-აბაშა, სენ. მ.)

სადგურ აბაშის ახლო მდებარეობს 1½ ქცევა მიწა. ამ მიწით არავინ სარგებლობდა. სად. აბაშის რკინის-გზის მუშებმა გადასწყვიტეს შარშან ამ მიწაზე მოეწყოთ ბაღი ადგილობრივ აღმასკომის დახმარებით. აღმასკომი და მუშები ერთი მეორეს შეუთანხმდენ და გაჩაღდა მუშაობა. მუშებმა საკუთარი ფულით შეიძინეს ბოძები და თვითვე შემოახვიეს მავთულით.

ახალ ბაღში აღმასკომმა მოაშენა კულტურული მცენარეები და რომ შიგ ღორები არ შესულიყო ჭიშკარზე ბოქლომი დაადეს.

ამ დღეებში გზის ოსტატმა მურღულიამ ეს ბოქლომი დაამტვრია მუშების და აღმასკომის დაუკითხავად და ჭიშკარი ისევ გაალო.

გამოირკვა, რომ ახლა აბაშის აღმასკომს მოწერილობა მიუღია სამაზრო აღმასკომიდან ბაღი და მიწა კანონით სოფელს ეკუთვნის. მურღულია კი თურმე ამ მიწას თვით ეპატრონებოდა.

აღსანიშნავია, რომ ბოქლომი უმთავრესად დადებული იყო ბაღზე მურღულიას ღორებისგან დასაცავად, რომლებმაც აიკლეს მთელი კუთხე უპატრონობით.

ზუგელი.

რატომ სჩივიან წითელ სასადილოებზე?

წითელი სასადილოები ამ ბოლო ხანს ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა, როგორც ქალაქად ისე სოფლად. ბევრგან მათ დიდი დამსახურება მიუძღვის მუშა-მოსამსახურეების და ღარიბ გლეხთა წინაშე. მაგრამ, როგორც ყოველთვის, გამონაკლისი აქაც არის.

ზოგჯერ წითელი სასადილოები მხოლოდ აბრაზე არსებობენ, ნამდვილათ კი ისინი ბევრით არაფრით განსხვავდებიან ჩვეულებრივ სასადილოებისაგან და თუ გნებავთ სამიკიტნოებიდანაც. ღვინის სმა, ქეიფი, ჩხუბი და დავიდარაბა ხშირი მოვლენაა ასეთ „წითელ" სასადილოებში. შრომისაგან მოქანცულ მუშას ან გლეხს არ შეუძლია მოსვენება ჰპოვოს აქ და კერძი სულდათქმით შესჭამოს.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, წითელ სასადილოებში სხვა მხრივათაც მოიკოჭლობენ. ბევრგან კერძის სიიაფეს სურსათ-სანოვაგის ხარისხის ხარჯზე აქვს ადგილი. არც სისუფთავეა მაინცა და მაინც დაცული. სასადილოს მოსამსახურეები ხშირად ვერ ეპყრობიან კერძისათვის შემოსულებს საჭირო თავაზიანობით და ყურადღებით.

ამიტომ სრულიად სამართლიანია ის უკმაყოფილება, რომელიც გვესმის ზოგჯერ მუშა-მოსამსახურეებისაგან და გლეხებისაგან წითელ სასადილოების მიმართ.

დროა ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს. სახალხო კვების საქმე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალ ყოფაცხოვრების განმტკიცების და განსაკუთრებით ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, უნდა დაყენებულ იქნას სათანადო სიმაღლეზე. წითელ სასადილოებს აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა.

მეტი წესრიგი, რაც შეიძლება იაფი და ნოყიერი კერძი, მეტი თავაზიანობა და ყურადღება მოსადილეებისადმი, აი რა უნდა ახსოვდეს მუდამ ჩვენს წითელ სასადილოების მუშაკებს. უამისოთ მათი არსებობა ჰკარგავს ყოველივე აზრს და ხელს უწყობს კერძო ვაჭრის გაძლიერება-გამდიდრებას.

ყუა.

სწავლა ფერხდება
(თიანეთი, თბილ. მ.)

თიანეთის რაიონში არის რვა სკოლა, სადაც მოწაფეთა რიცხვიც ბევრია. ეს სკოლები უზრუნველყოფილია შენობით, მასწავლებლებით, დარაჯით და შეძლებისდაგვარათ სხვა მოთხოვნილებითაც.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სკოლებში (ტუშურების, ზენამხრის, ჩაბანოსი, ახალსოფლის და ლიშოს) არის საკმაო პარტები, დაფები, მაგიდები, სკამები და სხვა წვრილმანი ნივთები.

საჭიროა ამას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება, როგორც თიანეთის ახალმა არჩეულმა რაიაღმასკომმა, ისე თბილისის აღმასკომმა. ეს რაიონი ჩამორჩენილი იყო წინეთაც და ეხლაც უკან დგას სხვებთან შედარებით.

ზ. ბადურაშვილი.

ჩარჩ-ვაჭრებს მადა შეუკვეთეს
(გორი)

ქ. გორის ბაზარზე ყოველ კვირეულათ უარებელი სურსათ-სანოვაგე შემოდის, რომელიც აკმაყოფილებს, როგორც ქ. გორის მცხოვრებლებს, აგრეთვე თბილისიდან ამოსულ მოქალაქეებსაც. მიუხედავათ ამისა, ჩარჩ-ვაჭრებს და განსაკუთრებით კი მეყასბეებს ძლიერ გაეხსნათ მოგების მადა. ორი თვის წინად საქონლის ხორცი 23-25 კაპ. ფასობდა, ახლა ის 35კაპ. აიყვანეს იმ დროს, როდესაც დასაკლავი საქონლის ფასი პირიქით ნაკლებია, მინემ ეს იყო ორი თვის წინათ.

ამის გამო მაზრის შინა-ვაჭრობის კომისიამ აღმასკომის სავაჭრო სექციას გახსნევინა ხორცის სავაჭრო დუქანი, სადაც არის ყოველგვარი სანოვაგე დაკლებულ ფასებში.

მაგ. საუკეთესო ხარისხის საქონლის ხორცი ღირს 25 კაპ., ღორის კი 30 კაპ. ამის შემდეგ მადა გახსნილმა ვაჭრებმა ყურები ჩამოყარეს და აღარ იციან რა ქნან.

სიკო.

წრეს გადასული უწესრიგობა
(გორი)

გორის მთავარ ქუჩაზე საღამოს ქალი უშიშრათ ვერ გაივლის. ყოველ ფეხის გადადგმაზე მოწაფეები გამვლელთ უშვერი სიტყვებით იხსენიებენ, ასტეხენ ყვირილს და ხმაურობას. თუ შეურაცყოფილმა ქალმა, ან მის მხლებელმა გათავხედებულ ხულიგანებს პასუხი გასცა, მას მოელის გვერდების ლახათიანი დაზელა. ასეთივეა მდგომარეობა მუშათა კლუბთან, თეატრის შესასვლელ კარებში აფარებელი ახალგაზრდები იყრიან თავს და მათ ხულიგნობას საზღვარი არა აქვს. თეატრ. დარბაზში ხომ გაძლებაც არ შეიძლება: პიეს მსვლელობის დროს ატყდება ერთი სიცილ-ხარხარი, სცენაზე მოთამაშის ლანძღვა ბინძური რეპლიკებით.

გორში არსებობს მეცნიერულ-სალიტერატურო წრე, რომელიც ხშირათ მართავს ხოლმე ფრიად შინაარსიან მოხსენებებს და ლექციებს მუშათა კლუბში. მიუხედავათ იმისა, რომ მოწაფე ახალგაზრდები ყველაზე მეტად უნდა იყონ დაინტერესებული ამ წრის მუშაობით, ისინი ლექციის მსვლელობას ხელს უშლიან. ამასწინათ მაგალითად ლექცია წაიკითხა დამსახურებულმა პედაგოგმა თ. ჟორდანიამ. მოწაფეთა უმგვანო საქციელის გამო მომხსენებელი იძულებული იყო რამოდენიმეჯერ შეეწყვიტა მოხსენება.

სასწავლებლის კედლებში ხომ სავსებით მოშლილია ყოველგვარი დისციპლინა.

რა ზომებს ღებულობს ამ არა სასურველ მოვლენების წინააღმდეგ პედაგოგიური საბჭო, განათლების განყოფილება, მოწაფეთა აღმასკომები და კომკავშირის უჯრედები? თითქოს არც ერთი მათგანი ამ მოვლენას არ აქცევს ყურადღებას.

ისევ გორის საბჭომ მოაგვაროს ეს საქმე, თორემ, ვისაც მისი მოგვარება ევალება მათ [illegible] ძილით სძინავთ.

სიკო.

წერილებიდან

თიანეთი (თბილ. მ.)

მაინც არ იშლიან. გასულ წელს ადგილობრივ ექიმბაშებს მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებამ ხელწერილი ჩამოართვა, რომ ისინი თავს დაანებებენ ხალხის მოტყუებას და ყვლეფას. მიუხედავათ ამისა თიანეთში ერთი მკითხავი მაინც განაგრძობს მოღვაწეობას უშიშრად. მასთან ფასანაურიდანაც ჩამოდიან მთიულები საექიმოდ.

ვ.

ქუთაისი

ადამიანზე მონადირე ძაღლები. აკაკი წერეთლის ქუჩაზე არის ღვინის მარანი, რომლის გამგეთაც მსახურებს დ. მდივანი. გამგეს აშვებული ჰყავს ოთხი კოფაკი ძაღლები, რომელთა შიშით ქუჩაში კაცს ვერ გაუვლია. ამას წინათ ამ ძაღლების მსხვერპლი კინაღამ გახდა გაზეთების დამტარებელი ბავში. მილიციამ უნდა აიძულოს მარნის გამგე, რომ უკანასკნელმა ძაღლები ჯაჭვზე დაბმული იყოლიოს.

გრ.

საგარეჯო (გარე-კახეთი)

თეატრმა მიიძინა. უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც ჩვენს თეატრში წარმოდგენა არ წასულა. არ ვიცით ვის უნდა დავაბრალოთ ეს, გამგეს თუ დრამწრეს. თეატრს აქვს ნაღდი ფული რემონტისათვის, მაგრამ ფული ფულად დევს და საქმეს კი არაფერი ხმარდება.

გამვლელი.

ბოსლევის თ. (შორ. მ.)

ბელლევი უთ ბოსლევი. ჩვენ თემში არის საექიმო პუნქტი, რომელსაც რაღაც გაუგებრობით ბელლევის პუნქტი ეწოდება. ამბობენ ჩვენი პუნქტის ნათლია ყოფილა ვაჭარი ტალახაძე, რომელსაც არ ვიცით რატომ, ურჩევნია ჯანმრთელობის განყოფილებისათვის ასეთი სახელწოდება მიეცა ბოსლევისათვის. დროა ამ გაუგებრობას ბოლო მოეღოს.

ბიქტორ კაპანაძე.

ს. ჟანდაურა (სიღ. მ.)

სკოლის შენობა უნდა გაფართოვდეს. ადგილობრივი სკოლის შენობა იმდენათ ვიწროა, რომ მოწაფეებს რიგ-რიგობით უხდებათ მეცადინეობა და მთელი დღეობით სიცივეში უსაქმოდ სხედან. როცა სწავლის რიგი მოუვათ, მოწაფეები ფეხზე დგომით ისმენენ გაკვეთილს. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები სკოლის შენობის გასაფართოებლად.

მეჟვალეური.

საბჭოთა არჩევნები

საბჭოთა არჩევნები რაჭაში

უმეტეს ნაწილად აღმასკომის და საბჭოს მუშაობა მოსახლეობის მიერ მოწონებული იქნა. მხოლოდ ერთ საარჩევნო უბანში. სახელდობრ ჰელი-ღელეში დაიწუნეს თემაღმასკომის მუშაობა. მიზეზად გლეხები ასახელებდენ საბჭოს სისუსტეს, სასოფლო საკითხებისადმი უყურადღებობას და სხვას.

თითქმის ასეთივე სურათს ჰქონდა ადგილი შქმერის თემში, სადაც აღმასკომის თავმჯდომარე შეეცადა თავისი უმოქმედობა გაემართლებია იმით, რომ მას არ სურდა ხალხის შეწუხება გზების და ხიდების საკეთებლად. მაგრამ კრების მიერ აღმასკომის ასეთი „თავაზიანობა" ერთსულოვნად დაგმობილი და გაკიცხული იქნა.

ცნობილია, რომ რაჭის ღარიბესი და საშუალო გლეხობის უმეტესი ნაწილი ზამთრობით გადის სამუშაოთ სხვა ადგილებში. და სწორედ არჩევნების ჩატარება მოხდა მაშინ, როდესაც მშრომელ გლეხობის უმეტესი ნაწილი მაზრის გარეთ არის გასული. ეს გარემოება თავის ბეჭედს ასვამდა მთელ მუშაობას, რის გამო არჩევნებს არ ქონდა ის ეფექტი, რაც მას ექნებოდა ჩვეულებრივ პირობების დროს.

არჩევნები დაიწყო ზემო-რაჭიდან, რომლის მოსახლეობა შედარებით ქვემო-რაჭასთან ნაკლებათ გადის გარეთ სამუშაოზე. სანამ ზემო-რაჭაში დასრულდებოდა არჩევნები, მოსალოდნელი იყო, რომ ნაწილი გარეთ გასულ გლეხებისა მოასწრებდა შინ დაბრუნებას. თითოეული თემი იყო დაყოფილი რამოდენიმე საარჩევნო უბნათ, ასე რომ არჩევნები ტარდებოდა თითქმის ყველა სოფელში ცალ-ცალკე.

ამან დიდი ნაყოფი გამოიღო. მიუხედავათ ცუდი ამინდებისა საარჩევნო კრებაზე ცხადდებოდა ხმის მქონეთა დიდი უმრავლესობა. რაჭის მაზრას არ ახსოვს ასეთი ფართო და მასიური არჩევნები.

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც დედაკაცები მამაკაცებს კრებაზე ორჯერ, სამჯერ და ზოგან კი ოთხჯერაც სჭარბობდენ. საერთოდ კი თითქმის ყველა კრებაზე დედაკაცები უმრავლესობას წარმოადგენდენ. ეს რა თქმა უნდა, არ აიხსნება მარტო იმით, რომ მამაკაცების დიდი ნაწილი გარეთ არის გასული. ეს მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალთა აქტივობა გაიზარდა.

რაჭველი გლეხი მთელი ზამთრობით სტოვებს ოჯახს. ცხადია, რომ ამ დროის განმავლობაში მთელი სიმძიმე მუშაობისა აწვება ქალს. ამ უკანასკნელს უხდება არა მარტო თავის ოჯახზე და მეურნეობაზე ზრუნვა, არამედ ის არის პასუხისმგებელი ადგილობრივ ხელისუფლების წინაშეც.

უწყებითი სისტემამ, რომლის საშუალებით ხდებოდა ამომრჩეველთა კრებაზე მოწვევა, დიდი გავლენა იქონია ამომრჩეველთა მასიურათ ამოძრავებაზე.

იყო შემთხვევა ერთ საარჩევნო უბანში—(ნაკიეთი), სადაც მამაკაცები წინააღმდეგი იყვენ ქალების საბჭოში არჩევისა: „არ გვინდა ქალებიო" გაიძახოდენ. მაგრამ მათ საწინააღმდეგო სიტყვით გამოვიდა ერთი გლეხი ქალი, რომელმაც სასტიკად გაილაშქრა მამაკაცების წინააღმდეგ და მოითხოვა ქალების საბჭოში არჩევას. ამ ქალის გამოსვლის შემდეგ საბჭოში არჩეულ იქნა რამოდენიმე დედაკაცი დეპუტატებიც. ამომრჩევლები, დიდი სიფრთხილით ეპყრობოდენ კანდიდატების შერჩევას. ყოფილი საბჭოს წევრები, რომლებმაც წარსულ მუშაობაში გამოიჩინეს უმოქმედობა, თითქმის ერთსულოვნათ იქნენ გაშავებული. კულაკების და შეძლებულ გლეხების ცდები, რომ საბჭოში გაეტარაათ თავიანთი კანდიდატები, უნაყოფო იყო.

არავითარ ზეგავლენას არჩევნებზე ადგილი არ ჰქონია. პირიქით, მოსახლეობას ეძლეოდა სრული თავისუფლება კანდიდატების დასახელებაში და ხმის მიცემაში. ამის შედეგათ ჩვენ მივიღეთ ის, რომ საბჭოს წევრებათ უმეტეს ნაწილად ირჩეოდა ღარიბების და საშუალო გლეხობის საუკეთესო ნაწილი.

ქვემო-რაჭაში არჩევნები ჩატარდა იმავე წესით, როგორც ზემო-რაჭაში. აქ არჩევნებს ხალხი შეხვდა გაცილებით უფრო აქტიურათ და მომზადებულათ. ეს იმით აიხსნება, რომ ქვ.-რაჭის გლეხობა კულტურულათ და პოლიტიკურათ მაღლა დგას, ვინემ ზ.-რაჭის.

რაჭის მაზრის 27 თემში (სამი თემის ცნობები არ არის) სულ არჩეულ იქნა 700 კაცი. ამათ შორის მამაკაცები—621, ანუ 89 პროც. დედა-კაცები—79, ანუ 11 პროც. პარტიული შემადგენლობის მხრივ საბჭოს წევრები შემდეგნაირათ იყოფიან: კომუნისტები—196—(28 პროც.) კომკავშირლები—53—(8 პროც.) უპარტიონი 451 (64 პროც.).

თავისთავად ცხადია, რომ საბჭოების ასეთი შემადგენლობა შესძლებს ღარიბების და საშუალო გლეხობის ინტერესების დაცვას და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა ცხოვრებაში სისწორით გატარებას.

ალ. ბობოხიძე.

საბჭოს იმედები ვერ გაამართლა
(ბოსლევის თ., შორ. მ.)

ვადევნებ თვალყურს სხვა თემების საბჭოების მუშაობას. შესაძლოა ზოგან მათი მუშაობაც დაუკმაყოფილებელია, მაგრამ სხვადასხვა სექციები არსებობდენ, რომელნიც რაღაცას მაინც აკეთებდნენ.

ჩვენი თემის საბჭოს ასეთი არც კი მოუფიქრია. მას არ მიუქცევია ყურადღება გზების და ხიდების შეკეთებაზე. აქ არ არსებობს კოოპერატივი, გლეხობა ჩავარდნილია კერძო ვაჭრების ხელში.

რამდენიმე ხნის წინათ დაარსეს გლეხკომი. გლეხებმა არც კი იციან მისი არსებობის შესახებ. გლეხკომის ქონების გამოსარკვევათ საბჭომ აირჩია სარევიზიო კომისია, მაგრამ მას შემდეგ ექვსი თვე გადის და დღესაც არ მოუხდენიათ რევიზია.

ვისი ბრალია ეს? რა თქმა უნდა, საბჭოსი. როგორც იქნა დიდი ვაივაგლახით შეაკეთეს 7 წლედ. სკოლა. არჩევნები ჯერ არ დაწყებულა. ვნახოთ გლეხობა როგორ საბჭოს აირჩევს და ახალი საბჭო რამდენათ მეტ აქტივობას გამოიჩენს.

მომდურავი.

სად ჩატარდა არჩევნები

ფოთის რაიონი

ყულევის თემსაბჭოში არჩეული იქნა 9 წევრი, მათ შორის 5 კომ., 4 უპარტიო, აქედან 1 ქალია.

პატარა ფოთის საბჭოში აირჩიეს 3 წევრი, მათში ერთი კომკავშირელია და 2 უპარტიო.

დუშეთის მაზრა

ქ. დუშეთის საბჭოში არჩეული იქნა 27 წევრი, მათ შორის 18 კომ., 9 უპარტიო, არჩეულებში 3 ქალია.

გორის მაზრა

ატენის თემსაბჭოში აირჩიეს 34 წევრი, მათ შორის 1 ქალია, 1 კომკავშირელი, დანარჩენი უპარტიოა.

ახალ-სოფლის საბჭოში აირჩიეს 38 წევრი, მათ შორის 2 კომ., 34 უპარტიო და 2 ქალი.

ორმოცის თემსაბჭოში გატანილი იქნა 38 წევრი, მათ შორის 1 კ. პ. კანდ., 1 კომკავ., დანარჩენი უპარტიოა.

სენაკის მაზრა

სენაკის მაზრის 9 თემის—დიდი ჭყონის, კურზუს, ხორშის, სალხინოს, ინტოფოს, ახალ აბაშის, ლეძაძამის, მარტვილის და თეკლათის თემსაბჭოებში არჩეული იქნა სულ 352 წევრი, მათ შორის 73 კომუნისტია, 33 კ. პ. კანდიდატი, 17 კომკავშირელი, 229 უპარტიო. არჩეულთა შორის 13 ქალია.

დასახელებულ თემების საბჭოების არჩევნებში საშუალოდ მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 60 პროც.

ეკონომიური ცხოვრება

აღებ-მიცემობის ბრუნვა იანვარში
(საქ. საგეგმო კომისიის კონიუნქტურულ მიმოხილვიდან)

იანვრის განმავლობაში გატანილ მთავარ საგნების ღირებულება უდრის 4,7 მილ. მანეთს; ხოლო შემოტანილისა—8,5 მილ. მანეთს, ე. ი. 3,8 მილ. მან. მეტია შემოტანილი, ვიდრე გატანილი.

დეკემბერთან შედარებით ექსპორტი 18,8 პროცენტით არის შემცირებული. 1925 წ. იანვართან შედარებით 74,1 პროცენტით არის გადიდებული. იმპორტი დეკემბერთან შედარებით 6 პროცენტით არის გადიდებული, ხოლო 1925 წ. იანვართან შედარებით 72 პროცენტით მეტია.

იანვრის ექსპორტის ტვირთ-ბრუნვა უდრის 4.682,0 (ათ. მანეთებში), იმპორტის კი 8.485,5; საერთო ბრუნვა უდრის 13,2 მილ. მანეთს. ე. ი. 2 პროცენტით ნაკლები დეკემბერზე.

საქონლის გატანა

გატანილ საგნებს შორის თავის ღირებულებით პირველი ადგილი უკავია შავ ქვას 1,7 მილ. მან. შემდეგ ღვინოს 875,9 ათ. მან.; სპირტს 586,8 ათ. მან. და ნედლ ხილს 629,8 ათ. მან. და სხვა.

მთავარი საექსპორტო საგნები შემდეგი რაოდენობით არის გატანილი: შავი ქვა 3.340,3 ათ. ფ.; ღვინო 125,1 ათ. ფ.; ნედლი ხილი 126,0 ათ. ფ.; კაკალი და თხილი 45,2 ათ. ფ.; სპირტი და სპირტ. სასმელი 16,8 ათ. ფ.; მატყლი 8,8 ათ. ფ.; აბრეშუმის პარკი 1,76 ათ. ფუთი; შეშა 308,0.

შავი ქვა გატანილია 3,3 მილ. ფ. 9,9 პროცენტით მეტი, ვიდრე დეკემბერში და 159,9 პროცენტით მეტი, ვიდრე 1925 წ. იანვარში. ღვინო გატანილია 125,1 ათ. ფ.; ნედლი ხილი 126 ათ. ფ.; კაკალი და თხილი 45,2 ათ. ფ. და სხვა.

დეკემბერთან შედარებით მატულობს ღვინის გატანა 8 პროცენტით, აბრეშუმის პარკის 15 პროცენტით; სპირტის 75,3 პროცენტით და შეშის 251,2 პროცენტით. შემცირებულია მატყლის გატანა 77,7 პროცენტით, კაკალის და ხილის 39,9 პროცენტით და ნედლი ხილის 8,8 პროცენტით.

შარშანდელ იანვართან შედარებით ყველა საგნების გატანა იზრდება და ყველაზე მეტად კი სპირტის 805,6 პროცენტით.

საქონლის შემოტანა

შემოტანილ საგნებს შორის თავის ღირებულებით მთავარია: შაქარი 2,5 მილ. მან.; ფართალი 2,1 მილ. მან.; ხორბლის ფქვილი 1,8 მილ. მან. და სხვა.

იანვარში შემოტანილია ფქვილი ხორბლის 674,8 ათ. ფ.; ფართალი 29,6 ათ. ფ.; შაქარი 225,3 ათ. ფ.; ნავთი და ნავთის ნაწარმოები 508,7 ათ. ფ.; მარილი 120,9 ათ. ფ.; რკ. თუჯი და ფოლადი დაუმუშავებელი 65,7 ათ. ფ. და სიმინდი 80,8 ათ ფ.

დასახელებულ საგნებიდან იმატა მარილის შემოტანამ 0,8 პროცენტით; ლითონის 2,2 პროცენტით; შაქრის 25 პროცენტით; ფქვილის 30,6 პროცენტით და სიმინდის 348,9 პროცენტით. შემცირებულია ფართალის (9,2 პროცენტით) და ნავთეულის (8 პროცენტით) შემოტანა.

1925 წ. იანვართან შედარებით ყველა საგნების შემოტანა გაიზარდა განსაკუთრებით კი სიმინდის (648 პროცენტით); ნავთეულის (272,9 პროცენტით); ხორბლის ფქვილის (135,9 პროცენტით) და სხვა.

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით მთავარ საიმპორტო საგნების შემოტანა გეგმის მიხედვით საანგარიშო თვეში უფრო დამაკმაყოფილებელია, ვიდრე დეკემბერში.

ხორბლეული უნდა შემოტანილიყო 390 ათ. ფ. შემოვიდა 602,8 ათ. ფ.; შაქარი 80 რონოდა შემოვიდა 152 რონ.; ბამბეული ფართ. 34,5 რონ. შემოვიდა 40,5 რონ.; ქაღალდი 35 ათ. ფ. შემოვიდა 25,7, კალოშები 30 ათ. წყვილი შემოვიდა 33,1 ათ. წყვ.; ასანთი 8 რონ. შემოვიდა 9 რონოდა და სხ.

დასახელებულ საგნებიდან საანგარიშო თვეში გადაჭარბებით იქნა შესრულებული შემდეგი საგნების შემოტანა: კალოშების 10,3 პროცენტით, ასანთის 12,5 პროცენტით, ბამბის ფართლეულის 17,4 პროცენტით, ხორბლეულის 54,6 პროცენტით, საქრის 90 პროცენტით და მარილის 102, 5 პროცენტით.

შემოტანის გეგმა არ იქნა განხორციელებული სასილიკატო საგნებზე, ლითონის ნაწარმოებზე, ქაღალდზე და ნავთზე.

ხე-ტყის გატანა უცხოეთში

ამიერ-კავკასიასა და კერძოთ საქართველოში იმპერიალისტურ ომამდე ხე-ტყის ექსპლოატაციას და უცხოეთში გატანას აწარმოებდენ უმთავრესად უცხოელი კონცესიონერები, რომელთაც სახელმწიფოსა და აგრეთვე კერძო მფლობელებისაგან იჯარით ქონდათ აღებული სატყეო აგარაკები. მათ დიდი სახელი მოუპოვეს ქართულ ხე-ტყის ნედლ მასალას, რომელიც ყოველთვის მეტად ფასობდა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნის ხე-ტყე.

დიდი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ უცხოელ კონცესიონერებს მოესპოთ საშუალება ექსპორტის მიზნით ხე-ტყის დამზადებისა, რომელიც ომიანობის პირველ წელსვე შეწყდა და მას შემდეგ არ განახლებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უცხოელების მიერ შემთხვევით გატანილ ხე-ტყის ნედლ მასალას.

ამგვარად ამიერ-კავკასიამ, როგორც უცხოეთის ბაზრისათვის ხე-ტყის მიმწოდებელმა ქვეყანამ, თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა გასაბჭოების პერიოდში უცხოელმა ვაჭრებმა იწყეს ხე-ტყის გატანა განურჩევლად ღირსებისა. ამ უკანასკნელთ უცხოეთში გაქონდათ ყველაფერი, რაც კი ხელთ მოხვდებოდა, ხშირად სრულიად უვარგისი საქონელი.

ამ გარემოებას შედეგათ ის მოჰყვა, რომ საქართველოს ხე-ტყეების მასალამ საბოლოოდ გაიფუჭა რეპუტაცია და აქედან გაგზავნილ ხე-ტყის ახალ პარტიებს უცხოეთის ბაზარი უნდობლად ხვდებოდა.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ ამერიკაში გაგზავნა ნიგვზის ხის ძელების მცირე პარტია, რომელიც ისე იყო შედგენილი, რომ სავსებით შეეფერებოდა უცხოეთის ბაზრის მოთხოვნილებას.

ეს პარტია ხელსაყრ. ფასებში მალე იქნა გასაღებული. ამის შემდეგ ინტერესი ჩვენებური ხე-ტყისადმი—განსაკუთრებით ნიგვზის ხეებისა და ფანერისადმი ისევ განმტკიცდა. ხე-ტყე გაიგზავნა კიდევ გერმანიაში.

ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

აქციზი არაყზე

ა.-კ. უმაღ. ეკ. საბჭომ აუცილებლათ სცნო ა.-კავკასიის ფარგლებში დააწესოს დამატებითი აქციზი არაყზე, ვედრო არაყზე 10 მან. 80 კ. რაოდენობით. აგრეთვე არაყის ნაწარმოებზე ვედროზე 20 მან. 80 კ. ღვინის არაყზე ეს დამატებითი აქციზი არ ვრცელდება.

ექსკურსია სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ა.-კავკასიის სხვა და სხვა ადგილებიდან გლეხების ექსკურსიის მოსაწყობად და ხელმძღვანელობის გასაწევად ა.-კ. უმ. ეკ. საბჭომ გადასწყვიტა გამოფენის კომიტეტთან მოაწყოს განსაკუთრებული საექსკურსიო ბიურო.

შალეულობის გასაღება

შალეულობის ნაწარმოების ბითუმად გასაღებაზე გადასვლის გამო, ა.-კ. უმაღ. ეკ. საბჭომ გადასწყვიტა, მოხდეს ლიკვიდაცია ა.-კ. შინავაჭრობის მაღაზიების, რომლებიც ამ ჟამად ეწევიან შალეულობით ვაჭრობას, და ეს საქმე გადაეცეს საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ა.-კავკასიის განყოფილებას.

პროფტექნიკური განათლება

ვინაიდან ამიერ-კავკასიაში აღორძინების გზაზე შემდგარი მრეწველობა ითხოვს საშუალო კვალიფიციურ ცოდნის მუშებს, ა.-კ. უმაღ. ეკ. საბჭომ გადასწყვიტა, აღძრას შუამდგომლობა ა.-კ. ცაკის წინაშე, რათა ცაკმა თავის მხრივ იშუამდგომლოს საკავშირო ცაკის წინაშე, რომ ა.-კავკასიაში უმაღლესი კვალიფიციურ განათლებისათვის გადადებული თანხა, დახარჯული იქნას აგრეთვე საშუალო კვალიფიკაციის ცოდნის გავრცელების საქმეზედაც.

გადასახადის აკრეფა

ა.-კ. უმაღ. ეკ. საბჭომ დაადგინა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებიდან 1 აპრილამდე იქნას აკრეფილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ა.-კ. ფინსახკომის მეშვეობით ამა თუ იმ სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულების გამგე პასუხისგებაში იქნება მიცემული.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა შეიმუშავა ახალი დებულება ადგილობრივი ფინანსების შესახებ; ამ დებულების მიხედვით განზრახულია ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯების ერთგვარი განტვირთვა და საშემოსავლო ნაწილების გაძლიერება ახალი წყაროებით.

საქართველოს ფინსახკომმა გამოარკვია, თუ რა შედეგებს გამოიღებს საბჭოთა კავშირის ფინსახკომის მიერ განზრახული ცვლილებები. საშემოსავლო ნაწილების გაძლიერება განზრახულია შემდეგნაირათ: გადიდებული იქნება 10 პროცენტიანი დანართი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ძირითად კონტინგენტზე, რაც შემოსავალს გაადიდებს 150.000 მანეთით; სანადირო გადასახადის გადიდებით შემოსავალი გაიზრდება 4.000 მანეთით და სამხედრო უწყებისათვის გაწეულ ხარჯების ანაზღაურებით 438.000 მანეთით.

რაც შეეხება გასავალს, გასავლის ნაწილებიდან გამორიცხული იქნება ყაზარმების კაპიტალური რემონტი, პარტიულ და პროფტექნიკურ დაწესებულებების სამეურნეო ხარჯები. მილიციის ჩაცმა და შეიარაღება, სულ 331.000 მანეთი.

ამრიგად, რესპუბლიკის საერთო რესურსები გაიზრდება 900.000 მანეთით.

მაგრამ განზრახული ცვლილებები მნიშვნელოვნათ ვერ გააჯანსაღებს საქართველოს ადგილობრივ ბიუჯეტებს, რის გამო პროექტში შეტანილია დამატებითი ცვლილებები, რომლებიც გულისხმობენ ზოგიერთი ხარჯების შემცირებას და შემოსავლის დამატებით გაძლიერებას.

ეს ცვლილებები მოწონებულია საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღების შემდეგ წარდგენილი იქნება დასამტკიცებლად ცენტრში.

ახალი დებულება ძალაში შევა ახალი საბიუჯეტო წლიდან.

ადგილობრივი ბიუჯეტების გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის კოლეგიის დადგენილებით, საქართველოს ფინსახკომი მთელს რესპუბლიკაში აწყობს კომისიებს, რომლებმაც უნდა გამოარკვიონ ადგილობრივი ბიუჯეტების ფაქტიური მდგომარეობა.

კომისიები გამოარკვევენ იმ დაწესებულებების ქსელს, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება.

კომისიების მუშაობა დამთავრებული უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში.

პოლიგრაფიულ მრეწველობის კომიტეტი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, დაარსდა საქართველოს პოლიგრაფიულ მრეწველობის საქმეთა კომიტეტი, რომელშიაც არჩეული არიან: თავმჯდომარედ—ამხ. ვანო ბოლქვაძე, წევრებად: ამხ. აირანოვი, ხარაზიანი, მინდიაშვილი, ნიკიტინი და ვართანოვი.

კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას. კომიტეტი წარმოადგენს საქართველოს მთელი პოლიგრაფიული მრეწველობის უმაღლეს მომწესრიგებელ ორგანოს, რომლის მიზანია: საერთო ღონისძიებათა შემუშავება პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარებისა და გაფართოებისათვის, თავისი დასტურის მიცემა პოლიგრაფიულ—მოწყობილობის და მასალების ექსპორტ-იმპორტის საკითხებზე, თავისი დასკვნის მიცემა მასალების დაბეჭდვის დაკვეთაზე უცხოეთში, წინად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში არსებულ წარმოების სხვა უწყებების, დაწესებულებების და ორგანიზაციებისათვის გადაცემის საკითხების გადაჭრა, ამ წარმოებების სისწორით გამოყენების მეთვალყურეობა, პოლიგრაფიული მრეწველობის წარმოებათა რაციონალიზაციის, კალკულიაციის საერთო მეთოდების, ნაწარმოებთა საერთო ნორმების, ბეჭდვითი სიტყვის ტექნიკის გაუმჯობესების საკითხების განხილვა, წარმოების კონცენტრაციის მოგვარება, პოლიგრაფიული წარმოებათა აღრიცხვა.

ყველა ამ საკითხების შესახებ ის უწყებები, რომელთაც აქვთ პოლიგრაფიული წარმოება, — დასკვნისათვის მიმართავენ კომიტეტს, რომელიც მოთავსებულია ბროსეს ქუჩაზე № 2.

მუშათა ცხოვრება

შრომის ხელფასი დროზე უნდა დარიგდეს.

მუშა-მოსამსახურისთვის შრომის ხელფასის გაცემის დაგვიანებამ ამ ბოლო ხანში მიიღო ზოგიერთ სამეურნეო წამოწყება-დაწესებულებებში სისტემატიური ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ შრომის კანონთა კოდექსით მუშა-მოსამსახურეს უნდა გაუსწორდეს ანგარიში დროზე, დაუგვიანებლად და მას ეძლევა უპირატესობა ყველა სხვა მოვალეთა წინაშე თავისი ხვედრი ფულის მიღებაში და კოლექტიურ ხელშეკრულებაშიც ხაზგასმით არის აღნიშნული დრო, თუ როდის უნდა დაურიგდეს მუშა-მოსამსახურეთ შრომის ხელფასი, ისინი მაინც ასეთს იღებენ დაგვიანებით.

ამ გარემოებას კი დიდი ზიანი მოაქვს მუშის ოჯახისათვის, ხშირად დაქირავებული სრულიად უფულოდ რჩება რამოდენიმე დღის (და ზოგჯერ კვირის) განმავლობაში, რის გამო იგი იძულებული ხდება მიმართოს კერძო სესხებს ან და კერძო ვაჭართან ნისიობას. კერძო ვაჭარი კი მუშა-მოსამსახურის უკიდურესი მატერიალური მდგომარეობით სარგებლობს, უხსნის მას „კრედიტს" სურსათ-სანოვაგეთი და ერთს ორად ახდევინებს, რის გამო მუშა-მოსამსახურის ხელფასი არაფრად იქცევა.

ყველა ამას შედეგად ჰყვება უკმაყოფილება თვით მუშის ოჯახის წევრთა შორის, მუშისა და ადმინისტრაციის შორის. ხელფასის დროზე დაურიგებლობა ან და მისი ნაწილობრივ დარიგება უკარგავს მუშის ბიუჯეტს თითქმის ყოველივე მნიშვნელობას; თვით მუშასაც ეკარგება ხალისი მუშაობაში; ვერ უწევს ეკონომიას თავის შემოსავალ-გასავალს; ოჯახს ეკარგება მტკიცე ბიუჯეტი და სხვ.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად მიუღებელია და მას უნდა მოეღოს ბოლო ერთხელ და სამუდამოთ.

მართალია, შრომის ხელფასის დაგვიანებით გაცემა ხშირად გამოწვეულია წამოწყება-დაწესებულების უსალსრობის გამო, მაგრამ ამაში სრულიად არ არიან დამნაშავე მუშა-მოსამსახურენი. ისინი ასრულებენ თავის მოვალეობას პირნათლად და დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ დროზე მოამარაგოს მათი შრომის ხელფასისათვის საჭირო თანხა და დროზე გასცეს იგი.

შრომის სახ. კომისარიატმა და პროფორგანოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები ამ საქმის საბოლოოდ მოსაგვარებლად.

გ. ა—ნიძე.

ადგილკომიც ასეთი უნდა.

— ჯამაგირები მიიღეთ თუ არა? ეკითხება პირველ თამბაქოს ფაბრიკის მუშა მეორეს.

— არა. ჩვენ ჯერ არ მიგვიღია. თქვენ რა დროს იღებთ ჯამაგირს?

— ჩვენ ჩვეულებრივად თვის 18-ში და 3-ში, როგორც კოლექტიურ ხელშეკრულებაში გვიწერია. თქვენც ხომ ასე ღებულობთ?

— აქამდე ასე იყო და ახლა კი ჩვენ ადგილკომს სურს თვის 20-ში და 5-ში მივიღოთ.

— ეგ ხომ ხელშეკრულების დარღვევაა?!

— მაგას ყურადღებას ვინ აქცევს.

— არ მესმის, რაშია საქმე.

— საქმე იმშია, რომ ის თავისი აზრით ტრესტს ეკონომიას უწევს, რადგანაც ტრესტი ანგარიშების მოსამზადებლად ზედმეტ ნამუშევარს უხდის მოსამსახურეებს და დროის გაგრძელებით კი ტრესტი იგებს. იგი ზედმეტ ნამუშევრის ჯილდოს არ გადაიხდის; ტრესტს ეკონომია ექნება.

— კარგი, მაგრამ მუშების ეკონომიაზე ვინ უნდა იზრუნოს თუ ფაბრკომმა არა?!!

— ეს ასეა, მეგობარო, მაგრამ ფაბრკომს ეს რომ ასე არ ესმის?!

მუშა ამბალი.

რატომ არ იზრდება შრომის ნაყოფიერება რკინისგზაზე.

რკინისგზის მთავარ სახელოსნოში, სახარატო სამქროს გამგემ ფერზადიანმა გასული წლის დასაწყისში, სამჭედლო-სამქროს საგამხურებლოში დადგა ერთი პატარა (ორთქლმავალი „კუკუშკის" სისტემის) ქვაბი. ამ ქვაბს კი ვენტილიატორის საშუალებით უნდა ემოქმედნა და უნდა აემუშავებია ის მანქანები, რომლებსაც ამუშავებენ დღეს დიდი ორთქლმავლის სისტემის 4 ქვაბები. ამ მოკლე ხანში დამთავრდა ქვაბი, რომელსაც ფერზადიანის აზრით დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო მთავარ სახელოსნოსათვის. ამ ქვაბის დამთავრების შემდეგ მთავარ სახელოსნოს დარჩება ეკონომია თვეში სათბობი მასალის არა ნაკლებ 3 ათასი ფუთისა და სხვათ.

ასე ფიქრობდა ამხ. ფერზადიანი, მაგრამ მას მოლოდინი აღარ გაუმართლდა და ცდების დროს ქვაბი აღმოჩნდა საქმისთვის სრულიად უვარგისი და იმ ხარჯებმა კი, რომელიც ამ საქმისათვის გაღებულ იქნა, სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა.

აი კიდევ ერთი ფაქტი: ამწყობთა სამქროში იდგა ერთი ორთქლ-მამოძრავებელი ქვაბი, მაგრამ 1923 წლის დასასრულში ის ქვაბი მოხსნეს დიდი ხნის მუშაობის გამო და მის მაგიერად უნდა დაედგათ პატარა ქვაბი ერთი თვის განმავლობაში, მაგრამ ვიდრე ამ ქვაბს დასდგამდენ, დროებით დასდგეს ერთი მამაპაპური დროის უზარმაზარი ორთქლმავალი, ეს კი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაუზოგველად ხარჯავდა სათბობ მასალას. ის პატარა ქვაბი, რომელიც იქნა მოხსნილი, ხარჯავდა სათბობ მასალას—ზაფხულში 17 ფუთს და ზამთარში 24-25 ფუთს. ორთქლმავალი კი ზაფხულში ხარჯავდა 30-32 ფ. და ზამთარში 35-40 ფ. და მუშაობდა ყოველ დღე ერთი წლის და ოთხი თვის განმავლობაში.

შრომის ნაყოფიერება ასეთ პირობებში ვერ აიწევს.

რატომ ადმინისტრაცია ამას არ აქცევს ყურადღებას და რატომ გაგრძელდა ერთი თვის საქმე ერთი წლით?

მუშა სიონელი.

„ზაჰესი"-ში

აქ არსებობს სხვათა შორის ლ. ტროცკის სახელობის საავადმყოფო. საავადმყოფოს აქვს 7 საწოლი, ამბულატორია და აფთიაქი. ნოემბრის თვიდან ამ საავადმყოფოს განაგებს უფროსი ექიმი აბდუშელიშვილი და მისი თანაშემწე შ. შათირიშვილი. აღნიშნული საავადმყოფო დიდ სამსახურს უწევს როგორც ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებს, ისე ზოგიერთ სოფლიდან მოსულ გლეხებსაც. აღსანიშნავია ამ საავადმყოფოს ექიმების აბდუშელიშვილის და შათირიშვილის ერთგული და თავაზიანი მოპყრობა მუშა-მოსამსახურეებისადმი. ესენი თავაზიანად იღებენ ავადმყოფებს და არ იშურებენ თავის შრომას ავადმყოფების დასახმარებლად.

იყო ასეთი მაგალითიც, როდესაც მძიმე ავადმყოფს ესაჭიროებოდა ავადმყოფობის შესამსუბუქებლად ნივთი და ასეთი საავადმყოფოს არ ჰქონდა და არც ავადმყოფს შეეძლო იმის ამ დროულად შეძენა, ექიმმა აბდუშელიშვილმა აქაც არ დაზოგა თავისი ენერგია ავადმყოფ მუშისათვის და თავისი ხელით შეუკერა იგი.

საჭიროა ზოგიერთი ჩვენი ექიმები, რომლებიც უქმეხად და გულგრილად ექიდებიან ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეებს მიბაძავდენ აბდუშელიშვილის და შათირიშვილის თავაზიანობას და ერთგულობას მუშა-მოსამსახურეებისადმი.

ა. ტ—ე.

[illegible]

— **ამ მუშებს ძალიან მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა.** ქ. ფოთის ამომშრობ სამმართველოს სამუშაოები დაქსაქსულია ქალაქის სხვადასხვა რაიონებში. ზოგიერთი სამუშაოები ხდება ქალაქს გარეთ 9-15 ვერსტ. დაშორებით. ზამთარში აქ მომუშავე მუშების მდგომარეობა ძალზე მძიმეა. მათ თავის დროზე არ აქვთ არც საექიმო დახმარება და არც კარგი ბინები. სამუშაოზე სიარული უხდებათ თითქმის გაუვალ ტლაპოებში. აღნიშნულ მუშებს შორის არ სწარმოებს არავითარი კულტურული მუშაობა.

მიხედეთ ამ მუშებსაც!

მუშკორი კარგი.

— **ამ ქუჩით ადამიანს არ გაევლება.** ქ. ქუთაისში ვოლოდარსკის ქუჩა საშინლად დაზიანებულია. მას ქვაფენილი სრულიად გაფუჭებული აქვს. ქუჩა განათებული არ არის ღამით და აქ ღამით ადამიანს არ გაევლება. ამ ქუჩაზე კი უმთავრესად ცხოვრობენ მუშა-მოსამსახურეები და ღარიბი მოსახლეობა.

შეაკეთეთ ეს ქუჩა!

მუშკორი ჩ—ქუნა.

მოგვეცით წყალი. ახალ პროექტის ქუჩაზე მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეებმა დიდი ხანია კოლექტიური განცხადება შეიტანეს წყალსადენში, რომ მათთვისაც მიეცათ წყალი, მაგრამ ამ რაიონში წყლის გაყვანაზე აღარავინ ფიქრობს. ჩვენ კი უწყლოთ დავიტანჯეთ.

მუშა გონი.

— **გაანათეთ ეს ხიდი.** მე-11 სამილიციო უბანში არის საზოგადო ხიდი, რომელიც ღამით არ არის განათებული. ამის გამო ამ ხიდზე ბევრი უბედურება ხდება. ხიდიც გაბინძურებულია.

ზემოაღნიშნულ რაიონში უმთავრესად მუშები ცხოვრობენ და ამ ხიდით ღამით გავლა მათთვის პირდაპირ საშიშია.

გაანათეთ ეს ხიდი!

მუშა იჭაური.

— **აი რად და როგორ უაზროდ იხარჯება ხაზინის ფული.** რკინისგზის მთავარ სახელოსნოს სახარატო სამქროში ერთ-ერთმა „სპეცმა" მოინდომა რკ. გზისთვის დეფიციტის თავიდან აცილება და უნდოდა დაედგა აქ ერთი შიდაწვის მოძრავი მანქანა 20 ძალიანი. ამას მთელი სამი თვის მუშაობა მოანდომეს, ბევრი ფულიც დაიხარჯა და ეს მანქანა კი ყოვლად გამოუსადეგარი გამოდგა.

რას ნიშნავს ეს, თუ არა ბოროტმოქმედებას?!

მუშა ხელოსანი.

ჩვენი დამცველი მუშკომი თვითონაც იჩაგრება. თბილისის ფოსტის მთავარ კანტორის მუშკომი მტკიცედ იცავს ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეთა ინტერესებს და მათი შრომის პირობებს, ხოლო თავისი ინტერესების დაცვა მან ვერ შესძლო. მთელ ზამთარში იგი იმყოფებოდა ცემენტის იატაკიან ოთახში, რომელსაც გათბობა ერთხელაც არ ღირსებია. მუშკომში მომუშავენი საშინლად იყინებოდენ ამ საყინულეში. ადმინისტრაცია ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

რაშია საქმე?

მუშკორი განი.

პროფკავშირებში

საჭიროა პროფორგანოების ავტორიტეტული სიტყვა

პროფკავშირები საჭიროა პროფ ორგან ავ თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის აბზაცი „ე"-ს დამქირავებელს სხვათა შორის აქვს უფლება დაარღვიოს შრომის ხელშეკრულება და დაითხოვოს მუშა-მოსამსახურე შემდეგ შემთხვევაში: ა) როდესაც მუშა-მოსამსახურეს ბრალი ედება სისხლის სამართლის ქმედობის გამო და ბ) როდესაც მუშა-მოსამსახურე იმყოფება არესტის ქვეშ" ორ თვეზე მეტ ხნის განმავლობაში.

სინამდვილეში კი ზოგიერთ ჩვენ დაწესებულებაში შრომის კანონთა ეს მუხლი ხშირად ირღვევა. ზოგიერთი დამქირავებელი მას ბოროტადაც იყენებს, რათა თავიდან მოიშოროს მისთვის პირადათ „არასასიამოვნო" მუშა ან მოსამსახურე. წაუყენებს მას სისხლის სამართლის ბრალდებას, ან ფულის გაფლანგვაში, ან სამსახურის სხვაგვარ ბოროტად გამოყენებაში, ხსნის სამუშაოდან, აძლევს პასუხისგებაში და უწყვეტს შრომის ხელფასის გაცემას.

ამის შემდეგ გადის რამოდენიმე თვე (ზოგჯერ წელიც) და კვლევა-ძიებით და სასამართლოს განაჩენით მუშა-მოსამსახურე სრულიად მართლდება ყოველგვარი ბრალდებისაგან.

მიუხედავათ ამისა, დამქირავებელი მას მაინც უარს ეუბნება სამუშაოზე დაბრუნებაზე და არ აძლევს გაცდენილ დროის გასამრჯელოს.

ბევრ შემთხვევაში გამოუცდელი და სუსტი მუშა-მოსამსახურე იძულებული ხდება დაანებოს თავი უნაყოფო ხვეწნა-მუდარას დამქირავებლის წინაშე და სტოვებს „ბრძოლის ველს". შეგნებული და მხნე მუშა-მოსამსახურე კი ასეთ შემთხვევაში მიმართავს შრომის სასამართლოს, რომელიც მას აბრუნებს თავის ძველ თანამდებობაზე წინააღმდეგ დამქირავებლის „კაპრიზებისა" და მასთან დამქირავებელს აიძულებს (თანახმად ა.-კ. შრომის სახკომატის 1925 წ. 16 ივნისის განმარტებისა) მისცეს მას შრომის ხელფასი მთელ განაცდენ დროის განმავლობაში.

ადმინისტრაციის ასეთ ჯიუტობას, რასაკვირველია, დაწესებულებისათვის მოაქვს აუარებელი და აუნაზღაურებელი ზარალი და ხარჯები; ცდება თვეობით და ხშირად მეტი ხნითაც რამოდენიმე მუშა-ხელი და შრომის დაცვის ორგანოებიც საშინლად იტვირთება საქმეებით.

ამ ბოროტების ძირიან-ფესვიანათ აღმოსაფხვრელად, ჩვენის აზრით, მეტად მიზანშეწონილი იქნება, შემოღებულ იქნეს ასეთ შემთხვევაში თვით დამქირავებლების მატერიალური პასუხისგება მათივე სამსახურიდან მოხსნით და ჩვენი დაწესებულებები სრულიად განთავისუფლებულ იქნან ყოველგვარ პასუხისმგებლობიდან.

ასეთი წესები ზოგიერთ თავხედ და უსამართლო დამქირავებლის უკანონო „კაპრიზებს", რომლებსაც მოაქვს აუარებელი ზარალი წამოწყება-დაწესებულებებისათვის აუცილებლად მოუღებენ ბოლოს და შრომის დაცვის ორგანოების პრესტიჟიც კი ძალზე აიწევს მუშათა მასის თვალში.

საჭიროა შრომის სახკომატმა და ჩვენმა უმაღლესმა პროფორგანოებმა მიაქციონ ამას განსაკუთრებული ყურადღება და მიიღონ სათანადო ზომები, ამ ეპიდემიურ და საზიანო [illegible] წინააღმდეგ.

გ. ა—შვილი.

ქ. ფოთის პროფბიუროს მუშაობა
(გ.-წ. ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეში)

პროფ-ბიუროს პრეზიდიუმი საანგარიშო თვის განმავლობაში მთავარ ყურადღებას აქცევდა ქვემდგომ საკავშირო ორგანოების ორგანიზაციულად ჩამოყალიბების საკითხს.

უმრავლესობა სამაზრო განყოფილების, სამაზრო ადგილკომების და ქარხადგილკომების გადარჩევა ჩატარებულია.

არჩევნები ტარდებოდა პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა არჩევნების სრულ დემოკრატიულად ჩატარებას.

ზემოდ აღნიშნულის შედეგად ჩვენ მივიღეთ შემდეგი სურათი: თუ გასული წლის არჩევნებში საკავშირო აქტივის შემადგენლობა იყო პარტიული, შემადგენლობის მხრივ შემდეგნაირი: კომუნისტები 80 პროც., კომკავშირის წევრები 5 პროც., უპარტიო 20 პროც., ახალი არჩევნების შემდეგ კი სურათი ასეთია: კომუნისტები 55 პროც., კომკავშირის წევრები 5 პროც. და უპარტიო 40 პროც..

საარჩევნო კრებებზე დამსწრეთა რიცხვი აღწევდა 45—75 პროცენტამდე კავშირის წევრთა აქტივობა საარჩევნო კრებებზე პროგრესიულია. მთავარი დაბრკოლებები ორგანიზაციულ მუშაობაში შემდეგში გამოიხატება: საკავშირო აქტივის მთელი 100 პროც. მუშაობაში არ ღებულობს მონაწილეობას და ამიტომ დიდი სიმძიმე მუშაობისა ხშირად აწვება ამა თუ იმ საკავშირო ორგანოებში გამოყოფილ მომუშავეს.

სადელეგატო კრებების საკითხი ჯერ-ჯერობით კიდევ მოისუსტებს, რასაც მომავალისათვის უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

უმუშევართა აღრიცხვა

საანგარიშო თვის განმავლობაში კავშირებში ჩატარდა უმუშევრების ხალახალი აღრიცხვა, რამაც გამოარკვია, რომ დაზღვეულ უმუშევრებს, რომლებსაც ფულადი დახმარება ეძლეოდათ დამზღვევ სალაროდან, ამავე დროს დახმარებას ღებულობდენ უმუშევართა ფონდებიდანაც, რომლებიც არსებობენ კავშირებთან.

საკავშირო ფულის გაფლანგვა

ამავე საანგარიშო თვეების განმავლობაში აღმოჩენილ იქნა საკავშირო ფულის გაფლანგვა რკინის-გზის ადგილკომში და ადგილობრივ ტრანსპორტის კავშირის შავი ტვირთის ადგილკომში, პირველი საქმე უკვე გადაეცა სასამართლოს მეორეზე სწარმოებს გამოძიება. ურთიერთ დამხმარე სალაროების უმრავლესობა კავშირებში აწარმოებს მუშაობას ნორმალურად აღნიშნულ სალაროებში ჩაბმულია კავშირის წევრთა 90 პროცენტი.

მუშაობა როგორც ახალგაზრდათა შორის, აგრეთვე ქალთა შორის საჭიროებს გამოცოცხლებას, ვინაიდან დიდ აქტივობას კავშირებში სამისოდ გამოყოფილი მომუშავენი ვერ იჩენდენ.

კოლხელშეკრულებათა დადება

კოლექტიური ხელშეკრულებისა და სატარიფო შეთანხმების გადასინჯვისა და ასეთების ახლად დადების კამპანია ჩატარებულია ყველგან.

საწარმოო თათბირები

საწარმოო თათბირების საკითხი თუმცა ვერ სდგას ჯერ-ჯერობით სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ ამ მხრით არის ზომები მიღებული მუშაობის გასაცოცხლებლად.

კულტ-მუშაობა

საკლუბო მუშაობის გამოცოცხლების და სათანადო დონეზე დაყენების მიზნით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოწვეულ იქნა საკავშირთაშორისო კულტ-კონფერენცია, რომელზედაც გაკეთდა შემდეგი მოხსენებები: 1) მოხსენება პროფბიუროს მუშაობის შესახებ, 2) მოხსენებები ადგ. ტრანსპორტის, წყლოსანთა კავშირის, ცენტრალურ მუშათა კლუბის და რკინისგზის კლუბის მუშაობის შესახებ და 3) საშემოდგომო, საზამთრო კულტმუშაობის შესახებ. მასიური მუშაობა სწარმოებდა დაახლოვებით ნორმალურად. რაც შეეხება საწრეო მუშაობას ასეთი ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, რის მიზეზადაც უნდა ჩაითვალოს ნაკლები დაინტერესება კლუბების წევრთა საწრეო მუშაობაში. აღნიშნულ საკითხზე ყურადღება არის მიქცეული და ეს მუშაობაც გამოცოცხლებული იქნება ახლო მომავალში.

ბიბლიოთეკა - სამკითხველოების მუშაობა შეფერხებული იყო სათანადო მომზადებული ბიბლიოთეკების გამგების უყოლობის გამო.

საბიბლიოთეკო მუშაკების მომზადების მიზნით ცენტრალურ მუშათა კლუბიდან დაარსებული იქნა საბიბლიოთეკო წრე 25 მსმენელით რომელთა შორის 20 მსმენელმა დაამთავრა და ჩააბარა გამოცდები, რომლებიც ჩაუდგებიან ამ მუშაობას, და მოსალოდნელია ამის შემდეგ ეს მუშაობაც გამოცოცხლდეს.

წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია სუსტად მიმდინარეობს ჯერ-ჯერობით, მეტადრე მცირერიცხოვან კავშირებში, ამ საქმეს ხელს უშლის ის გარემოება, რომ მეცადინეობა სალიკვიდაციო სკოლებში ხდება საღამოს საათებში და ამიტომ მსმენელები ვერ იქნენ ჩათრეულნი.

საერთოდ ფოთის პროფ-ბიუროს მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად. მიღებულია წინასწარი ზომები მათ მუშაობაში შემჩნეული ნაკლების გამოსასწორებლად.

ვ. კალანდაძე.

პროფმუშაობის ქრონიკა

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირში

◆ **ჭაბუკთა სექცია.** ფოსტა-ტელეგრაფის კავშირთან დაარსდა ჭაბუკთა სექცია.

◆ **ხელფასის გადიდება.** დაევალა სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის პროფგანყოფილებას გამოარკვიოს სურსათ-სანოვაგის ფასები გაგრის, გუდაუთის და ოჩემჩირის ბაზარზე და მასთან დაკავშირებით გაუდიდოს მუშა-მოსამსახურეებს სამუშაო ხელფასი.

◆ **თანხის გაღება კულტმუშაობის საწარმოებლად.** ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ც. გამგეობამ დაადგინა მიეცეს კულტფონდიდან ქუთაისის პროფგანყოფილებას 100 მანეთი.

კომუნალურ მეურნეობის კავშირის ც. გ.

◆ **კულტმუშაობა უმუშევართა შორის.** კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირმა უმუშევართა შორის კულტმუშაობის საწარმოებლად აირჩია სპეციალური კომისია.

◆ **დახმარება უმუშევრებს.** ამავე კავშირმა ერთდროული დახმარება აღმოუჩინა უმუშევარ კავშირის წევრებს.

◆ **შრომის კოდექსს მუშები ეცნობიან.** კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირმა მიზანშეწონილად სცნო საერთო კრებებზე მუშებს გააცნოს შრომის კოდექსის საჭიროებო მუხლების მნიშვნელობა.

პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმში

— **მოპატიჟება პროფკავშირთა სრულიად საქართველოს მე-5 ყრილობაზე.** პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა გაუგზავნა მოსაპატიჟებელი დეპეშები პროფკავშირთა სრულიად საქართველოს ყრილობაზე: ბელორუსიის, უკრაინის, აზერბეიჯანის და სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს.

— **პროფკავშირთა სრულიად საქართველოს ყრილობა** გაიხსნება 8 მარტს, საღამოს 6 საათზე, საოპერო თეატრში.

— **სასოფლო მეურნეობაში შრომის დასაცავად.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შეუძლებლად სცნო სასოფლო მეურნეობაში შრომის დამცველი ინსპექტორის გამოყოფა. სასოფლო მეურნეობაში შრომის დაცვა დაევალა სამაზრო ინსპექტორებს, ხოლო მათი კონტროლი, თუ როგორ იცავენ ისინი შრომას სასოფლო მეურნეობაში,—დაეკისრა სასოფლო-სამეურნეო შრომის ინსპექტორს.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ცენტ. გამგეობაში

— **მიცემული ჯილდოს უკან დაბრუნების წინააღმდეგ.** საკავშირო რესპ. აჭარისტანის საფეიქრო სინდიკატის თანამშრომლებს მიეცათ ჯილდო, ადმინისტრაციამ უკანონოდ სცნო ჯილდოს გაცემა და მოინდომა მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირიდან ფულის დაკავება.

ეს საკითხი დაისვა ჯერ საბჭოთა მუშაკების კავშირის აჭარისტანის გამგეობაში და შემდეგ საბჭ. მუშაკების კავშირის ცენტრ. გამგეობაში.

ამ უკანასკნელმა შეუძლებლად სცნო მიცემული ჯილდოს უკან დაბრუნება და დაავალა აჭარისტანის გამგეობას საკითხი მოაგვაროს მომრიგებელ კამერის წესით.

— **საკავშირო რესპუბლიკების საბჭოთა მუშაკების თათბირზე.** საკავშირო რესპუბლიკების საბჭოთა მუშაკების კავშირის სოფლად მუშაობის შესახებ, საქართველოს ცენტრ. გამგეობა ამ თათბირზე ორ დელეგატს აგზავნის.

— **ლეჩხუმის მაზრაში მუშაობის გამოსაცოცხლებლად.** საბჭოთა მუშაკების კავშირმა მოისმინა პროფსაბჭოს ინსტრუქტორის ამხ. თოხაძის მოხსენება ლეჩხუმის შესახებ იმისა, რომ ლეჩხუმის საბჭოთა განყოფილებას მუშაობაში დეფექტები აქვს და გადასწყვიტა მიავლინოს ინსტრუქტორი ადგილობრივ საქმის შესასწავლად.

— **მილიციელთა პროფწრეებში ჩასარიცხავად.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირმა დაუშვებლად სცნო მილიციელების პროფწრეებში [illegible] ჩაწერა. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ცენტრ. გამგეობამ სთხოვა ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას გასცეს განკარგულება [illegible] რაიონებში [illegible] სიები [illegible].

— **მოხსენებები და ლექციები მილიციელთათვის.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების ცენტრ. გამგ. გადასწყვიტა მილიციელთათვის მოაწყოს მოხსენებები და [illegible] ლექციები [illegible].

ქრონიკა

აბრეშუმის პარკის გაგზავნა

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა მილანში (იტალია) გაგზავნა 25.000 ფუთი ხმელი პარკი.

საქართველოს ჩაი უცხოეთში

ა.-კ. კოოპ. კავშირმა ხელშეკრულება დასდო ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამიათ მხნაგობასთან საქართველოს ჩაის საზღვარგარეთ გასაღების შესახებ.

თხილი უცხოეთისათვის

წარმოკავშირმა საზღვარგარეთ გასატანად დაამზადა 10.000 ფუთი თხილი.

თბილისის აღმასკომში

◆ **ტრამვაის საჭიროებისათვის** თბ. აღმასკომმა გადასდო 20 ათასი მანეთი.

◆ **თემაღმასკომების და სოფლის საბჭოების** თავმჯდომარეთა გადამზადება მიზანშეწონილად სცნო თბ. აღმასკომმა და ამ მიზნით გადასწყვიტა გახსნას სპეციალური კურსები.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ტრამვაის სამმართველო მიმდინარე წელში შეუდგა ნავთლუღის რაიონში ძველს სასაკლაომდე ტრამვაის ლიანდაგის ახალი ხაზის გაყვანას.

სახალხო განათლება

◆ **ქაღალდის ნაწარმოების სახელოსნო.** განათლების კომისარიატს განზრახვა აქვს თბილისში გახსნას ქაღალდის ნაწარმოების საკუთარი ქარხანა.

◆ **კონსერვატორიის** საბჭოს ტექნიკური საჭიროებისათვის განათლების კომისარიატმა ყოველთვიურად გადასდო 120 მან.

◆ **საკანცელარიო ნივთების მაღაზიებიდან,** რომლებიც იმყოფება კომისარიატის განკარგულებაში, კომისარიატის დადგენილებით შრომის სკოლებს, ღარიბ მოწაფეთათვის სასწავლო ნივთები დაეთმობათ 50% დაკლებით.

ქართული შრიფტის რეფორმა

ქართულ შრიფტის რეფორმის გამო არსებული საგანგებო კომისიის მიერ წარმოდგენილი ქართული ახალი შრიფტის პროექტი დამტკიცებულ იქნა.

შრიფტის რეფორმა გატარდება 26/27 საბიუჯეტო წელში.

დაევალა განათლების სახ. კომისარიატს მიმდინარე წელში დაამთავროს რეფორმის განსახორციელებლად საჭირო წინასწარი სამუშაო.

◆ **სპარტაკის ორგანიზაცია.** განათ. კომისარიატმა ამხ. ღ. რუხაძეს დაავალა შეადგინოს სკოლებში სპარტაკის ორგანიზაციების მოწყობის ახალი გეგმა.

„მწყემსში“

◆ **თუშური ყველი.** მეცხვარეთა კოოპ. კავშირის „მწყემსის“ ცნობით, საქართველოში ყოველწლიურად მზადდება და საღდება 70 ათასი ფუთი თუშური ყველი ცხვრის რძისაგან.

◆ **მატყლის გასაღება.** „მწყემსის“ ცნობით, საქართველოდან ყოველწლიურად გააქვთ 100.000 ფ. მატყლი.

◆ **ცხვრის ჯიშის გაუმჯობესება.** „მწყემსის“ გამგეობამ გადასწყვიტა შეუდგეს ცხვრის ჯიშის გაუმჯობესების საქმეს.

წითელ ჯარში

◆ **კონკურსი.** 21 მარტს, ქართული წითელი ჯარის არსებობის 5 წლის თავზე გაიმართება კონკურსი საუკეთესო სამხედრო კუთხის, მასწავლებლის მკითხველის, მსროლელის და ბიბლიოთეკარის სახელწოდების მისაღებათ.

◆ **50 სამხედრო კუთხე.** საქ. წითელი ჯარის 5 წლის თავისათვის, მთელ რესპუბლიკაში განზრახულია გაიხსნას 50 ახალი სამხ. კუთხე.

სხვადასხვა

◆ **ქალაქის პირველ** საავადმყოფოსთან ახლო ხანში გაიხსნება ახალი განყოფილება წითელი ქარით დაავადმყოფებულთათვის.

◆ **სას.-სამ. გადასახადი.** შარშან თითოეულ დესეტინაზე მოდიოდა სას.-სამეურნეო გადასახადი 3 მან. 51 კაპ. რაოდენობით.

◆ **საქ. ამჟამად არსებობს** 149 სამრეწველო წარმოება, რომელშიაც მიმდინარე წლის დასაწყისში მუშაობდა 14.064 კაცი. მათში 2.076 ქალია.

ამხ. თ. კალანდაძის დანიშვნა

საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. თ. კალანდაძე.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა კლუბში.** შაბათს, 13 მარტს, გან. მუშაკთა სახლში ამხ. ხაჰაპურიძის ლექცია—„საბჭოთა სკოლა და დალტონგეგმა“ არ შესდგება.

შემთხვევები

◆ **თავის მოწამვლა.** 10 მარტს, საღამოს, ანჩისხატის ქუჩაზე თამბაქოს ქარხნის ეზოში, საუწყებო მილიციის უფროსმა მილიციონერმა ასლამაზოვმა მოიწამლა თავი.

◆ **მოკვლის მიზნით.** 10 მარტს, საღამოს, ხარფუხის შესახ., № 8, სახლის ეზოში 12 წლის მოწაფე ჰუსეინ ასადულა-ოღლიმ დაარტყა ქვა საფეთქელში მოქ. სანდრო ხმალაძეს და სასიკვდილოდ დააშავა.

◆ **მძარცველები.** 10 მარტს, ღამით, ამატუნის ქ., № 31, მოქ. ივანე ლომიაშვილს დახვდა ორი შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და წაართვეს 1 მან. 10 კ. და 8 ცალი პაპიროსი.

◆ **ფურგონის ქვეშ.** 10 მარტს, ქუთაისის ქ., № 10, ლევან კაჩკანოვის ფურგონმა გაიტანა სამადუროვის 3 წლის ბავში ლიდია და სასიკვდილოთ დააშავა. მეფურგუნე შეიპყრეს.

◆ **ქურდობა.** 10 მარტს, დღით, გუნიბის ქ., № 12, მოქ. კახიძის ბინიდან მოიპარეს 448 მან. ნივთები.

◆ ამავე დღეს, ორთაჭალაში გაქურდეს ტერიტორიარულ ჯარის ნაწილის სამჭედლო.

◆ **დახრჩობის მიზნით,** 9 მარტს, მეჩეთის ხიდიდან მტკვარში გადავარდა მოქ. მაშადი ალექსერ რამაზანოვი, რომელიც გადარჩენილ იქნა და გადაიგზავნა არამიანცის საავადმყოფოში.

ხელოვნება

მე-3 სიმფონიური კონცერტი

ქართული საოპერო სტუდიის ორკესტრის მესამე კონცერტი გაიმართა სრულიად ახალი პროგრამით და ვოკალური ნაწილის სრულიად ახალი შემსრულებლებით.

აღნიშნულ კონცერტის პროგრამაში შედიოდა მასსიეს პოეტური და სიმფონიური სურათი „პოდ ლიპამი“.

მელოდიურად იქნა შესრულებული ჩაიკოვსკის სიუიტა „ლებედ ნა ოზერე“. როსსინის „ვილჰელმ ტელის“ უვერტიურაში ფალიაშვილი ერთმანეთს უპირდაპირებს პირველ და მეორე ნაწილს. მეორე ნაწილში გადმოცემულია რევოლიუციონური აღტყინება (ოპერა „ვილჰელმ ტელ“-ში ასახულია შვეიცარიელების პირველი აჯანყება ავსტრიის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა შვეიცარიის რესპუბლიკის გამოცხადება). საორკესტრო ნაწილი დამთავრდა მარშით გოლდმარკის ოპერიდან „ცარიცა სავსკაია“.

ეს ნაწარმოები გარეგნულად ეფექტიანია, მაგრამ მუსიკალურად ნაკლებ შინაარსიანი.

აუდიტორია დიდი ინტერესით შეხვდა კონცერტში მომღერალ ინაშვილის მონაწილეობას, მსახიობმა შეასრულა მონოლოგი ვერდის ოპერა „ოტელო“-დან, „მე მჯერა“. შესრულება ისე როგორც ოპერის სცენაზე მეტად მოფიქრებული და ვოკალურად დასრულებული იყო.

შემდეგ სახელმწიფო ოპერის მსახიობმა ქალმა გილბერტმა შეასრულა არია ოპერა „აიდა“-დან: „ნილოსთან“ — ახალგაზრდა მომღერალი ქალის ხმა კარგია, მაგრამ რა საჭირო იყო საოპერო არიის შესრულება კონცერტზე, როცა ძალიან მდიდარია სარომანსო ლიტერატურა.

ვოკალური ნაწილი დასრულდა ინაშვილის და ქუმსიაშვილის დუეტით: ოპერა „აბესალომ და ეთერი“-დან.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა.

მწერალ ერვინ კიშის გამგზავრება

გერმანელი მწერალი ეგონ ერვინ კიში, რომელიც თბილისში იმყოფებოდა, ჩრდილოეთ-კავკასიაში გაემგზავრა.

კავკასიაში ყოფნის დროს ეგონ კიში დაწვრილებით გაეცნო კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს რესპუბლიკანურ ცენტრებში.

კიშმა უკვე გაგზავნა წერილები გერმანულ ჟურნალებში მოსათავსებლად. საბჭოთა ამიერ-კავკასიის ცხოვრებამ გერმანელ მწერალზე, მისივე სიტყვით, განსაცვიფრებელი შთაბეჭდილება მოახდინა. საბჭოთა ქვეყნის კულტურა აღმოსავლეთის მიჯნაზე ისეთივე წარმატებით ვითარდება, როგორც საბჭოთა კავშირის დანარჩენ კუთხეებში.

◆ **„დალატი“.** ხვალ, ოპერის თეატრში, ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „დალატი“ მომღერალ ქალის ალეშკოს მონაწილეობით.

◆ **„კარმენ“.** კვირას, ოპერის თეატრში სანდრო ინაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ოპერა „კარმენ“.

◆ **„დეზერტირკა“.** შაბათს, აკადემიურ დრამაში წარმოდგენილი იქნება „დეზერტირკა“.

◆ **მეოცნებე ნიამურები“.** აპრილის პირველ რიცხვებში გამოვა ჟურ. „მეოცნებე ნიამურები“-ს მე-12 ნომერი ელ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით.

◆ **ილ. ჭავჭავაძის ნაწერები.** გამოვიდა ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი, რომელშიაც მოთავსებულია ლექსები, პოემები და თარგმანები.

◆ **გრ. რობაქიძის ნაწერები.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა გრიგოლ რობაქიძის პიესათა კრებული: „ლამარა“. „ლონდა“, „მალშტრემ“.

რკინის გზებზე

გზების დასავლეთის უბნის გამოკვლევის შედეგები

ა.-კ. რკ.-გზ. სამმართველოსთან არსებულმა მატარებლებით მოძრაობის საშიშროებასთან მებრძოლმა კომისიამ მოახდინა გზების დასავლეთ უბნის გამოკვლევა.

აღმოჩენილი იქნა მთელი რიგი დეფექტებისა სადგურების ტექნიკურ ანგარიშებში, სახელდობრ: ჟურნალების უწესოდ წარმოება, საინსტრუქტორო წიგნების უქონლობა და სხვა.

სადგურების საჩვენებელ ნიშნების მოწყობილებათა გამოკვლევამ დაამტკიცა: ისრების ფანრების ნაკლებობა, მათი უწესოდ შეღებილობა, და საერთოდ ისრების უვარგისობა. მთავარ ლიანდაგებზე უვარგის მდგომარეობაშია 256.260 ცალი და სადგურებზე—128.580 ცალი შპალი, გამოირკვა, რომ ლიანდაგი უვარგისი და გაცვეთილია ზოგიერთ უბნებში, უვარგისია აგრეთვე სემაფორები: თბილისის, ავჭალის, ლიხის, წიფის, მოლითის, რიონის, ქუთაისის და კოპიტნარის სადგურებზე.

ამ გამოკვლევის შედეგებთან გაცნობის შემდეგ გზების მმართველობამ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად გზების ყველა აგენტებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მატარებლების მოძრაობასთან, ევალებათ მიიღონ ენერგიული ზომები აღმოჩენილ დეფექტების მოსასპობად.

მოძრაობის, წევის, სალიანდაგო და ელექტრო-ტექნიკური დარგების განყოფილებების გამგეებს დაევალა თვალ-ყური ადევნონ სამუშაოთა წარმოებას და თუ რომელიმე სამუშაოთაგანი შეტანილი არ აღმოჩნდა ხარჯთ-აღრიცხვაში, წარმოუდგინონ სამმართველოს სათანადო ხარჯ-აღრიცხვები კრედიტების მისაღებათ.

მიღებულ უნდა იქნეს ზომები სადგურების საჩვენებელ ნიშნებით და მათ გამანათებელ მასალებით მოსაგვარებლად.

სად. ჩაქვის ტექნიკურ ანგარიშებში დეფექტების აღმოჩენის გამო სადგურის უფროსი გიორგაძე, როგორც შეუფერებელი თავის თანამდებობისათვის, სადგურის უფროსობიდან გადაყვანილ იქნა—თანაშემწედ.

სადგ. რიონში აღმოჩენილ დეფექტების გამო, სადგ. უფროს ჩხეიძეს ეცხადება საყვედური, ხოლო სადგურ ქობულეთის უფროსს კობეშავიძეს და სადგ აჯამეთის უფროსს დოლონაძეს მიეცათ შენიშვნა.

მესამე უბნის გზის ოსტატს ვეფხვაძეს სადგ. ხაშურში ლიანდაგების უვარგისობისათვის ეცხადება საყვედური, ხოლო პირველი უბნის გზის ოსტატს მაქაცარიას—მადლობა ნაყოფიერ მუშაობისათვის. ქუთაისის სადგურის უფროსს რუხაძეს, სადგურის ტექნიკურ ანგარიშების სამაგალითოდ წარმოებისათვის და სადგურის კარგ მდგომარეობაში შენახვისათვის გამოეცხადა მადლობა.

გადასახადები თბილისის მაზრაში

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფისაგან მიმდინარე წელს უნდა შემოვიდეს სულ—231.909 მანეთი; გარდა ამისა ასაკრეფია კიდევ გასული წლის ნარჩენები სულ—24.318 მანეთი.

თებერვლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილ იქნა სულ—134.000 მანეთის რაოდენობით ანუ მთელი ასაკრეფი გადასახადის საერთო ჯამის—53 პროცენტი. ზოგიერთ თემებში აკრეფილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობა საშუალო პროცენტზე გაცილებით მეტია.

მაგალითად გომბორის თემში აკრეფილია გაწერილი გადასახადის 92 პროცენტი, მცხეთის თემში—88 პრ. ერწოს თემში—87 პროც.

ყველაზე უფრო ჩამორჩენილი გადასახადის აკრეფის საქმეში არის—თელეთის თემი, სადაც აკრეფილია მხოლოდ 26 პროცენტი, შემდეგ მარტყოფი, სადაც აკრეფილია—30 პრ.

გასული წლის ნარჩენების აკრეფით შეგროვილია 8.012 მანეთი, ანუ ნარჩენების ჯამის—33 პროც.

ამ გვარად თებერვლის დამლევამდე თბილისის მაზრაში აკრეფილია—144.036 მანეთი სასოფლო - სამეურნეო გადასახადი.

საბინაო გადასახადი

თბილისის საგადასახადო ქვეგანყოფილების ცნობით, მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ ნახევრისათვის ქალაქ თბილისზე გაწერილია სულ—94.580 მანეთი საბინაო გადასახადი.

ამ თანხიდან პირველ მარტამდე შეგროვილი უნდა ყოფილიყო თანხის ორი მესამედი, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო მარტამდე აღმასკომის სალაროში შეტანილია გადასახადის საერთო ჯამის ნახევარი.

სახალხო კომისართა საბჭოში

1926/27 წ. ბიუჯეტის დამუშავება

1926/27 წ. ბიუჯეტის წინასწარ დასამუშავებლად სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყო სპეციალური კომისია, ფინანსთა (თავმჯდომარე), შრომის და მ/გ. ინსპექციის სახ. კომისრების შემადგენლობით. კომისიას დაევალა გამოიმუშაოს და წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს თავისი მუშაობის გეგმა.

დამსახურებული ინჟ. ი. ანდრონიკაშვილის

45 წლის ტექნიკური და საზოგადო მოღვაწეობის აღსანიშნავად, სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა გზა-ტკეცილების სამმართველოს მისცეს ინჟ. ი. ანდრონიკაშვილს ერთდროული დახმარების სახით ოთხი თვის ჯამაგირის ოდენობით.

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის შესახებ

წინადადება მიეცა მიწ. სახ. კომისარიატს გასცეს აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საჭიროებისათვის შეღავათიან ფასებში 1.200 ცალი მუხის ხე.

მ/გ. ინსპექციის სახკომის კოლეგიის წევრების დამტკიცება

მ/გ. ინსპექციის სახ. კომისარიატის წევრებად, სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა—ამხ. მ. კვარაცხელია (კომისრის მოადგილე), ვ. იტრიევი, ა. კალანდაძე, ნაკაშიძე და ვ. გოგობერიძე.

საბჭოთა სასამართლო

ვასილ გეგეჭკორის საქმე.

გუშინ, საქართველოს უზენაეს სასამართლომ ამხ. **მეგრელიშვილის** თავმჯდომარეობით, გაარჩია საკასაციო საჩივარი ვასილ გეგეჭკორის საქმეზე.

ბრალდებულ გეგეჭკორს კოოპერატიული ფულების გაფლანგვისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

უზენაეს სასამართლომ ოთხი საათის თათბირის შემდეგ დაადგინა: ვასილ გეგეჭკორის საკასაციო საჩივარი ოლქის სასამართლოს განაჩენზე დატოვებულ იქნას **უყურადღებოდ** და მისთვის მისჯილი უმაღლესი სასჯელი **დახვრეტა დამტკიცებულ იქნას.**

განაჩენი სოკოლნიკოვის საქმეზე.

11 მარტს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ დაასრულა ყველა მოწმეების დაკითხვა. მხარეთა კამათის შემდეგ, სასამართლო გავიდა განაჩენის გამოსატანად.

მოწმეების ჩვენებით და საქმეში დართული მასალების მიხედვით, სასამართლომ სოკოლნიკოვი იცნო დამნაშავედ 2.605 მან. და 99 კაპ. სახალხო ქონების გაფლანგვაში და მიუსაჯა მას ათი წლით თავისუფლების აღკვეთა,

მთავრობის მოქმედებანი, და განკარგულებანი

ცირკულიარულად

ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს

შემჩნეულია, რომ ამ ბოლო ხანებში მაზრებიდან თბილისში მრავალი დასახიჩრებული, ქვრივ-ობოლ-მოწაფე და შემთხვევით გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხი ჩამოდის ცენტრალური ორგანოებისაგან დახმარების მისაღებად. მათ მიერ წარმოდგენილი მოწმობებიდან ირკვევა, რომ მათ თბილისში ჰგზავნიან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები; მაგრამ ცენტრალური დაწესებულებანი ვერ აკმაყოფილებენ მთხოვნელებს, რადგანაც მათი ბიუჯეტით სამისოთანა არ არის გათვალისწინებული. არსებული კანონის მიხედვით დახმარების საქმის პრაქტიკულად განხორციელება ადგილობრივ დაკისრებული აქვთ ერთის მხრით სამაზრო აღმასკომებს, რომელთა განკარგულებაშიაც გადადებულია ბიუჯეტით გათვალისწინებული განზრახული თანხები, მეორე მხრით გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებას. ასეთ პირობებში ადგილობრივი ორგანოების მიერ დასახიჩრებულისა, ქვრივ-ობოლთა, მოწაფეთა და შემთხვევით გაჭირვებაში ჩავარდნილ პირთა თბილისში გამოგზავნა იწვევს, როგორც დეზორგანიზაციას სოციალური უზრუნველყოფის საქმეში და უნაყოფო მიმოსვლით გამოწვეულ ხარჯს, ისე ცენტრალური ორგანოების მუშაობის შეფერხებას, რადგანაც ეს უკანასკნელნი იძულებული ხდებიან მათთან დახმარებისათვის მოსულ ხალხს მხოლოდ რჩევა-დარიგება მისცენ და უარით გაისტუმრონ. ზემოაღნიშნულ მიზეზის გამო ადგილობრივ ორგანოებს უნდა ყოველთვის ახსოვდეს ის გარემოება, რომ კანონით სოციალური უზრუნველყოფის საქმეს განაგებს ცენტრში სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, რომელიც უწევს ადგილობრივ სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოებს და საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებს მხოლოდ საერთო ხელმძღვანელობას, კონტროლს და მეთვალყურეობას,, ხოლო სოციალური დახმარების აღმოჩენა, როგორც ზემოდ არის აღნიშნული, დაკისრებული აქვთ სამაზრო აღმასკომებს და გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებს.

ამის გამო სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადება აძლევს ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს:

1. მიიღონ სათანადო ღონისძიება, რათა დასახიჩრებულნი და სვადასხვა სახის გაჭირვებული პირნი დაკმაყოფილებულ იქნენ ადგილობრივ სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოების მიერ შეძლებისდაგვარად. და

2. განუმარტოს ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომ დახმარებისათვის მათ უნდა მიმართონ არა ცენტრალურ ორგანოებს, რომლებიც ფაქტიურად დახმარებას არ იძლევიან, არამედ სამაზრო აღმასკომებს და გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებს, რომელთაც ეს კანონით აქვთ დაკისრებული.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. თებერვლის 26.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დებულებისათვის მე-5¹ მუხლის დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დებულებას, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის იანვრის 18-ს თარიღისა და 1-ლი №-ის და იმავე წლის აგვისტოს 6-ს თარიღისა და 31 №-რის დადგენილებებით, დაემატოს მე-51 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„ამა დებულების მე-4 და მე-5 მუხ. აღნიშნული პროექტების წინასწარ განსახილველად სამხატვრო-საარქიტექტორო თვალსაზრისით, აგრეთვე გამოსაცხადებელი კონკურსებისათვის შემუშავებული პროგრამების წინასწარ დასამტკიცებლად“ საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან მოეწყობა სამხატვრო-საარქიტექტურო საბჭო. იგი შესდგება საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური საბჭოს მიერ დანიშნული მხატვრებისა და არქიტექტორებისაგან.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. თებერვლის 17.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციების მე-2 რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, 13 მარტს, საღ. 5 საათზე რაიკომის შენობაში გაიმართება გაფართოებული პლენუმი მე-2 რაიონის კომუჯრედების მდივანთა თანდასწრებით.

რაიკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა და აგრეთვე უჯრედთა მდივნების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი **ფანცულაია.**

ორშაბათს ა. წ. 15 მარტს დილის სრულ 9 საათზე საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეთში შესდგება ქალაქის და სოფლის დაკავშირების საზოგადოების თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა სარევიზიო კომისიებთან ერთად.

სავალდებულოა პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიების წევრთა დასწრება დაუგვიანებლად.

ს. კ. პ. ლენრაიკომი გაცნობებთ, რომ 15 მარტს საღამოს 6 საათზე პლეხანოვის კლუბთან არსებულ სამკითხველოში შესდგება ლენინის რაიკომის პლენუმის სხდომა კომუჯრედების ბიუროების წევრების თანდასწრებით.—დღის წესრიგი:

1. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენება.
2. მიმდინარე საკითხები.

ლენრაიკომის მდივანი—ქავთარაძე.

პროპაგანდისტთა კურსების რუსული ჯგუფის მორიგი მეცადინეობა შესდგება შაბათს ა. წ. 13 მარტს საღამოს 7 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაკთა კაბინეტში.

შაბათს, 13 მარტს, საღამოს 5 საათზე საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ბინაზე გაიმართება ქალაქის რაიონის ყველა ტიპის პოლიტსკოლების სტაროსტების თათბირი.

ვალდებული არიან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: შახნაზაროვი, კვანტალიანი, შატკორიანი, ყანდარელი, მრიკოტენკო, ბიძინაშვილი, მოროზოვი, ჩელიძე, მურადიან, პაატაშვილი, გარსოევი,, მუჭუკინი, საფარიანი, გამძე, ჩოდრიშვილი, როსჩეპკინი, ავაკოვი, როჟდესტვენსკი, ავოიანი, შლიკოვი, ხიტაროვი, წიწნიაშვილი, ხოლზოვი, ვასკანოვი, მიხნევიჩი, მინდელი, ბორიაკი, მოსიკაშვილი, ხანდამოვი, ხუნდიაშვილი.

ქალაქის რაიკომი.

სახელმწიფო უნ. ახ. ლენ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს ყველა უჯრედების წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ კვირას, 14 მარ., დღის 12 საათზე შესდგება გაერთიანებული უჯრედების კრება. დასწრება წევრების და კანდიდატებისა სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

მართა იოსების ასული, ილია გიორგის ძე, ანა გიორგის ასული პავლიაშვილები და ნინა ალექსანდრეს ასული ჩაჩანიძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 11 მარტს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

გიორგი ივანეს ძე პავლიაშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, 14 მარტს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, სადაც მიცვალებული გასვენებული იქნება დილის 10-ზე ბინიდან—სიონის შესახვევი № 1.

გრიგოლ (გრიშა) ამბაკოს ძე დუმბაძე ღრმად და გულწრფელ მადლობას უცხადებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც [illegible], თუ წერილობითი გამოსთქვეს ჩემი [illegible] მეუღლე - თანაგის

მარიამ (მაშო) [illegible] დუმბაძის

1832 დაკარგვის გამო. 1—1

ღრმად დამწუხრებული და გულდათუთქული კონსტანტინე მოსეს-ძე, მოსე გლახუნის-ძე, ივლიტა ანტონის ასული, შალიკო მოსეს-ძე და შუშანა მოსეს ასული ვაშაკიძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 11 მარტს, დილის 6 საათზე, ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველისთვის საყვარელი მეუღლე და დანარჩენთათვის მუდამ სახსოვარი და გულიდან ამოუშლელი რძალი

მარიამ გიორგის ასული ვაშაკიძისა

გამოსვენება მოხდება კვირას, 14 მარტს, არამიანცის სახელობის საავადმყოფოდან დილის 12 საათზე, საიდანაც მიცვალებულს წაასვენებენ ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1844 2—1

მეუღლე ვიქტორია, შვილები გოგი და ვახტანგი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 14 მარტს, დილას 11 საათზე ქიათურაში მღვიმევის მონასტერში გადახდილი იქნება პანაშვიდი

ერეკლე გრიგოლისძე დეკანოზიშვილის

1838 40 დღის გარდაცვალების გამო. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: შვილი კალისტრატე, რძალი სალომე, შვილისშვილები: ნორა, კუჭიკო და ქეთინო მამინაიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

როსტომ გიორგისძე მამინაიშვილი

დაკრძალვა პარასკევს, 12 მარტს, ს. გურიანთაში (გურია).
1835 1—1

გულდათუთქული და ღრმად დამწუხარებული მშობლები: ოლღა ბიქტორის ასული და გრიგოლ ნიკოლოზისძე ჟღენტები, ძმა თემური, გრიგოლის ძე ჟღენტი, ბებია და ბაბუა: მელანია სტეფანეს ასული და ბიქტორ ანდრიას ძე შოთაძეები, აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ დაუვიწყარი და საყვარელი

თინათინ (ცაციკო) გრიგოლის ასული ჟღენტის

ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 14
1814 მარტს, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე, დღის 12 ს. 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ილარიონი, შვილები: ვარლამი, ვლადიმერი (ბათო), ქეთო, გიგლა (გიორგი), მული ქრისტინა, მაზლი ექვთიმე დვალიშვილები, მამა სილოვანი, ძმები: ვალამი, გერონტი, დები: ალექსანდრა, ნინა, გუგლა, რძალი ოლია ცინცაძეები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ვერა (ვერიკა) სილოვანის ასულის დვალიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ქალაქ თბილისში კვირას, 14 მარტს, 4 საათზე, საკუთარ ბინიდან, მალაკნის ქუჩა, № 18, მეათე უბანი. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1845 1 - 1

ღრმად დამწუხრებული დედა ალექსანდრა, მამა ვლადიმერ, ძმა გრიშა, ბიცოლა სონა, ბიძაშვილი მარიამი და სხვები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უბედურ შემთხვევით დაღუპულ შვილის

დავითი (დათიკო) ვლადიმერისძე ჟორჟოლიანის

გამოსვენება მოხდება ქ. მთავარ საავადმყოფოდან და დაკრძალვა ა. წ. 12 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. 1846 1—1

სახელმწიფო ოპერა : შაბათს, 13 მარტს,

ღალატი

ოპერა იპოლიტოვ-ივანოვის. ალეშკოს მონაწ.

დადგმა ალ. წუწუნავასი.

3—3 ნ. 890

რუსთაველის თეატრი :

შაბათს 13 მარტს

„დეზერტირკა“

კვირას უკანასკნელად ამ სეზონში

„მზის დაბნელება საქართველოში“

1—1 ნ. 894

გაზ. „კომუნისტი“-ს

მთავარი კანტორა,

ამა მარტის 15-დან

გადადის ახალ ბინაზე

(რუსთველის პროსპ. № 34)

სადაც მიიღება ხელის მოწერა და განცხადებები.

6—1. მთავარი კანტორა.

„ზაკავტოპრომტორგი-ს“

„ЗАКАВТОПРОМТОРГ“

თბილისის განყოფილებამ

კვირაობით და უქმე დღეებში მოაწყო

საექსკურსიო მოგზაურობა

„ფიატ“-ის სისტემის ახალ ავტობუსებით

1) თბილის—ზაჰეს—მცხეთას შორის || 2) თბილის—კოჯორს შორის

ავტომობილები გავლენ კანტორიდან (თავისუფლების მოედანი, № 2, ყოფ. ქარვასლა) დღის 12 საათზე, უკან დაბრუნდებიან საღამოს 5 საათზე, როგორც მცხეთის, ისე კოჯორის ხაზზე.

ბილეთები უკან დაბრუნებით და გაჩერებით, როგორც კოჯრისაკენ, ისე მცხეთისაკენ—4 მანეთი.

მთელ ავტობუსზე ჯგუფურად ჩაწერის დროს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებისათვის დასაშვებია შეღავათი და გამგზავრების დროც შეიძლება შეთანხმებული იქნას კლიენტებთან.

აგრეთვე დღეთმობათ ავტობუსები ქირით საათობით ქალაქში და ქალაქგარედ მოგზაურობისათვის.

ბილეთების გაყიდვა და ცნობების მიღება სწარმოებს სამუშაო დღეებში, დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე, ხოლო კვირაობით და უქმე დღეობით დილის 7 საათიდან დღის 3 საათამდე, სამგზავრო მიმოსვლის თბილისის კანტორაში.

(თავისუფლების მოედანი № 2, ყოფილ თამამშევის ქარვასლა).

ტელეფონი № 10—05
4—3 ნ. 798

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს.
ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 3
25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული სნეულ. და სიფილისი

დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.

პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—1

საქირაო

3 ცალკე მოწყობილი ოთახი სახელმწიფო ელექტრო-ტრესტის 3 მივლინებულ თანამშრომლისათვის

ოთახები შეიძლება იყოს სხვადასხვა ბინებში

ქირა შეთანხმებით

სასტუმრო „ივერია“ № 1. ნ'ტერევს. მოლაპარაკება შეიძლება საღამოს 4—7 საათამდე.

2—2 ქვ. 1786

ახლად ამ სეზონში

მეამბოხე ქალი

კონსტანც ტოლმეჯის და კონვეი ტრილის მონაწილეობით.

ანონსი: ამ დღეებში „ჯვარი და მაუზერი“

აპოლო ართისტო სოლეი

3 და 4 სერია

მსოფლიო შედევრი

„ნიბელუნგები“

(კრიმგილდას შურისძიება)

1-ლი სეანსის დასაწ. 6 საათ.
2-რე — 9 საათზე
სალარო ღიაა 4 ნახ. საათიდან.

0—7 ნ. 869

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის

უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24

ტელეფონი № 10—49

გრძელდება ხელისმოწერა

ვეფხის ტყაოსანზე

სარგის კაკაბაძის რედაქტორობით

სამეცნიერო გამოცემის ცდა. ძირითადი ტექსტი ყველა დამატებებით და სრული ვარიანტებით 12 საუკეთესო ხელნაწერის მიხედვით, გამოკვლევით და ლექსიკონით (სულ 460—480 გვერდამდის). წიგნს დართული ექნება მრავალი სურათი, ფასი ხელისმოწერით 4 მან. გამოსვლის შემდეგ წიგნი მეტი ეღირება. ხელისმომწერთ ეხლავე შემოაქვთ 2 მან. ხელისმოწერა მიიღება თბილისში თვით გამომცემელ სარგის კაკაბაძესთან, ლენინის ქ. 48 (ტელ. 19—79 და აგრეთვე მანდატით აღჭურვილ წარმომადგენლებთან. პროვინციიდან ვინც ეხლავე წიგნს ხუთი ხელისმომწერისთვის დაიკვეთს და თუმანს შემოიტანს, მეექვსე წიგნს მიიღებს უფასოდ. 1845 2-1

წითელი თეატრი

წითელი თეატრი : შაბათს, 13 მარტს,

პრემიერა ლერნერი

ნიკოლოზ 1-ლი

(დეკაბრისტების შეთქმულება)

დადგმა ვახტანგ გარრიკის

ადგილების ფასი სახალხოა

დასაწყისი საღ. 8 საათზე

დასის ადმინისტრატორი ნ. ჰანკვატაძე

1—1 ნ. 899

ფასი 45 კაპეიკი

ავტომატიური დამთვლელი მანქანა

დაწესებულებათა, წარმოებათა, სამეურნეო დარგში მომუშავეთა, სამეცნიერო მუშაკთა, უმაღლეს სასწავლებელთა და სკოლების მოსწავლეთა, კანტორის და დახლების მუშაკთა საყურადღებოთ. ყველასათვის ძვირად მისაწვდომი ენერგიის დაუხარჯავათ; არ სჭირდება დარიგება და სწავლა. იძლევა გამრავლების, გაყოფის, პროცენტების გამოანგარიშების შედეგებს ავტომატიურად და სწრაფათ. საუცხოვოა სხვადასხვა ანგარიშების პრაქტიკულად და სწრაფად საწარმოებლად. გამოიგზავნება დაუყოვნებლივ შეკვეთის და 45 კაპიკის მიღებისთანავე. 3 მა ეთამდე შეიძლება გამოგზავნილი იქნას მარკებით. ამანათით იგზავნება 3 მანეთზე ზევით.

გადასაგზავნად და ჩასალაგებლად გადახდილი უნდა იქნეს 15 კაპიკი.

შეკვეთა და ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით. მოსკოვი, პოკროვსკის ბაღი, სახ. № 14 | 6. ბინა 8. ავტორს ა. ი. ცუკერშტეინს.

ნ. 896 8—1

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—14

მალაკანთა კოოპერატივის

„მომხმარებელი“-ს

● სალიკვიდაციო კომისია ●

აცხადებს, რომ კვირას, 14 მარტს, დილის 10 საათზე ყოფილ უნივერსალურ მაღაზიის (რიყე. პეტრიწის მოედანი № 12) გაიმართება

◀ საჯარო ვაჭრობა ▶

სხვადასხვა საგნების (სასწორის, ბოჭკების, ფურნის მოწყობილობის, ყუთების და სხვ.) და აგრეთვე დარჩენილ საბაყლო საქონლის გასასყიდათ.

1—1 1839 სალიკვიდაციო კომისია

ჩქარი მატარებლის გაუქმება

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობა ამით აცხადებს, რომ ჩქარი მატარებელი № 1 თბილის-მოსკოვს შორის, რომელიც გადის თბილისიდან ორშაბათობით და ჩქარი მატარებელი № 2, მოსკოვ-თბილისს შორის, რომელიც მოდის თბილისში შაბათობით ორშაბათიდან, ა | წ. 15 მარტიდან, გაუქმებულია. შაბათს, 13 მარტს, მოსკოვიდან ჩქარი მატარებელი არ მოვა
ნ. 898 1—1

ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ 20 მარტს ნაშუადღევის 1 საათზე, ვასილ ხახიშვილის ბინაზე, გოგოლის ქ. № 59, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება მისი ქონება, რომელიც შეფასებულია 200 მანეთად: სამწერლო მაგიდა, შკაფი წიგნებისა და ტანთსაცმელისათვის, კედლის საათი და ნოხი 4 არშ. 2 არშინზე და ფაბრიკაში დამზადებული ნოხი.

1830 1—1

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი, ამით აცხადებს, რომ ის 15 მარტს 1926 წ., დღის 12 საათზე, სახლში № 8 დალესტანის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ანტონ აკოპოვის მოძრავ ქონებას: როიალს შეფასებულს 100 მანეთად, ლუიზი მადერის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბანის სახალხო სასამართლოსაგან 8 დეკემბერს 1925 წ თარიღით, № 7235 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

თბილისის მე-5 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ი. გეგელაშვილი აცხადებს, რომ 17 მარტს 1926 წ. დილის 11 საათზე, თბილისის მე-11 მილიციის უბანში, ნაძალადევი, ახალპროექტის ქუჩაზე, № 293, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ნადეჟდა მიხეილის ასული ვართანოვის ერთ სართულიან სახლს, აგებული ნაკვეთ მიწაზე ზომით 103,5 კვ. საჟ., რომელშიაც ირიცხება სამი ოთახი, ერთი სამზარეულო, შუშაბანდიანი ბალკონი. შეფასებულია გასაყიდათ 550 მან. დასაკმაყოფილებლად ქეთევან ივანეს ასული ვართანოვისა, თანახმად თბილისის მე-11 უბნის სასამართლოს აღმასრულებლის № 1089. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამარ. საპრ. კოდექ.

1837 1—1

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი აცხადებს, რომ ა. წ. 15 მარტს, დღის 1 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის გიორგი ტერ-ჯანიანცს და იმყოფება მე-5 მილიციის უბანში, უსპენსკი ქუჩ. სახ. № 5 და შესდგება ბინის მოწყობილობიდან, როგორც არის: სკამები, მაგიდები, ხალები, ბუფეტის და სარკიანი ტანისამოსის შკაფები და სხვ.

შეფასებულია 125 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.

ქონება აწერილია მესრაფ ნერსესოვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 5 თებერვლის 1926 წ. თარიღით № 179 გაცემული აღმასრულებელ ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემო-ნიჩვენებ მისამართზე, სადაც შეუძლიათ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დღეს. 1842 1—1

დაიკარგა დამზოგავ სალაროს წიგნაკი № 1646 სოფიო გურგენიძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1843

დაიკარგა დამზოგავ სალაროს წიგნაკი № 2477 დიმიტრი გოგიბერიძის სახელზე. ჩ. გ.

დაიკარგა პასპორტი ანტონ ვართანოვის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1833

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ვასო ხუტაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1836

დაიკარგა კავშირის წიგნაკი საბჭ. მოსამს. კავშ. მოცემული № 530 და დამზოგავ სალაროს წიგნაკი № 19196 ვასილ პავლესძე გოცაძის სახელზე ჩ. გ. 1—1 1829

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი გიორგი გიგოსძე სომხიანცის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1843

დაიკარგა ბიულეტენი № 158 ბავშვის რძის ფულის მისაღებათ ქუთაისის დამზოგავ სალაროდან ეტრე სუჯაიას სახელზე ჩ. გ.
1—1 1840

დაიკარგა თამასუქი 2332—86 ქ. 30 აგვისტოს 1924 წლის ვადით მიცემული შორაპნის მაზრის გლეხკომის მიერ ყოფილი თბილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის რწმუნებულ ი. ი. გველესიანზე. ჩ. გ. 1—1 1831

დაიკარგა მშენებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 578 ილია ივანესძე კეშელაძის სახელზე. ჩ. გ.

ტირაჟი—24.241

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. კამოს ქუჩა 63